

ქვეშეთი კობის გზის ჩრდილოეთ-სამხრეთის საავტომობილო
მაგისტრალი, საქართველო

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა



მოკლე მიმოხილვა

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქვეშეთი-კობის შემოთავაზებული გზის რეკონსტრუქციის პროექტის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმას (BAP). იგი ეფუძნება და უნდა განიმარტოს პროექტის კრიტიკული ჰაბიტატის შეფასებასთან ერთად (CHA). კრიტიკული ჰაბიტატის შეფასებით განისაზღვრა კრიტიკული ჰაბიტატის პოტენციური ზონები და ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლები (PBF), რომლებიც სპეციალურ დაცვას ან შერბილებას მოითხოვს, პროექტის მეშვეობით "კონსერვაციის ნულოვანი დანაკარგისა" ან „კონსერვაციის სუფთა სარგებელის მიღების“ უზრუნველყოფის მიზნით, გარემოებებიდან გამომდინარე.

პროექტი წარმოადგენს საქართველოს მთავრობისა და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ დაწყებული პროგრამის ნაწილს, რომლის მიზანი ქვეყნის ტერიტორიაზე მთავარი საავტომობილო გზების რეკონსტრუქციაა. ქვეშეთსა და კობს შორის ამჟამად გადის 35 კმ სიგრძის გზა და იგი დროდადრო, ზამთრის თვეებში გაუვალი ხდება, მას ასევე უსაფრთხოების დაბალი მაჩვენებელი აქვს. შესაბამისად, საავტომობილო გზების დეპარტამენტი განიხილავს დაახლოებით 22.7 კმ სიგრძის ("პროექტი") საავტომობილო გზის მშენებლობას, ქვეშეთის შემოვლითი გზით და ჯვრის უღელტეხილის თავიდან აცილების მიზნით. გზის ეს ახალი მონაკვეთი გაივლის თერგის ხეობას წკერემდე და შემდეგ კობის მიმართულებით 9 კმ სიგრძის გვირაბს, დაახლოებით 1960 მ სიმაღლეზე. ასევე საჭირო იქნება 7 ახალი ხიდის მშენებლობა (რომელთა საერთო სიგრძე ამ მონაკვეთზე 1.8 კმ იქნება). ახალი მიმართულება ორ პაკეტად გაიყოფა.

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმები წინამდებარე დოკუმენტში მოიცავს აქტივობათა ერთობლიობას, რომლებსაც ერთიანობაში შეუძლია დაეხმაროს პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ჰაბიტატებისა და კონსერვაციის განსაკუთრებული ღირებულებების მქონე სახეობების კონსერვაციის ან გაუმჯობესების უზრუნველყოფაში. ისინი ეფუძნება პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) ფარგლებში შემუშავებულ შემარბილებელ და კომპენსაციის ძირითად ზომებს და მათი მიზანია დაეხმაროს პროექტს როგორც ეროვნული კანონმდებლობის/ პოლიტიკის მოთხოვნებთან, ასევე საერთაშორისო გარემოსდაცვით მოთხოვნებთან შესაბამისობაში. იგი მოიცავს როგორც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD), ასევე აზიის განვითარების ბანკის (ADB) მოთხოვნებს.

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმების მიზანია იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე ორიენტირება, რომლებსაც განსაკუთრებული მართვა ესაჭიროებათ და ეფუძნებიან შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის გამოყენებას, ზემოქმედების თავიდან აცილების პრიორიტეტით, რასაც მოჰყვება სიმძიმის შემცირება და შერბილება გაზომვადი კომპენსაციით (ან/და კონსერვაციის დამატებითი ქმედებებით), რომელიც გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ნარჩენი ზემოქმედება გარდაუვალია. ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმები მოიცავს მთელ რიგ მიზნებსა და მართვის ღონისძიებებს ნარჩენი ზემოქმედების შესარბილებლად, რომლის მიზანია მიღწეული იქნეს ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლების ან კრიტიკული ჰაბიტატის ნულოვანი სუფთა დანაკარგი / სუფთა სარგებელი დამისი შემუშავება მოხდეს სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, მათ შორის მთავრობის, EBRD-ისა და ADB-ის, გარე

ექსპერტების, კონსერვაციის ადგილობრივი/საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მყოფი მოსახლეობის მიერ.

წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს შემდეგი მნიშვნელოვანი ჰაბიტატებისა და სახეობების ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმებს:

- ჰაბიტატები: ტანბრეცილი არყნარი და დაბალბალახიანი ჭაობები
- მცენარეთა ენდემური სახეობები
- მობუდარი ფრინველები: კავკასიური როჭო, ფასკუნჯი, ღაღღა
- მიგრირებადი მტაცებლები
- ძუძუმწოვრები: არჩვი, წავი, ღამურები

იგი ასევე მოიცავს ინფორმაციას შემოთავაზებული მონიტორინგისა და კონსერვაციის დამატებითი ქმედებების შესახებ, ასევე (დანართის სახით) დამატებით ინფორმაციას საკონსერვაციო ზომების შესახებ, სხვა ბუნებრივი ჰაბიტატებისა და მნიშვნელოვანი ფაუნის წმინდა დანაკარგის თავიდან აცილების მხარდაჭერის მიზნით.

შინაარსი

1. შესავალი	8
1.1 დოკუმენტის მიზანი	8
1.2 ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის საჭიროება	8
1.3 დოკუმენტის მიზნები	9
1.4 შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის გამოყენება	10
1.5 თანმხლები დოკუმენტები	10
1.6 დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა	11
2. კრიტიკული ჰაბიტატების/ შესაბამისი შეფასების სამართლებრივი და კონსტიტუციური საფუძველი	12
2.1 საერთაშორისო კანონმდებლობა და პოლიტიკა	12
2.2. ევროკავშირთან დაკავშირებული ვალდებულებები	13
2.4 ეროვნული კანონმდებლობა	13
2.8 საქართველოს წითელი ნუსხა და წითელი წიგნი	15
2.9 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის დაცვის გარანტიები	15
საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესრულების სტანდარტები და სახელმძღვანელო	16
ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფუნქციური მოთხოვნები	17
აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაცვის გარანტიები	17
პროექტის აღწერა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ჰაბიტატები	19
3.1 მიმოხილვა	19
3.2 ლოტი 1 (წკერე - კობის) მონაკვეთი KM 12.7 - KM 22.7.	21
4 ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი	36
4.1 მიმოხილვა	36
4.2 დამკვეთის ზედამხედველობის ინჟინერი	37
4.3 პროექტირების, შესყიდვებისა და მშენებლობის (EPC) კონტრაქტორი	38
5 მნიშვნელოვანი ჰაბიტატების სამოქმედო გეგმა	40
5.1 სუბალპური ტანბრეცილი არყნარის სამოქმედო გეგმა	40
5.2 დაბალბალახიანი ჭაობებისა და ჭარბტენიანი მდელოების სამოქმედო გეგმა	43
6 მცენარეთა ენდემური სახეობების სამოქმედო გეგმა	46
7 სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანი ფრინველებისთვის	48
7.1 სამოქმედო გეგმა კავკასიური როჭოსთვის	48
7.2 სამოქმედო გეგმა ფასკუნჯებისთვის	50
8.2 სამოქმედო გეგმა ღალღასთვის	57
7.4 სამოქმედო გეგმა მიგრირებადი მტაცებლებისთვის	58
8 სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანი ძუძუმწოვრებისთვის	62
8.1 სამოქმედო გეგმა არჩვისთვის	62
8.2 სამოქმედო გეგმა წავეებისთვის	65
8.2 სამოქმედო გეგმა ღამურებისთვის	72



9. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების პროგრამა და კონსერვაციის დამატებითი ღონისძიებები	77
9.1 მიზანი და ამოცანები	77
9.2 მონიტორინგის ინდიკატორები	78
9.3 მონიტორინგის მეთოდოლოგია.....	79
9.4 მონიტორინგის განრიგი და ანგარიშგება	80
9.5 შეფასება.....	81
9.6 გავრცელება.....	81
9.7 რესურსები	82
დანართი B ძირითადი ფაუნა, რომლის შესახებაც უნდა განხორციელდეს დამატებითი მონაცემების აღრიცხვა BEMP/ACA-ს ფარგლებში	87
მსხვილი მტაცებლები.....	87
ყაზბეგის თაგვანა.....	89

აბრევიატურები

AA	შესაბამისი შეფასება
ADB	აზიის განვითარების ბანკი
AIS	ინვაზიური უცხო სახეობები
AoI	ზემოქმედების ზონა
BAP	ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა
BMMP	ბიომრავალფეროვნების მართვისა და მონიტორინგის გეგმა
C&C	ღია წესით მოწყობა
CEMP	მშენებლობის გარემოსდაცვითი მართვის გეგმა
CHA	კრიტიკული ჰაბიტატის შეფასება
CITES	კონვენცია გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ
CNF	კავკასიის ბუნების ფონდი
D&B	ბურღვა და აფეთქება
DMU	დისკრეტული მართვის ერთეული
EBA	ენდემური ფრინველების არეალი
EBRD	ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EIA	გარემოზე ზემოქმედების შეფასება
EPC	პროექტირება, შესყიდვა და მშენებლობა (ხელშეკრულების ფორმა)
EPE	გარემოს დაცვის ევროპული პრინციპები
ESIA	ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESAP	გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა
ESMP	გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა
ESP	გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა
EU	ევროკავშირი
FFI	Fauna and Flora International
GoG	საქართველოს მთავრობა
GRL	საქართველოს წითელი ნუსხა
HGV	მძიმეწონიანი ტვირთების გადამზიდი მანქანა
IBA	მნიშვნელოვანი ფრინველების არეალი

- IFC საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
- ISU ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი (ილიაუნი)
- IUCN ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირი
- KBA ბიომრავალფეროვნების ძირითადი ადგილი
- Km კმ - კილომეტრი
- Masl მეტრი ზღვის დონიდან
- NACRES საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და კვლევის ცენტრი
- NATM გვირაბის გაყვანის ახალი ავსტრიული მეთოდი
- NGO არასამთავრობო ორგანიზაცია
- OE Owners Engineer (სავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ხელშეკრულების მართვის მიზნით დაქირავებული საინჟინრო ფირმა)
- PBF ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებელი
- PR6 EBRD-ის მე-6 ფუნქციური მოთხოვნა
- PS6 IFC-ის მე-6 შესრულების სტანდარტი
- RD საქართველოს სავტომობილო გზების დეპარტამენტი
- RDB წითელი წიგნი
- SEA სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება
- SPA: სპეციალური დაცული ტერიტორიები (გამოყოფილი ევროკავშირის ფრინველების შესახებ დირექტივის შესაბამისად)
- spp. ერთი ჯიშის რამდენიმე სახეობა
- ssp. ქვესახეობა
- TBM გვირაბამყვანი მანქანა
- UN გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
- WWF ველური ბუნების მსოფლიო ფონდი

1. შესავალი

1.1 დოკუმენტის მიზანი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქვეშეთი-კობის შემოთავაზებული გზის რეკონსტრუქციის პროექტის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმას (BAP) (პროექტის დეტალების სანახავად იხ. ნაწილი 3). იგი ითვალისწინებს მიდგომას, რომელიც პროექტის ფარგლებში უნდა იქნეს გამოყენებული, ადგილობრივი ან უფრო ფართო მნიშვნელობის "მნიშვნელოვანი" სახეობებისა და ჰაბიტატების გრძელვადიან კონსერვაციასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულების მიზნით. დოკუმენტი ეფუძნება და უნდა განიმარტოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებასა (EIA, გზშ) და კრიტიკული ჰაბიტატის შეფასებასთან ერთად (CHA).

1.2 ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის საჭიროება

შემოთავაზებული გზა, განსაკუთრებით კი მისი ჩრდილოეთის დაბოლოება, განლაგებულია იმ ტერიტორიის ფარგლებში, რომელიც ემთხვევა (გვირაბით მხოლოდ ეროვნულ პარკს/ზურმუხტის ქსელის ადგილზე) ტერიტორიებს, რომლებიც:

- გამოყოფილია ეროვნულ დონეზე ბუნების კონსერვაციის მიზნებისათვის (ყაზბეგის ეროვნული პარკი)
- გამოყოფილია საერთაშორისო დონეზე ბუნების კონსერვაციის მიზნებისათვის (ყაზბეგის ზურმუხტის საიტი და ხევის სპეციალური დაცული ტერიტორია (SPA))
- აღიარებულია საერთაშორისო დონეზე ბუნების კონსერვაციის მიზნებისათვის (ყაზბეგის ბიომრავალფეროვნების ძირითადი ადგილი/ფრინველთა მნიშვნელოვანი არეალი KBA/IBA))
- ცნობილია, როგორც მთელი რიგი მნიშვნელოვანი სახეობების საარსებო საშუალება.

აღნიშნულის შედეგად, პროექტს გააჩნია იმ ტერიტორიებზე ზემოქმედების პოტენციალი, რომელიც შეიძლება მიჩნეულია „კრიტიკულ ჰაბიტატად“ (CH) ან/და „ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებად“ (PBF)¹, რომელიც განსაზღვრულია ADB-ის დაცვის გარანტიებით, IFC-ის მე-6 შესრულების სტანდარტით და EBRD-ის მე-6 ფუნქციური მოთხოვნით. სქემის კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების (CHA) შემდეგ, განისაზღვრა კონსერვაციის მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე შემდეგი ჰაბიტატები ან სახეობები, რომლებიც საჭიროებენ სპეციფიკურ სამოქმედო გეგმებს:

ამ ტერმინების სრული განმარტებები მოცემულია კრიტიკული ჰაბიტატების შეფასების (CHA) დოკუმენტაციაში.

- ჰაბიტატები: ტანბრეცილი არყნარი და დაბალბალახიანი ჭაობები
- მცენარეთა ენდემური სახეობები
- მოზუდარი ფრინველები: კავკასიური როჭო, ფასკუნჯი, ღალღა
- მიგრირებადი მტაცებლები
- ბუკუმწოვრები: არჩვი, წავი, ღამურები

1 ამ ტერმინების სრული განმარტებები მოცემულია კრიტიკული ჰაბიტატების შეფასების (CHA) დოკუმენტაციაში.

შესაბამისად, ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმები მომზადდა თითოეული ზემოთ ჩამოთვლილისთვის, პროექტის ფარგლებში „ნულოვანი წმინდა დანაკარგის“ უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, აღნიშნული ჰაბიტატებისა და სახეობების საკონსერვაციო მნიშვნელობასთან მიმართებაში. წინამდებარე დოკუმენტი მოიცავს აღნიშნულ სამოქმედო გეგმებს.

კრიტიკული ჰაბიტატების შეფასებამ ასევე გამოავლინა იმ ჰაბიტატებისა და სახეობების რაოდენობა, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ წარმოდგენილია (ან პოტენციურად წარმოდგენილია) ზემოქმედების ზონაში, მოსალოდნელი არ არის სქემით მათზე მატერიალური უარყოფითი ზემოქმედების მოხდენა. იგი მოიცავს შემდეგს:

- **ჰაბიტატები:** ქაცვი, რცხილნარი ტყე, მდინარისპირი
- **ფაუნა:** მოზრდილი მტაცებლები, ყაზბეგის თაგვანა

თითოეული მათგანის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია დანართებში.

1.3 დოკუმენტის მიზნები

ამ დოკუმენტში შეტანილი ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმები მოიცავს ქმედებათა ერთობლიობას, რაც ხელს შეუწყობს შესაბამისი კონკრეტული ჰაბიტატის ან სახეობის გრძელვადიან კონსერვაციას. ქმედებები, რომლებიც ეფუძნება ბიომრავალფეროვნების შემარბილებელ და საკომპენსაციო ღონისძიებებს, მაგრამ არ ახდენს მათ დუბლირებას, შეტანილია გზშ-ის და მასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმაში (ESMP)³. თითოეული გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმა მოიცავს ინფორმაციას მიზნების, მართვის ღონისძიებების, რესურსებისა და მონიტორინგის შესახებ, რათა პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდეს ნარჩენი ზემოქმედების შერბილება და მიღწეული იქნეს ნულოვანი სუფთა დანაკარგი.

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმები შემუშავებულია მთელი რიგი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის მთავრობის, გარე ექსპერტების, ადგილობრივი/საერთაშორისო კონსერვაციის ორგანიზაციებისა და პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის მონაწილეობით. იგი ასევე ეფუძნება კარგ საერთაშორისო პრაქტიკას, რომელიც მითითებულია ისეთ დოკუმენტებში, როგორცაა IFC-ის სახელმძღვანელო მითითება 6 (IFC, 2012b), EBRD-ის მე-6 ფუნქციური მოთხოვნის სახელმძღვანელო მითითება (2014), MFI-ის ბიომრავალფეროვნების სამუშაო ჯგუფის "ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასებისა და მართვის დაგეგმვის კარგი პრაქტიკა" და IPIECA-ს (2005) სახელმძღვანელო.


2 კრიტიკული ჰაბიტატების შეფასებისას არც ერთი კრიტიკული ჰაბიტატი არ გამოვლინდა. ასეთი ჰაბიტატების არსებობის შემთხვევაში, პროექტის ფარგლებში აუცილებელი იქნებოდა ნებისმიერი გამოვლენილი ჰაბიტატის ან სახეობის „წმინდა სარგებელის“ ჩვენების აუცილებლობა.

3 გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP) თავის მხრივ, განხორციელდება კონკრეტული კონტრაქტორისთვის განკუთვნილი მართვის გეგმების მეშვეობით, როგორც მითითებულია პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში (ESIA).

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის პროცესი მოიცავს მთელ რიგ ამოცანებს, დაწყებული საწყისი სქემის შერჩევით (მათ შორის, გვირაბის გაყვანის ინტენსიური გამოყენება), რათა მოხდეს ცნობილი საკონსერვაციო მნიშვნელობის ზონების გვერდის ავლა და მინიმუმამდე შემცირდეს წიაღით სარგებლობის ზემოქმედება.

1.4 შემარბილებელი ღონისძიებების იერარქიის გამოყენება

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის უპირველესი მიზანია მიღწეული იქნეს ნულოვანი სუფთა დანაკარგი ან თუ კრიტიკული ჰაბიტატი ამოქმედებულია, მოხდეს ბიომრავალფეროვნების სუფთა სარგებლის მიღება პროექტის განხორციელების შედეგად. აღნიშნულის მისაღწევად, ESIA-ს სკრინინგისა და დაგეგმვის პროცესის დროს განსაზღვრულ შესაძლო ზემოქმედებაზე გამოიყენება შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია, რომელიც ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაზეა მოცემული. ამ მიდგომის გამოყენებით პრიორიტეტი მიენიჭა თავის არიდებას, მომდევნო პრიორიტეტს წარმოადგენს შემცირება და შერბილება გაზომვადი კომპენსაციით, რომელიც გამოიყენება მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ნარჩენი ზემოქმედების თავიდან აცილება შეუძლებელია, ან როგორც კონსერვაციის დამატებითი ღონისძიება.



პროექტის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმები მოიცავს როგორც სამშენებლო საქმიანობასთან დაკავშირებულ ადგილზე განსახორციელებელ მოკლევადიან შემარბილებელ ღონისძიებებს, ასევე საშუალო და გრძელვადიან კონსერვაციის ღონისძიებებს. ბიომრავალფეროვნების წინამდებარე სამოქმედო გეგმა ორიენტირებულია იმ ღონისძიებებზე, რომელსაც შეიძლება ჰქონდეთ გაზომვადი შედეგები პროექტის კრედიტის სიცოცხლის მანძილზე.

1.5 თანმხლები დოკუმენტები

ეს დოკუმენტები ეფუძნება და უნდა განიმარტოს პროექტის შემდეგ დოკუმენტებთან ერთად:

- **მარეგულირებელი გარემოზე ზემოქმედების შეფასება (გზშ).** წინამდებარე დოკუმენტი შეეხება პროექტის შესაძლო გარემოსდაცვით და სოციალურ ზემოქმედებას საქართველოს კანონმდებლობის კონტექსტში. დამატებით შემუშავდა და დაიხვეწა მარეგულირებელი გზშ, **პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA)** შესაქმნელად, რომელიც დამატებით აღწერს პირვანდელ მდგომარეობას პროექტის ზემოქმედების ზონაში (AoI). იგი ასახავს სქემის შესაძლო ზემოქმედებას და მთავარი შემარბილებელი ღონისძიებების დეტალებს, რომელთა გათვალისწინებაც უნდა მოხდეს დაპროექტებაში, მშენებლობასა და ექსპლუატაციაში.
- **ჩარჩო გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმა (ESMP):** ეს დოკუმენტი (წარმოდგენილი ESIA-ს დანართის სახით) ორიენტირებულია შემოთავაზებული პროექტის შერბილებაზე და მოიცავს პროექტის სპეციალურ მოთხოვნებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს პროექტირების, შესყიდვისა და მშენებლობის ხელშეკრულების კონტრაქტორის მიერ პროექტის საბოლოო დაპროექტებისა და მშენებლობის დროს. როგორც საექსპლუატაციო დოკუმენტი, იგი პროექტირების, შესყიდვისა და მშენებლობის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულების კონტრაქტორებს მიაწოდებს ინფორმაციას საკუთარი გარემოსდაცვითი და სოციალური მართვის გეგმების შესახებ, რომელთა შემუშავებაც მშენებლობის დაწყებამდე მოხდება.
- **კრიტიკული ჰაბიტატი და შესაბამისი შეფასება:** მიმართულია კრიტიკულ ჰაბიტატზე, ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებზე ან გამოყოფილ თუ საერთაშორისოდ აღიარებულ ადგილებზე ზემოქმედების პოტენციალის განსასაზღვრად.
- **დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP):** იგი წარმოადგენს საკონსულტაციო სამუშაოების დამატების დეტალებს, რომელიც დღეის მდგომარეობით არის განხორციელებული (მათ შორის გარემოსდაცვით საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციებს) და ასევე სამომავლოდ დაგეგმილ საკონსულტაციო სამუშაოებსაც.

1.6 დაინტერესებული მხარეების მონაწილეობა

დაინტერესებულ მხარეთა კონსულტაციები ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შემუშავების მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს როგორც ინფორმაციისა და მოსაზრებების შეგროვების, ასევე აქტივობების განხორციელებისა და კოორდინაციის თვალსაზრისითაც. არაერთმა ეროვნულმა თუ საერთაშორისო დაინტერესებულმა მხარემ (მათ შორის ბიომრავალფეროვნების სპეციალისტებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა) გაიარეს კონსულტაციები წინამდებარე დოკუმენტის შემუშავების (და საერთაშორისო ESIA-ს) ფარგლებში. აღნიშნული ასევე მოიცავდა სპეციფიკურ შეხვედრებს ეროვნულ კონსერვაციის ორგანიზაციებთან, მათ შორის:

- საქართველოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და კვლევის ცენტრთან (NACRES).
- კავკასიის ბუნების ფონდთან (CNF).

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ველური ბუნების კონსერვაციის ქართული ცენტრი (BMZ/KfW-ის კავკასიაში დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამასთან მიმართებაში).
- დაცული ტერიტორიების სააგენტო (განსაკუთრებით ზურმუხტის ქსელის უზენებთან და პარკის შემოთავაზებულ გაფართოებასთან მიმართებაში).
- საზოგადოება ბუნების კონსერვაციისათვის (საბუკო) – (Birdlife International -ის პარტნიორი საქართველოში)
- ველური ბუნების მსოფლიო ფონდი (WWF)
- საქართველოს ეკოტურიზმის ასოციაცია
- EBRD და ADB
- CENN

2. კრიტიკული ჰაბიტატების/ შესაბამისი შეფასების სამართლებრივი და კონსტიტუციური საფუძველი

2.1 საერთაშორისო კანონმდებლობა და პოლიტიკა

საქართველომ ბიომრავალფეროვნების შესახებ მთელი რიგი საერთაშორისო კანონებისა და კონვენციების რატიფიცირება მოახდინა, რომლებიც მიჩნეულია, რომ პირდაპირ კავშირშია წინამდებარე პროექტთან. აღნიშნული კონვენციები ქვეყანას ავალდებულებს პროაქტიულად მართონ ეკოლოგიური რესურსების კონსერვაცია, ამ ვალდებულებას კიდევ უფრო აძლიერებს ეროვნული ნორმატიული აქტები და ევროკავშირის ვალდებულებები, რომლებიც ქვემოთ არის მითითებული. შესაბამისი ხელმოწერილი კონვენციები მოიცავს შემდეგს:

- გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობათა საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ კონვენცია (CITES, 1973)
- საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით, წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ (1971)
- კონვენცია გარეული ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის შესახებ(1979), იგივე ბონის კონვენცია
- კონვენცია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ (1979), იგივე ბერნის კონვენცია
- ევროპაში ღამურების კონსერვაციის შესახებ (EUROBATS) (2001)
- შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვაზე (2001)
- გაეროს (რიოს) კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (1992)
- პარიზის კონვენცია მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ (1972)
- მცენარეთა დაცვის საერთაშორისო კონვენცია
- ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ ესპოოს კონვენციის მოთხოვნები უნდა მოხდეს ჰარმონიზაცია ევროკავშირის ასოციირების შეთანხმების ფარგლებში
- საქართველოს მიერ 2010 წელს რატიფიცირებული კონვენცია ევროპის ლანდშაფტის შესახებ. კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ფარგლებში ქვეყნისგან

ლანდშაფტების დაცვის უზრუნველყოფას და ლანდშაფტების დაგეგმარების დანერგვას მოითხოვს.

2.2. ევროკავშირთან დაკავშირებული ვალდებულებები

2014 წლის საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების თანახმად, საქართველომ თავის თავზე აიღო ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირის მოთხოვნებთან ჰარმონიზაციის ვალდებულება, მათ შორის იმ ვალდებულებებისაც, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (და სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას (SEA)) და სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციას/ბიოლოგიური რესურსების მდგრად გამოყენებას შეეხება. მთავარი ვალდებულებები, რომლებიც ამჟამად ხორციელდება, მოიცავს:

- კონსერვაციის შესახებ ეროვნული კანონმდებლობის ჰარმონიზაციას ევროპის საბჭოს 92/43/EEC დირექტივასთან ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ და საბჭოს 2009/147/EEC დირექტივასთან ფრინველთა კონსერვაციის შესახებ;
- დირექტივასთან დაკავშირებული შესაბამისი ჰაბიტატების იდენტიფიცირებას და მათ შეყვანას „ზურმუხტის ქსელში“;
- ფრინველთა მნიშვნელოვანი ჰაბიტატების იდენტიფიცირებასა და კონსერვაციის შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას.

ამჟამად მიმდინარეობს **ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ** კანონპროექტის შემუშავება, აღნიშნული ვალდებულებების შესრულების ხელშეწყობის მიზნით, როგორც ეს ქვემოთ არის მითითებული.

ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც ამჟამად არ არის შემუშავებული, **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA)** გამოყენებაა, იგი შეიძლება მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი აღმოჩნდეს ბიომრავალფეროვნების ასპექტების უზრუნველყოფაში, რომლებიც შემუშავების პროცესშია. **ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა** ითვალისწინებს ეროვნული გეგმების, პროგრამებისა და კანონმდებლობის შემუშავების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შექმნას, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის ძალაში შესული და ბიომრავალფეროვნების ასპექტები ჯერ კიდევ ხშირად არის არასათანადოდ ინტეგრირებული სტრატეგიულ განვითარებაში.

ეს ვალდებულებები ქვეყნისგან ასევე საკუთარი ეკოლოგიური რესურსების კონსერვაციის პროაქტიულ მართვას მოითხოვს. კერძოდ, როგორც ფრინველების, ასევე ჰაბიტატების შესახებ დირექტივები ქვეყანას აკისრებს კონკრეტულ ვალდებულებებს, დაცული ტერიტორიების დანიშნულებასთან დაკავშირების, სადაც ისინი მხარს უჭერენ წარმოადგენენ მნიშვნელოვანი სახეობების მთელ რიგ გლობალურ თუ რეგიონალურ საყურადღებო პოპულაციებს. დამატებითი ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ მოცემულია შემდეგ ნაწილებში.

2.4 ეროვნული კანონმდებლობა

საქართველომ მიიღო მთელი რიგი კანონები ბიომრავალფეროვნებისა და ბუნების კონსერვაციის მიზნით, იგი სულ უფრო მეტად მოდის ევროკავშირის მოთხოვნებთან შესაბამისობაში. ქვემოთ მოცემული კანონმდებლობა პროექტისთვის განსაკუთრებით აქტუალურად მიიჩნევა ბიომრავალფეროვნების თვალსაზრისით:

საქართველოს კანონი	შესაბამისობა
საქართველოს კანონი გარემოს დაცვის შესახებ, 1998 წ. (ჩარჩო კანონი)	კანონი მოიცავს საკითხების ფართო სპექტრს, მათ შორის: გარემოს მავნე ზემოქმედებისგან დაცვას; გარემოს ხარისხის გაუმჯობესებას; ბუნებრივი რესურსების მდგრად განვითარებას და მდგრად გამოყენებას; ბიოლოგიური მრავალფეროვნებისა და ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას; უნიკალური ლანდშაფტებისა და ეკოსისტემების დაცვას; გლობალური ეკოლოგიური პრობლემების გადაჭრის მიმართულებით გარკვეული ზომების მიღებას; გარემოს დაცვის სფეროში მოქალაქეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრას; გარემოსდაცვით განათლებას.
საქართველოს კანონი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ	ეს კანონი: <ul style="list-style-type: none"> • დაადგენს ზურმუხტის ქსელის საიტებისა და სპეციალური დაცული ტერიტორიების შექმნის სამართლებრივ საფუძვლებს ფრინველთა სახეობებისთვის, განსაზღვრავს ამგვარი ტერიტორიების დადგენის, მათი ეროვნულ ქსელში შეტანის, კონსერვაციისა და მონიტორინგის საფუძვლებს. • ეროვნულ დონეზე გააძლიერებს კრიტიკულად გადაშენების პირას მყოფი სახეობებისა და იმ სახეობების სამართლებრივ დაცვას, რომლებიც მკაცრად არიან დაცული საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ეროვნული დირექტივებით. • უზრუნველყოფს გენეტიკური რესურსებისა და შესაბამისი ტრადიციული ცოდნის მისაწვდომობისა და მათი გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიანად განაწილების სამართლებრივ ჩარჩოს. • ითვალისწინებს მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომელთა მიზანია ბიოლოგიური რესურსების გამოყენების, მათ შორის ნადირობისა და თევზჭერის რეგულირება.
საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების შესახებ (1996)	კანონი განსაზღვრავს დაცული ტერიტორიების შექმნის, განვითარებისა და ფუნქციონირების ასპექტებს; ქმნის ორგანოთა სისტემას, რომელიც პასუხისმგებელია სხვადასხვა დონეზე და განსაზღვრავს სხვადასხვა კატეგორიებს მიკუთვნებულ ტერიტორიებზე ნებადართულ საქმიანობებს.
კანონი ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა შესახებ (1996)	კანონი განსაზღვრავს ველური ფაუნის დაცვასა და გამოყენებას. იგი ასევე ითვალისწინებს ბუნებრივი ჰაბიტატის, სამიგრადიო მარშრუტებისა და გამრავლების არელების დაცვას, უზრუნველყოფს გარეული ფაუნის მდგრად განვითარებას და ქმნის სამართლებრივ საფუძველს მისი ადგილზე და მის ფარგლებს გარეთ კონსერვაციის მიზნით.
წითელი ნუსხა და წითელი წიგნი (2003), წითელი ნუსხა განახლებული 2014 წელს.	კანონი განსაზღვრავს გარეული ცხოველებისა და ველური მცენარეების კრიტიკულად გადაშენების პირას მყოფი სახეობების „წითელ ნუსხას“ და „წითელ წიგნს“. კანონი ასევე განსაზღვრავს „წითელი ნუსხის“ სტრუქტურას, სახეობების წითელ ნუსხაში შეტანის განსაზღვრის პროცედურას და ნუსხის პროექტის შემუშავების, მიღებისა და განახლების (გადასინჯვის) პროცედურას. იგი ასევე არეგულირებს უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების „წითელი წიგნთან“ დაკავშირებულ საკითხებს, რაც მოიცავს ინფორმაციას წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების სტატუსის, ჰაბიტატის, საცხოვრებელი არეალის, რაოდენობის, რეპროდუქციის არელებისა და პირობების, დაცვის ღონისძიებებისა და რისკ-ფაქტორების შესახებ.

საქართველოს ტყის კოდექსი (1999)	კანონის მიზანია საქართველოს ტყის რესურსების (ტყის „ფონდის“) დაცვა, მათი უნიკალურობისა და ხელუხლებელი ბუნების შენარჩუნება, რელიქტური, ენდემური და სხვა მნიშვნელოვანი მცენარეების დაცვა. იგი არეგულირებს სამართალურთიერთობებს საქართველოს ტყეების მოვლა-პატრონობასთან, დაცვასთან, აღდგენასა და გამოყენებასთან მიმართებაში. თავდაპირველად მთლიანი ტყის ფონდი სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადდა, თუმცა, თუმცა დაშვებულია მისი განსახელმწიფოებრივება.
საქართველოს კანონი ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ (2005).	კანონი არეგულირებს ბიომრავალფეროვნებასთან უშუალოდ დაკავშირებული ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას: მათ შორის იმ ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას, რომლებიც უკავშირდება ტყით ზოგად სარგებლობას, ხე-ტყის დამუშავებას, ნადირობას, ფერმერულ მეურნეობას, თევზჭერას, ნაძვის გირჩის, ყოჩივარდას ბოლქვებისა და გორგლების გამოყენებას (CITES-ის სპეციალური მოთხოვნა), ნადირობის ლიცენზიას, CITES-ით გათვალისწინებული სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვით შემოტანის შესახებ ნებართვას.

2.8 საქართველოს წითელი ნუსხა და წითელი წიგნი

საქართველოს „წითელი ნუსხა“ მიღებული იქნა 2006 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე მომუშავე კომისიის მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე, ნუსხა განახლდა 2014 წელს. ამჟამად იგი მოიცავს 56 მცენარისა და 139 ცხოველის სახეობას, მათ შორის 33 ძუძუმწოვარს, 35 ფრინველს, 11 რეპტილიას, 2 ამფიბიას და 11 თევზს (მათ შორის, ყველა სახეობის ზუთხს). აქედან, მცენარის 20 და ცხოველის 43 სახეობა მიკუთვნებულია გადაშენების უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფ კატეგორიას (CR (Critically Endangered)) ან გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ კატეგორიას (EN (Endangered))⁴, ხოლო ოთხი ძუძუმწოვარი შესაძლოა გადაშენდეს.

უკიდურესი საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების „წითელი წიგნი“ მოიცავს ინფორმაციას წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების სტატუსის, ჰაბიტატის, საცხოვრებელი არეალის, რაოდენობის, რეპროდუქციის არეალებისა და პირობების, დაცვის ღონისძიებებისა და რისკ-ფაქტორების შესახებ. მცენარეების შემთხვევაში, 275 ძარღვოვანი მცენარიდან ზოგიერთი საქართველოს ენდემურ სახეობად არის მიჩნეული, რომელთაგანაც დაახლოებით 60% (152 სახეობა) გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებია, თუმცა არ არსებობს მათ შესახებ საკმარისი ინფორმაცია წითელ ნუსხაში შესატანად⁵. წითელ ნუსხაში შეტანილი პროექტის ზემოქმედების ზონაში არსებული სახეობების შესახებ დამატებითი ინფორმაცია მოცემულია E.2 ნაწილში „გარემოს აღწერა: ბიომრავალფეროვნება“.

2.9 საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის დაცვის გარანტიები

პროექტის ფარგლებში სავალდებულოა EBRD-ის და ADB-ის საერთაშორისო სტანდარტების დაცვა. აღნიშნული ორგანიზაციების საერთაშორისო გარემოსდაცვითი და სოციალური დაცვის გარანტიების პოლიტიკა ქვემოთ არის მითითებული. კრიტიკული

⁴ ხერხემლიანი ცხოველების 44 სახეობა ასევე შესულია „ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის“ (IUCN) წითელ ნუსხაში, როგორც CR, EN ან VU – იხ. ქვემოთ.

⁵ <https://www.cbd.int/doc/world/ge/ge-nr-05-en.pdf>

ჰაბიტატის შეფასების პროცესში ასევე გამოყენებული იქნა IFC-ის შესრულების სტანდარტების სახელმძღვანელო, რომელიც ქვემოთ არის აღწერილი.

საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის (IFC) შესრულების სტანდარტები და სახელმძღვანელო

IFC PS6 (IFC, 2012a) და სახელმძღვანელო მითითება 6 (IFC, 2012b) გამოიყენება პროექტში, როგორც საუკეთესო პრაქტიკა და საერთაშორისო სტანდარტი. IFC-ის მე-6 შესრულების სტანდარტის (IFC PS6) თანახმად, ჰაბიტატები დაყოფილია შეცვლილ, ბუნებრივ და კრიტიკულ ჰაბიტატებად. კრიტიკული ჰაბიტატები შეიძლება იყოს შეცვლილი ან ბუნებრივი ჰაბიტატები, მაგრამ მიიჩნევა, რომ ისინი ხელს უწყობენ ბიომრავალფეროვნების უმაღლეს ფასეულობას. მათი დამატებით განსაზღვრა მოხდება მოგვიანებით, მაგრამ მოიცავს საყურადღებო მნიშვნელობის ჰაბიტატს კრიტიკულად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ან/და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობებისთვის (IUCN-ის წითელი ნუსხა); საყურადღებო მნიშვნელობის ჰაბიტატს ენდემური ან/და შეზღუდულ არეალში მობინადრე სახეობებისთვის; ჰაბიტატს, რომელიც წარმოადგენს მიგრირებადი სახეობების ან ჯგუფებად მცხოვრები სახეობების გლობალურად მნიშვნელოვანი კონცენტრაციის მხარდამჭერს; უკიდურესი რისკის ქვეშ მყოფ ან/და უნიკალურ ჰაბიტატებს; ან/და მთავარ ევოლუციურ პროცესებთან დაკავშირებულ ტერიტორიებს. ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა სავალდებულოა კრიტიკულ ჰაბიტატზე განლაგებული ყველა პროექტისთვის (IFC, 2012a) და რეკომენდებულია ისეთი პროექტებისთვის, რომლებსაც ჰაბიტატებზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების მოხდენის პოტენციალი გააჩნიათ (IFC, 2012b).

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) ფუნქციური მოთხოვნები

EBRD-ის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის (ESP) (EBRD, 2014) თანახმად, ბანკმა შეიმუშავა ფუნქციური მოთხოვნები (“Prs”), რომელიც დაცული უნდა იქნეს პროექტის ფარგლებში. გარდა ამისა, EBRD-ის მიზანია მხარი დაუჭიროს ევროკავშირის გარემოსდაცვით სტანდარტებსა და გარემოს დაცვის ევროპულ პრინციპებს (EPE), რომლებიც ფუნქციურ მოთხოვნებშია ასახული. მე-6 ფუნქციური მოთხოვნა - „ცოცხალი ბუნებრივი რესურსების ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და მდგრადი მართვა“ წარმოადგენს წინამდებარე ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შესაბამის მოთხოვნას. მე-6 ფუნქციური მოთხოვნა ვრცელდება პროექტებზე ყველა ტიპის ჰაბიტატების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა მოხდა თუ არა მათი დარღვევა ან დეგრადაცია წარსულში, დაცულია თუ არა ისინი ან ექვემდებარებიან თუ არა მართვის გეგმებს.

მე-6 ფუნქციური მოთხოვნის მიზნებია: ბიომრავალფეროვნების დაცვა და კონსერვაცია, რათა თავიდან იქნეს აცილებული, მინიმუმამდე დაყვანილი ან შერბილებული ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედება და მოხდეს მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედების კომპენსაცია, საჭიროების შემთხვევაში, ბიომრავალფეროვნების ნულოვანი წმინდა დანაკარგის ან წმინდა სარგებლის მიღების მიღწევის მიზნით; მდგრადი მართვისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ხელშეწყობა, ადგილობრივი და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობის მიერ გადაწყვეტილების მიღებაში სათანადოდ მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით, რაც უზრუნველყოფს პროექტის განხორციელების და გენეტიკური რესურსების გამოყენებით მიღებული სარგებლის სამართლიან და თანასწორ გადანაწილებას; კომპანიების სამუშაო ლიცენზიის გაუმჯობესება, რეპუტაციისა და კონკურენტუნარიანობის უპირატესობის გამყარება ბიომრავალფეროვნების მართვის საუკეთესო პრაქტიკის მეშვეობით ბიზნეს-რისკების ფარგლებში და ბიომრავალფეროვნების ხელშემწყობი სამეწარმეო საქმიანობის განვითარების მხარდაჭერის შესაძლებლობა, რაც გვთავაზობს ალტერნატიულ შემოსავლის წყაროს ბუნებრივი გარემოს არამდგრადი გამოყენების ნაცვლად.

აზიის განვითარების ბანკის (ADB) დაცვის გარანტიები

ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი (SPS) განსაზღვრავს პოლიტიკის პრინციპებს და აღწერს ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის მიწოდების პროცესს გარემოსდაცვით გარანტიებთან მიმართებაში. აზიის განვითარების ბანკმა მიიღო უსაფრთხოების სპეციალური მოთხოვნები, რომელთა დაცვაც აუცილებელია კრედიტორების/მსესხებლების მიერ გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედებისა და რისკების გადაჭრის დროს. აზიის განვითარების ბანკის თანამშრომლები უზრუნველყოფენ, რომ კრედიტორებმა/კლიენტებმა დაიცვან აღნიშნული მოთხოვნები პროექტის მომზადებისა და განხორციელების დროს. უსაფრთხოების პოლიტიკა წარმოადგენს ოპერაციულ პოლიტიკას, რომლის მიზანია პროექტების უარყოფითი გარემოსდაცვითი და სოციალური ზემოქმედების თავიდან აცილება, მინიმუმამდე დაყვანა ან შერბილება, მათ შორის იმ ადამიანთა უფლებების დაცვაც, რომლებზეც შესაძლოა მშენებლობის პროცესმა მოახდინოს ზემოქმედება ან მარგინალიზაცია. ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტში განსაზღვრული უსაფრთხოების პოლიტიკის

ჩარჩო შედგება სამი ოპერაციის პოლიტიკისგან, რომლებიც შეეხება გარემოს, ადგილობრივ მცხოვრებლებსა და არანებაყოფლობით განსახლებას. ADB-მა შეიმუშავა ოპერაციის პროცედურები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტთან მიმართებაში და იგი შეტანილია აზიის განვითარების ბანკის ოპერაციათა სახელმძღვანელოში.

პროექტის მიერ ბიომრავალფეროვნების ზემოქმედების შეფასება და გადაჭრა განხილულია ნაწილში „ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა“. ეს მოითხოვს გარემოსდაცვითი შეფასების პროცესის მიმართვას ბიომრავალფეროვნების უმთავრეს საფრთხეებზე, ხოლო კრედიტორმა/კლიენტმა უნდა განსაზღვროს უარყოფითი ზეგავლენისა და რისკების თავიდან აცილების, მინიმალურად შემცირებისა და შერბილების ზომები და უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში, წარმოადგინოს ისეთი საკომპენსაციო ზომები, როგორცაა ბიომრავალფეროვნების აღდგენა, დაზარალებული ბიომრავალფეროვნების ნულოვანი წმინდა დანაკარგის ან წმინდა სარგებელის მიღება.

კრედიტორზე/კლიენტზე დაკისრებული ვალდებულებები განსხვავდება იმის მიხედვით, თუ როგორია ჰაბიტატის კლასიფიკაცია - შეცვლილი, ბუნებრივი თუ კრიტიკული. კრიტიკული ჰაბიტატების ტერიტორიებისთვის მოთხოვნები მდგომარეობს პროექტის განუხორციელებლობაში, კრიტიკული ჰაბიტატების ტერიტორიებზე, თუ: არ არსებობს გაზომვადი უარყოფითი ზემოქმედება, ან ამგვარი ალბათობა კრიტიკულ ჰაბიტატზე, რომელსაც შეეძლო გაეუარესებინა ბიომრავალფეროვნების ღირებულება ან ფუნქციონირების შესაძლებლობა; პროექტის შედეგად არ არის მოსალოდნელი გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფად ან კრიტიკულად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფად აღიარებული რომელიმე სახეობის პოპულაციის შემცირება ან მოსპობა შესაბამისი ჰაბიტატის ტერიტორიაზე, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას სიცოცხლისუნარიან და რეპრეზენტატიულ მიმღებ ეკოსისტემას; სხვა შედარებით მცირე ზემოქმედებისთვის შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავება მოხდება სულ მცირე ბიომრავალფეროვნების ნულოვანი სუფთა დანაკარგის მიღწევის მიზნით. იგი შეიძლება მოიცავდეს ისეთ მოქმედებებს, როგორცაა ჰაბიტატების პროექტის შემდგომი აღდგენა, დანაკარგების ანაზღაურება ეკოლოგიური შედარებადი არელების შექმნის ან ეფექტური კონსერვაციის მეშვეობით, რომელთა მართვაც ხდება ბიომრავალფეროვნებისათვის და ამასთანავე დაიცვან ადგილობრივი თუ ტრადიციული მოსახლეობის მიერ ასეთი ბიომრავალფეროვნების მუდმივი გამოყენება და უზრუნველყონ ბიომრავალფეროვნებით უშუალო მოსარგებლეთა კომპენსაცია. თუ პროექტი მოიცავს კრიტიკულ ჰაბიტატზე განსახორციელებელ ღონისძიებებს, აზიის განვითარების ბანკის მოთხოვნით, კრედიტორი/კლიენტის მიერ სავალდებულოა, რომ უზრუნველყონ კვალიფიციური და გამოცდილი გარე ექსპერტები ჩართულობა შეფასების განხორციელებაში დახმარების მიზნით.

პროექტის აღწერა და ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ჰაბიტატები

3.1 მიმოხილვა


საქართველოს ადგილმდებარეობა ნიშნავს, რომ, მისი, როგორც სატრანზიტო ქვეყნის როლი სულ უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ხოლო საქონლის თითქმის 2/3-ის ტრანსპორტირება საქართველოში საავტომობილო გზის მეშვეობით ხორციელდება. მიუხედავად ამისა, გზების უმრავლესობა არასათანადოდ არის მოწყობილი იმისათვის, რომ საგზაო მოძრაობის გაზრდილი მოცულობა გაატაროს, და ამიტომ საქართველოს მთავრობამ დაიწყო ქვეყნის მთავარი გზების რეკონსტრუქციის პროგრამა. პროგრამას ხელმძღვანელობს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მმართველობის სამინისტროს ქვეშ მოქმედი საქართველოს საავტომობილო დეპარტამენტი და მხარდაჭერილია საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის მსოფლიო ბანკის, იაპონიის საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტოს (JICA), ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), EBRD-ის და ADB-ის მიერ.



პროგრამის ფარგლებში უნდა მოხდეს მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის („რუსეთის სამხედრო გზა“) ჟინვალ-ლარსის მონაკვეთის რეკონსტრუქცია. იგი წარმოადგენს თბილისის ჩრდილოეთით, რუსეთის ფედერაციის საზღვართან გამავალ მთავარ გზას. გზა მცხეთიდან იწყება, მიუყვება E-60 მაგისტრალს, შემდეგ მიემართება ჩრდილოეთით დასავლეთიდან ჟინვალის წყალსაცავის გვერდის ავლით, გადაკვეთს გუდაურის ზამთრის კურორტს ჯვრის უღელტეხილის გავლით (რომელიც ზღვის დონიდან 2,400 მ სიმაღლეზე მდებარეობს) და რუსეთის ფედერაციის საზღვართან მთავრდება. ამჟამად, გზის გარკვეულ მონაკვეთებზე ხორციელდება სარეაბილიტაციო სამუშაოები ან ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევისა თუ დეტალური დაპროექტების პროცესშია.

ამჟამად, ქვეშეთსა და კობს შორის 35 კმ სიგრძის გზა გადის დუშეთისა ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში გადის და მოიცავს სპეციფიკურ მონაკვეთს, რომელიც მდინარე თეთრი არაგვის გასწვრივ და გუდაურის გავლით გადის, რომელიც სარეკონსტრუქციო და საკონსერვაციო ინტერესის საგანს წარმოადგენს. ამ ტერიტორიაზე გზა კვეთს არაერთ „ჩაწულ“ მდინარეს. კვეთა მოიცავს 152 მეტრის სიგრძის ხიდს თეთრ არაგვზე ქვემო მლეთაში, ორ, 60 მ და 42 მ სიგრძის ხიდს, თერგისა და კობის ნაკადების შესართავებზე და სხვა რამდენიმე შედარებით პატარა კვეთას. გზა ასევე კვეთს ჯვრის უღელტეხილს, დაახლოებით 2395 მეტრის სიმაღლეზე, თუმცა ამ ტერიტორიას ახასიათებს ღვარცოფები, ზვავები და ქვათაცვენა და ზამთრის პერიოდში ხშირად იკეტება საავტომობილო მოძრაობისთვის.

არსებული გზა ნაჩვენებია ქვემოთ მოცემულ გრაფიკულ გამოსახულებაზე.




ზამთრის შეზღუდვებისა და გზის არახელსაყრელი უსაფრთხოების პირობების გამო, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ამჟამად განიხილავს 22.7 კმ სიგრძის გზის ახალი მონაკვეთის მშენებლობას, რომელიც გვერდს აუვლის ქვეშეთს და ჯვრის უღელტეხილს („პროექტი“). გზის ახალი მონაკვეთი გაივლის თერგის ხეობას წკერემდე და შემდეგ კობის მიმართულებით 9 კმ სიგრძის გვირაბს, დაახლოებით 1960 მ სიმაღლეზე. ასევე საჭირო იქნება 7 ახალი ხიდის მშენებლობა (რომელთა საერთო სიგრძე ამ მონაკვეთზე 1.8 კმ იქნება). ახალი მიმართულება დაიყოფა ორ სამშენებლო პაკეტად, ანუ „ლოტად“, რომელიც მოცემულ დიაგრამაზეა ნაჩვენები.

3.2 ლოტი 1 (წკერე - კობის) მონაკვეთი KM 12.7 - KM 22.7.

- იგი მოიცავს გრძელ გვირაბს ორი ღია მოწყობის მონაკვეთით და არსებული გზის დამაკავშირებელ გზაჯვარედინს კობთან. იგი მოიცავს:
- 178 მ სიგრძის გზის მონაკვეთს წკერედან მე-5 გვირაბის სამხრეთ პორტალთან;
- მე-5 გვირაბს - 9 კმ სიგრძის ორმხრივი მოძრაობის გვირაბს 2 მოძრაობის ზოლით (მაქსიმალური დახრილობა 2.35%);
- მე-5 გვირაბის ღია მოწყობის (C&C) ორ მონაკვეთს (200 მ - სამხრეთ პორტალსა და 8 მ ჩრდილოეთ პორტალში) ზვავებისაგან დასაცავად და წკერედან შესასვლელ პორტალში მოძრაობის მიზნით;
- 9 კილომეტრიან საავარიო დერეფანს მე-5 და მე-17 გვირაბების პარალელურად, მთავარ გვირაბთან დამაკავშირებლებით (6.4 მეტრის სიგანის);

- ტექნიკურ შენობებს ჩრდილოეთ და სამხრეთ პორტალების გვერდით, რომელშიც განთავსებული იქნება საამქრო ობიექტები, სატუმბი სადგური და სავენტილაციო ოთახი;
- 0.8 კმ სიგრძის გზის მონაკვეთი, რომელიც გვირაბის ჩრდილოეთ პორტალს არსებულ გზასთან დააკავშირებს. ახალი მიმართულება მორგებული იქნა არსებულ გზას მაქსიმალური 4.2% დახრილობით, რათა არსებული ხიდიტ სარგებლობა კვლავ შესაძლებელი ყოფილიყო (ხიდის სიგრძე 42 მ, სიმაღლე 6 მ); და
- 214 მ სიგრძის შემოვლით საავტომობილო გზას.

შემოთავაზებული სქემის ლოტი 1 და ლოტი 2 მონაკვეთების ამსახველი რუკა



3.3 ლოტი 2 (ქვეშეთი - წკერეს) მონაკვეთი KM 0.0 - KM 12.7 (12.7 კმ)

- აღნიშნული ლოტი მოიცავს 2.5 კმ სიგრძის გვირაბებს და 1.5 კმ სიგრძის ხიდებს. იგი შედგება შემდეგი ელემენტებისგან:
- ქვეშეთის შემოვლითი გზა (სიგრძე 3.2კმ),
- ხიდი 1 (სიგრძე 27.8მ, სიმაღლე 14მ, ზოლების რაოდენობა - 2),
- ხიდი 2 მდინარე თეთრ არაგვზე (სიგრძე 435.28მ, სიმაღლე 62მ, ზოლების რაოდენობა - 3),
- გვირაბი 1 (სიგრძე 1540.64მ, ზოლების რაოდენობა -2) დერეფნით (სიგრძე 1092მ) (გვირაბების მშენებლობის ახალი ავსტრიული მეთოდი NATM)
- ხიდი 3 - თაღვანი ხიდი მდ. ხადისწყალზე (სიგრძე 426 მ, სიმაღლე 164მ, ზოლების რაოდენობა - 3),
- გვირაბი 2 (სიგრძე 193.42მ, C&C, ზოლების რაოდენობა - 3),
- ხიდი 4 მდ. ხადისწყლის შენაკადზე (სიგრძე 147.80მ, სიმაღლე 26მ, ზოლების რაოდენობა -3),
- გვირაბი 3 (388.38მ),
- ხიდი 5 (სიგრძე 322მ, სიმაღლე 55მ, ზოლების რაოდენობა - 3),
- გვირაბი 4 (299მ, ღია მოწყობა, ზოლების რაოდენობა - 3),
- ხიდი 6 (სიგრძე 218მ, სიმაღლე 48მ, ზოლების რაოდენობა - 3),
- დაგეგმილია 5 გზაჯვარედინის (KM0.3, KM1.7, KM3.1, KM7.7, KM10,5) და 3 დამხმარე გზის მოწყობა.

პროექტის ფარგლებში შემოთავაზებულია არაერთი ფუჭი ქანის სანაყარო და მისასვლელი გზა. თუმცა აღნიშნულისთვის შესაბამის კონტრაქტორებს ჯერ კიდევ არ აქვთ განსაზღვრული საბოლოო ადგილები, მაგრამ ისინი არ განთავსდება გამოყოფილ ზურმუხტის ქსელის უბნებად ან IUCN-ის II კატეგორიის ეკვივალენტურ ადგილებად განსაზღვრულ ტერიტორიებზე, ასევე არ მოხდება ზემოქმედება პრიორიტეტულად აღიარებულ ჰაბიტატებზე (ე.ი. განთავსდება სუბალპური ტანბრეცილი არყნარებისა და დაბალბალახიანი ჭაობების ადგილების გვერდის ავლით). ასევე აუცილებელი იქნება მარეგულირებელი ორგანოებისა და პროექტის კრედიტორების მიერ მოწონება, ხოლო ბუნებრივი ჰაბიტატების რომელიმე ადგილის მოსპობის კომპენსირება მოხდება საერთაშორისო გზშ-ისა და წინამდებარე ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შესაბამისად, რათა მიღწეულ იქნეს ნულოვანი წმინდა დანაკარგი. ასევე მხედველობაში იქნა მიღებული პოტენციური ადგილები, რამდენადაც შესაძლებელია ამის პრაქტიკულად განხორციელება წინამდებარე შესაბამისი შეფასების (AA) და კრიტიკული ჰაბიტატის შეფასების (CHA) ფარგლებში და დამტკიცდა პრიორიტეტული ჰაბიტატების გვერდის ავლის მოთხოვნები.

3.4 განხილული ალტერნატივები

განხილული იქნა სქემის არაერთი ალტერნატიული ვარიანტი, მათ შორის შემდეგი, რომლებიც დამატებით აღწერილია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში (ESIA).

„პროექტის განუხორციელებლობა“. მოცემული ალტერნატივის შემთხვევაში დარჩება არსებული საავტომობილო გზის გაუარესების, საგზაო მოძრაობის შეფერხების პრობლემა, ადგილობრივ მოსახლეობაზე ზემოქმედება და მოუგვარებელი უსაფრთხოების საკითხები. ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო, ეს ვარიანტი მიუღებელია.

არსებული გზის რეკონსტრუქცია. არსებული 35 კმ სიგრძის გზა გადის გუდაურის სათხილამურო კურორტზე და გადადის ჯვრის უღელტეხილზე (2,400 კმ ზღვის დონიდან). ვიწრო გზა, ციცაბო დახრილობა და სახიფათო მოსახვევები საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების პრობლემებს ქმნიან (განსაკუთრებით მძიმეწონიანი ტვირთების გადამზიდი მანქანებისთვის), ხოლო ეს ყოველივე უარესდება ცუდი მეტეოროლოგიური პირობების შემთხვევაში. გზის დაახლოებით 8 კმ ასევე მდებარეობს სპეციალური დაცული ტერიტორიების/ფრინველთა მნიშვნელოვანი არეალის (SPA/IBA) ზონაში მდებარეობს და უფრო დიდ ზეგავლენას იქონიებს მდინარეზე, ამასთანავე, გზა გადის მდინარე თეთრი არაგვის ფრინველთა მიგრაციის დერეფნის გასწვრივ. ზემოჩამოთვლილი მიზეზების გამო, ეს ვარიანტი მიუღებელია.

ალტერნატიული მარშრუტები. თავდაპირველად განხილული იქნა ცხრა ვარიანტი და სამი „დერეფანი“ მიჩნეული იქნა, როგორც ტექნიკურად განხორციელებადი და კომერციული თვალსაზრისით სიცოცხლისუნარიანი, კერძოდ:

1. მდინარის გასწვრივ, არსებულ გზასთან ახლოს (უფრო ქვედა დონეზე) ჯვრის უღელტეხილის ქვემოთ განთავსებული გვირაბით; ეს მარშრუტი უარყოფილი იქნა მრავალი პრობლემის, მათ შორის ყაზბეგის დაცულ ტერიტორიაზე პირდაპირი ზემოქმედების შესაძლებლობის გამო.
2. ქვეშეთის პლატომდე და გუდაურის ტერიტორიასთან დაკავშირებით, სადაც გვირაბის პორტალი იქნებოდა განთავსებული. აღნიშნული უარყოფილი იქნა რთული გეოლოგიური პირობების გამო.
3. ქვეშეთის პლატომდე და შემდეგ წვერეს ხეობაში შესვლით. ეს მარშრუტი შეიქმნა, როგორც უპირატესი ვარიანტი, რამდენადაც მისი მეშვეობით შესაძლებელია ყაზბეგის ეროვნულ პარკზე პირდაპირი ზემოქმედების თავიდან აცილება (გზა განთავსებულია პარკის ქვემოთ გვირაბში).

ასევე განხილული იქნა გვირაბის გაყვანის რამდენიმე ვარიანტი, მათ შორის ღია მოწყობა, ბურღვა და აფეთქება (D&B), ბურღვა (გვირაბგამყვანი მანქანის (TBM) გამოყენებით და NATM (თანამიმდევრული გათხრა - გვირაბების მშენებლობის ახალი ავსტრიული მეთოდი). მთავარი გვირაბის სიგრძის (>8კმ), D&B და TBM მეთოდით მუშაობის ტემპებისა და ქანების გეოტექნიკური მახასიათებლების გათვალისწინებით, მთავარი გვირაბის გაყვანისას მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული გვირაბგამყვანი მანქანის გამოყენება. ზოგიერთ მონაკვეთზე, მექანიკურ და გაბურღვასა და აფეთქებით ექსკავაციების (NATM გვირაბებში) მეთოდებს შორის არჩევანი გაკეთდება ყოველი ცალკეული უბნის სპეციფიკის გათვალისწინებით, იმ ადგილმდებარეობების მიხედვით, რომლებიც შეიძლება განსაკუთრებით მგრძობიარე იყოს ვიბრაციის მიმართ.

პროექტის შესახებ დამატებითი დეტალები მოცემულია საერთაშორისო გზშ-ში, რომელიც შეიცავს შეფასებული ალტერნატივების დეტალურ ანალიზს (ნაწილი C) და განმარტებულია, თუ როგორ მოხდა სამომავლოდ გათვალისწინებული ალტერნატივის მეშვეობით უფრო დიდი საკონსერვაციო მნიშვნელობის ტერიტორიების გვერდის ავლა.

3.5 ჰაბიტატების შეფასება და სენსიტიურობა

იმ ჰაბიტატების დეტალური აღწერა, რომელზეც გზა გადის, წარმოდგენილია წინამდებარე ანგარიშის დანართის სახით, ფაუნას თავდაპირველი კვლევების აღწერასთან ერთად.

აღნიშნული თავდაპირველი კვლევები შეივსო 2018 წლის შემოდგომაზე განხორციელებული დამატებითი კვლევებით, რომელიც წარმოდგენილია დამოუკიდებელი ანგარიშის სახით და დართული აქვს საერთაშორისო გზშ-ს, და მოხდა ყველა ამ კვლევის შედეგის გამოყენება.

საქართველოს ამჟამად ჰაბიტატის კლასიფიკაციის ტრადიციული სისტემა შესაბამისობაში მოჰყავს ევროპის ბუნების საინფორმაციო სისტემასთან (EUNIS)⁶. აღნიშნულის ფარგლებში (ასევე ზურმუხტის ქსელის განვითარებისა და ახალი ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგიისა და მოქმედებათა გეგმის ფარგლებში) განისაზღვრა დაახლოებით 27 ეროვნული პრიორიტეტის მქონე ჰაბიტატი, რომლებიც მიჩნეულები არიან სენსიტიურ და საფრთხის წინაშე მყოფ ჰაბიტატებად. ამ პრიორიტეტული ჰაბიტატებიდან, ორი ჰაბიტატი განისაზღვრა, როგორც პოტენციურად წარმოდგენილი პროექტის ზემოქმედების გაფართოებულ ზონაში, კერძოდ:

- **9BF-GE: სუბალპური ტანბრეცილი არყნარი** ეს ჰაბიტატი წარმოდგენილია არყნარით დაფარული ტერიტორიებით, ჩვეულებრივ გვხვდება ზღვის დონიდან 1800–3300 მეტრის სიმაღლეზე. უფრო ზემოთ გვხვდება დაახლოებით 3 მ სიმაღლის არყი და მთის იფანი, ასევე მარადმწვანე დეკა (*Rhododendron caucasicum*) და სხვა მარადმწვანე ბუჩქები. ამ ადგილისთვის დამახასიათებელი სხვა სახეობები მოიცავს: *Betula litwinowii*, *B. radeana*, *B. pendula*, *Sorbus caucasigena*, *Salix caprea*, *S. kazbegensis*, *Rhododendron caucasicum*, *Vaccinium myrtillus*, *V. uliginosum*, *V. vitis-idaea*, *Daphne glomerata*, *D. mezereum*, *Anemone fasciculata*, *Polygonatum verticillatum*, *Swertia iberica*, *Festuca drymeja*, *Calamagrostis arundinacea*, *Dolichorrhiza renifolia*, *D. caucasica*, *Cicerbita racemosa*. ჰაბიტატი წარმოდგენილია პროექტის ზემოქმედების უფრო ვრცელ ზონაში და პოტენციური ჰაბიტატი იდენტიფიცირებულია ჩრდილოეთ პორტალის მე-5 გვირაბთან ახლოს. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად იგი განმეორებით კლასიფიცირებულია, როგორც სუბალპური არყნარი, მოსალოდნელია, რომ შემოთავაზებული სქემა დაახლოებით 0.13ა-ზე მოახდენს ზემოქმედებას და აუცილებელი იქნება ეკოლოგიური კომპენსაცია.
- **70GE03: დაბალბალახიანი ჭაობები** - ეს ჰაბიტატები ზღვის დონიდან 2300 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს დაბლობსა და მთების ქვედა ზონებში. ისინი წარმოადგენენ შვიტის თანასაზოგადოების მხარდამჭერს, მათ შორის, *Equisetum heleocharis*, *E. palustris*, and *E. Ramosissimum*, ხოლო *Hyppuris vulgaris* იშვიათი ჭაობის მცენარეა, აქ ასევე გვხვდება *Sparganium erectum (S.polyedrum)* ანუ *S. Simplex* (შხაპრი). მიუხედავად იმისა, რომ ზაქათკართან ახლოს პლატოზე აღრიცხული ჰაბიტატები ამჟამად განმეორებით კლასიფიცირებულია, როგორც ჭარბტენიანი მდელო, იგი კვლავ მნიშვნელოვანი მცენარეების სახეობების მხარდამჭერ ჰაბიტატს წარმოადგენს და სქემაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რათა მომხდარიყო ჰაბიტატზე ზემოქმედების თავიდან აცილება.

კიდევ სამი „ბუნებრივი“⁷ ჰაბიტატი განისაზღვრა შემოთავაზებული საგზაო დერეფნის ტერიტორიაზე, კერძოდ:

⁶ <https://eunis.eea.europa.eu/>

⁷ ზოგიერთი საფინანსო ინსტიტუტისაგან განსხვავებით, EBRD-ი არ იყენებს ტერმინს „ბუნებრივი ჰაბიტატი, რომელიც გამოიყენება IFC/ADB-ის მიერ ისეთი ადგილების აღწერისთვის, რომლებიც სიცოცხლისუნარიანი ადგილობრივი სახეობების ერთობლიობებისაგან შედგება, სადაც ადამიანის საქმიანობამ მნიშვნელოვნად ვერ შეცვალა თავდაპირველი ეკოლოგიური ფუნქციები ან

- **რცხილნარი ტყე (*Carpinus betulus*). 91CB-GE:** საქართველოში რცხილა ფართოდაა გავრცელებული, იგი ნაყოფიერ, კარგად გამომშრალ ნიადაგზე ხარობს და ხშირად გვხვდება წიფელთან, მუხასთან ან/და იელთან ერთად. განისაზღვრა რცხილნარი ტყის დაახლოებით 0.3 ჰა, რომელიც მოისპობა საპროექტო ზონაში, უმეტესად ხიდთან ახლოს, რომელიც სამხრეთის გზას კვეთს.
- **მურყნარი (*Alnus glutinosa*) და იფნარი (*Fraxinus excelsior*) ალუვიალური ტყე (91E0)** (ამჟამად ხელმეორედ კლასიფიცირებულია, როგორც ნაცარა თხმელას (*Alnus incana*) ჭალის ტყე). ეს ტყეები წარმოდგენილია როგორც ტყით დაფარულ ტერიტორიებზე, ასევე მდინარეების გასწვრივ ვიწრო ზოლის სახით. მურყნარით დაფარულ ტერიტორიებზე გავრცელებულია მთელი რიგი ბალახოვანი სახეობები, მათ შორის: *Holcus lanatus*, *Paspalum paspaloides*, *Briza minor*, *Pycnus colchicus*, *Poa trivialis* და *Polygonum persicaria*. ამ ჰაბიტატის დაახლოებით 45 ჰა საპროექტო ზონის ფარგლებში გამოვლინდა, თუმცა, სქემის მიხედვით მხოლოდ დაახლოებით 0.7 ჰექტარზეა მოსალოდნელი პირდაპირი ზემოქმედება.
- **ალპური მდინარეები და მდინარისპირა ლამნარის, კვიშნარის და რიყის მცენარეულობა (323 GE)** საპროექტო ზონის ფარგლებში არსებული მთის მდინარეების გასწვრივ გვხვდება ბუჩქნარი და "ტანბრეცილი" ტყის ჰაბიტატი მეორეული მდელოებით, ხეობის ტერიტორიაზე ასევე გვხვდება ფიჭვის ნარგავები. ლამიანი მდინარეების ნაპირებზე წარმოდგენილია წითელი კუნელის (*Crataegus kyrtostyla*), ჯაგრცხილის (*Carpinus orientalis*) და ძეძვის (*Paliurus spina-christi*) მეჩხერი ბუჩქნარი. კვიშნარი ნაპირები დაფარულია სქელი ქვეტყით, რომელიც შესაძლებელია სრულიად გაუჩინარდეს წყალდიდობის დროს (და კვლავ აღორძინდეს). წარმოდგენილი სახეობები მოიცავენ ერთწლოვან მცენარეებს, როგორცაა მარცვლოვნები და მრავალწლიანი ორლებნიანნი, *მახრჩობელების* თანასაზოგადოებიდან მდინარეების სანაპიროებზე და ტბორიან ადგილებში. სხვა ტიპიური მცენარეებია: შვიტა (*Equisetum arvense*), ისლის სახეობები (*Carex canescens*, *C. hirta*, *C. Irrigua*), და ჭაობის ბალახები (*Parnassia palustris*), და ა.შ. ამ ჰაბიტატის დაახლოებით 72ha (სულ 16%) წარმოდგენილია საპროექტო ზონაში, მათ შორის, 163ა ჩრდილოეთის სანაყაროს ტერიტორიაზე. მოსალოდნელია, რომ დაახლოებით 1.43ა მთავარი სქემის მუდმივი ზემოქმედების ქვეშ მოექცევა, ხოლო სანაყაროებმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ დამატებით სხვა ტერიტორიებზეც. ყველა მათგანისთვის აუცილებელია ეკოლოგიური კომპენსაცია. თუმცა, მოსალოდნელი არ არის ქაცვის ჰაბიტატების ეკოლოგიური თვალსაზრისით ღირებული კორომების რომელიმე ზონის ზემოქმედების ქვეშ მოქცევა (იხ. ქვემოთ).

პროექტის ზემოქმედების ზონაში არსებული დანარჩენი ჰაბიტატები მიიჩნევა „შეცვლილ ჰაბიტატებად“, სადაც ადამიანის საქმიანობის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა პირვანდელი ეკოლოგიური ფუნქციები და სახეობათა შემადგენლობა. იგი მოიცავს სასოფლო-სამეურნეო დასახლებებისა და სავარგულების ჰაბიტატებს (62GE04), საძოვრებს (62GE05) და სუბალპურ მდელოებს (61GE02) - თუმცა ჩამოთვლილთაგან უმრავლესობა არ მოექცევა ზემოქმედების ქვეშ სამუშაოების შედეგად, რომელიც განხორციელდება მათ ქვემოთ, გვირაბში. ყველა აღნიშნულ ჰაბიტატს გააჩნია მნიშვნელოვანი სახეობების მხარდაჭერის პოტენციალი (იხ. ფლორა და ფაუნა), მაგრამ დამოუკიდებლად არც ერთი მათგანი არ არის მიჩნეული მნიშვნელოვან ჰაბიტატად.


სახეობრივი შემადგენლობა. შესაძლებელია, ამგვარი ტერიტორიების მოიცავდეს ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებს.

ბუნებრივი ჰაბიტატები საპროექტო დერეფანში


ჰაბიტატი	სულ პროექტის ზემოქმედების ზონაში	მთავარ სქემაში მოსპობილი	სანაყაროები	სად
სუბალპური არყნარი	2,5ჰა	>0.1ჰა	0.0ჰა	მე-5 გვირაბის ჩრდილოეთ პორტალი
ჭარბტენიანი მდელო	0.7ჰა	0	0.0ჰა	ზაქათვარის პლატო
ალპური მდინარეები და მათი მერქნიანი მცენარეულობა	56 ჰა	1,4ჰა	15,7ჰა	გვირაბი 5 ორივე პორტალი
ალუვიალური/მდი ნარისპირა ტყეები/	44,6ჰა	0.7ჰა	0ჰა	ორივე ლოტი
რცხილნარი ტყე (Carpinus betulus)	22.4	0,3	0.8	ხევის გადაკვეთასთან
სულ	126,2ჰა	2,5ჰა	16.5 ჰა	

მთლიანობაში, მთავარმა სქემამ (სანაყაროები ამ რიცხვში არ შედის) მოსალოდნელია გამოიწვიოს დაახლოებით 2.5 ჰა ბუნებრივი ჰაბიტატის და დაახლოებით 14 ჰა შეცვლილი ჰაბიტატის პირდაპირი მოსპობა. სანაყაროები არ განთავსდება არც ერთი პრიორიტეტული ჰაბიტატის ზონაში და შემუშავებამდე დაექვემდებარება დამატებით განხილვას პროექტის მარეგულირებლებისა და კრედიტორების მიერ, აღნიშნულის განსახორციელებლად. მიმდინარე გეგმები იმაში მდგომარეობს, რომ ისინი უპირატესად იქნება შეცვლილი ჰაბიტატების ზონებში, მაგრამ შესაძლოა დაახლოებით 16.5 ჰა ბუნებრივმა ჰაბიტატმაც განიცადოს ზემოქმედება. ამ ბუნებრივი ჰაბიტატის უმეტესობა, რომელიც ზემოქმედების ქვეშ მოექცევა (>87%) ალპური მდინარის ჰაბიტატია, რომელიც ზოგადად ძალიან გავრცელებულია ზონაში და არ მიიჩნევა, რომ ამოქმედებს ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლების (PBF) ან კრიტიკული ჰაბიტატის (CH) მოთხოვნებს. ბუნებრივი ჰაბიტატის ყველა ზონა აღდგება ან რეკრეაციას დაექვემდებარება პროექტის კონტრაქტორის მიერ და ადგილი არ ექნება წმინდა დანაკარგს. ქაცვის არც ერთი ღირებული ზონა (იხ. ქვემოთ) პროექტის მიერ ზემოქმედების ქვეშ არ მოექცევა. ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ზონების ჰაბიტატების რუკა ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ გამოსახულებაზე.

ჰაბიტატის რუკა - (ლოტი 1)



ჰაბიტატის რუკა - (ლოტი 2)



3.6 ტყის რესურსები


საქართველოს ბუნებრივი ტყის დიდი ტერიტორიები გააჩნია (თუმცა არა მაღალმთიან რეგიონებში), ხოლო რეგიონის უფრო ვრცელ ტერიტორია, სადაც პროექტია განლაგებული, დაახლოებით 265,000 ჰა ტყისგან შედგება. ისინი წარმოადგენენ ეკოსისტემების მომსახურებების ფართო სპექტრს, მათ შორის წყლის რესურსების რეგულირებას, ნიადაგის დაცვასა და კლიმატის სტაბილიზაციას, ასევე რელიქტური, ენდემური და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი მცენარეებისა და ცხოველების მნიშვნელოვან ჰაბიტატს (კავკასიური სახეობების დაახლოებით 65% ტყეებზეა დამოკიდებული). ტყის ნარგავები დაცულია საქართველოს ტყის კოდექსით,⁸ რომელიც არეგულირებს ტყის ფუნქციონირებასა და ტყითსარგებლობას, მათ შორის დაცვას, წყალშემკრები აუზის მართვასა და ხე-ტყის წარმოებას, და სხვ. ამ რეგულაციების თანახმად, ტყის კერძო მფლობელობა და კომერციული მიზნებით ტყის ჭრა დასაშვებია, თუმცა მხოლოდ ლიცენზიის მიღების შემთხვევაში. ტყის კოდექსი ასევე განსაზღვრავს დაცული ტყეების კატეგორიებს და წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხით დაცული ფლორისტული სახეობების ჩამონათვალს. საქართველოს ტყის ეკოსისტემა საფრთხეშია ტყის რესურსების არამდგრადი გამოყენების, ჭარბი ძოვების, ტყის მავნებლებისა და დაავადებების, ინვაზიური უცხო სახეობებისა და ტყის ხანძრების გამო.

საპროექტო ზონაში არსებული ტყით დაფარული ტერიტორიები ფრაგმენტული და ნაწილობრივ შეცვლილია, თუმცა, გარკვეულ ტერიტორიებზე (მაგ. ხადისწყლის ხეობაში) გვხვდება ბუნებრივი ტყეების უბნები. ესენი ძირითადად შერეული ფოთლოვანი ტყეებია (მუხნარ-რცხილოვანი), თუმცა, უფრო ზემოთ (მაგ. მე-გვირაბის ჩრდილოეთ პორტალთან) წიწვოვანი ტყეები უფრო სჭარბობს. სანაპიროს ტყის მასივების წვრილი ზოლები, სადაც მურყნარი - *Alnus barbata* დომინირებს, წარმოადგენილია მდინარეებისა და ნაკადულების გასწვრივ. სახელმწიფო ტყის ფონდი წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მართულ/კონტროლირებად ტყის ტერიტორიას, რომელსაც ხელმძღვანელობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ტყე, როგორც ასეთი, დაცულ ტერიტორიებს არ განეკუთვნება (თუმცა, ტყით დაფარული მრავალი ტერიტორია დაცულია). საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოთხოვნაა მოჭრამდე ყველა ხე მოიხსნას სახელმწიფო ტყის ფონდის რეგისტრაციიდან ან მოხდეს მათი ნუსხიდან ამოღება.

განხორციელდა პროექტის ზემოქმედების ზონის კვლევა, რათა განსაზღვრულიყო თუ რამდენად მოახდენდა ზეგავლენას პროექტი სახელმწიფო ტყის ფონდზე. სახეობების ნუსხა ნაკვეთების მიხედვით ქვემოთ არის მოცემული. სულ რეგისტრირებულია 20-მდე სახეობა, მათ შორის, ინვენტარიზაციის ანგარიშში *მორთოლავი ვერხვი*, *ნაცარა თხმელა* და *ჩვეულებრივი თხილი* დომინირებენ. ამ კვლევის შედეგად არც ერთი დაცული სახეობა არ იქნა აღწერილი, თუმცა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული მოწყვლადი ხის სამი სახეობა იქნა აღწერილი თავდაპირველი ზედაპირული კვლევის დროს, რომელიც ქვემოთ ცხრილშია აღწერილი.

⁸ ტყის კოდექსი წარმოადგენს კანონის ჩარჩოს და მისი დეტალური რეგულაციების შესრულება სავალდებულოა.

ტყის ფონდის რუკა





14	ხეჭრელი	<i>Frangula alnus</i>	1													
15	ცირცელი	<i>Sorbus caucasigena</i>		4	2						3	1	3			1
16	ბალამწარა	<i>Cerasus silvestris</i>			1	1	8	2					1			
17	კავკასიური ნეკერჩხალი	<i>Acer laetum</i>				2										
18	წიფელი	<i>Fagus orientalis</i>						72					1			
19	მდგნალი	<i>Salix caprea</i>								43	13	6	14	37	4	9
20	ლეკის ხე	<i>Acer pseudoplatanus</i>								9			1	2		
	სულ		1127	29	73	5	1261	2139	146	244	24	17	34	104	4	16

3.7 მდინარეები და ნაკადულები

საპროექტო ზონის ფარგლებში მოქცეულ ყველა ხეობებში "ჩაწნული" მდინარეებია სეზონური ნაკადებით, რომელიც წელიწადის დროების მიხედვით იცვლება და ყველაზე დიდი ნაკადი თოვლის დნობის შემდეგ აქვს. აქედან საპროექტო ზონაში ყველაზე მნიშვნელოვანია:

- მდინარე თეთრი არაგვი, რომელიც ქვეშეთისა და არახვეთის პარალელურად მიედინება (სადაც მათ გზა გადაკვეთავს)
- მდინარე ხადა (ან ხადისწყალი), რომელიც ხადას ხეობაში მიედინება (საპროექტო მარშრუტი) და ქვეშეთთან არაგვს უერთდება
- მდინარე თერგი (ანუ თერეკი), რომელიც მიედინება მე-5 გვირაბის ჩრდილოეთ პორტალის მიმდებარედ და საბოლოოდ კასპიის ზღვაში ჩაედინება. მდინარე ნარვანა და მდინარე ბაიდარა თერგს უერთდება ჩრდილოეთ პორტალთან ახლოს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ინფორმაცია მტკნარი წყლების ბიომრავალფეროვნებისა და კრიტიკული ჰაბიტატების შესახებ კვლავ შეზღუდულია, ცნობილია, რომ საქართველოს მტკნარი წყლების ეკოსისტემები წარმოადგენს დაახლოებით თევზის 91 სახეობის, კიბოსნაირების 100-ზე მეტი სახეობის, მოლუსკების 58 სახეობისა და ზღვის წყალმცენარეების 2600-ზე მეტი სახეობის მხარდამჭერს. ველური ბუნების მსოფლიო ფონდის (WWF) გლობალური მტკნარი წყლების პროგრამით ქვეყანაში მტკნარი წყლების 18 კრიტიკული ჰაბიტატი განისაზღვრა, რომელიც თევზებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან სამიგრაციო მარშრუტებად და კვების/გამრავლების არეალად მიიჩნევა. არც ერთი მათგანი პროექტის ზემოქმედების ზონაში არ იმყოფება.

3.8 დასკვნები

დაბალბალახიანი ჭაობები (ზაქათკარის პლატოზე) და სუბალპური ტანბრეცილი არყნარი (ჩრდილოეთ პორტალის მე-5 გვირაბთან ახლოს) საკონსერვაციო მნიშვნელობის უდიდესი პოტენციალის მქონე ჰაბიტატებად არის მიჩნეული. აღნიშნული ჰაბიტატები ზემოქმედების ქვეშ არ მოექცევა, გარდა >0.1ჰა არყისა.

4 ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესი

4.1 მიმოხილვა

როგორც ზემოთ იქნა აღწერილი, პროექტი გვერდს აუვლის მნიშვნელოვან სახეობებსა და ჰაბიტატებზე ზემოქმედებას, შემდეგი საშუალებების გამოყენებით:

- **შემარბილებელი ღონისძიებების იერარქია**, რომელიც მოიცავს ზემოქმედების გვერდის ავლის, შერბილების, აღდგენის და, კომპენსაციის თანამიმდევრულ მიდგომას, იმ შემთხვევაში თუ სხვა მიდგომები ეფექტური არ არის.
- მარშრუტის დაპროექტება სენსიტიური ჰაბიტატების გვერდის ავლის მიზნით, სადაც ამის პრაქტიკული შესაძლებლობა არსებობს - სქემის მიზანია გამოიყენოს უკვე დეგრადირებული ჰაბიტატები (ე.ი. არსებული გზები) ან ბიომრავალფეროვნების დაბალი ღირებულების ჰაბიტატები (მაგ. გადამოვილი საძოვრები), ხოლო გვირაბების გამოყენებით მოხდება ჭარბი ზემოქმედების თავიდან აცილება.
- სამშენებლო სამუშაოების დროს კარგი საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენება, რათა ზემოქმედება დამატებით იქნეს თავიდან აცილებული ან შემცირებული, თუ ამის პრაქტიკული შესაძლებლობა არსებობს. იგი მოიცავს ისეთი ზომების თავიდან აცილებას, როგორცაა, სამუშაოების სეზონური ვადები (მაგალითად, მოზუდარ ფრინველებზე ან მოზამთრე ღამურებზე ზემოქმედების თავიდან აცილება, რომელიც განსაზღვრულია ეკოლოგიური ექსპერტის (ECoW) მიერ), ასევე სხვა გენერირებული შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც გზმ-ის მიერ არის შემუშავებული.
- სახეობებსა და ჰაბიტატებზე მორგებული ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმების გამოყენება, რომელიც მითითებულია ამ დოკუმენტის 5-9 ნაწილებში.

მათი ერთობლივი მიზანია უზრუნველყონ ნულოვანი წმინდა დანაკარგი ან უფრო მეტიც, ბიომრავალფეროვნების წმინდა სარგებელი, შემოთავაზებული გზის მშენებლობისა და ექსპლუატაციის შედეგად. აღნიშნული მიდგომების განხორციელება დაფუძნებული იქნება ორ საკვანძო როლზე, კერძოდ:

- დამკვეთის ზედამხედველობის ინჟინრის (PMSC) საერთაშორისო და ეროვნული გარემოსდაცვითი სპეციალისტები
- პროექტირების, შესყიდვისა და მშენებლობის ხელშეკრულების (EPC) კონტრაქტორების ეკოლოგიური ექსპერტები.

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმას უხელმძღვანელებს და მასზე ზედამხედველობას განხორციელებს დამკვეთის ზედამხედველობის ინჟინერი (PMCS). დამკვეთის ზედამხედველობის ინჟინერი შეიმუშავებს და განხორციელებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების გეგმას (BMEP) ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის სწორად განხორციელების უზრუნველყოფის მიზნით.

ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის ფაქტობრივი საქმიანობა გრუნტზე განხორციელდება კონტრაქტორის მიერ ფიზიკური სამუშაოების მეშვეობით ან კვლევების ჩატარების გზით და შესაძლებელია, რომ სამუშაოების კონტრაქტორმა

სპეციალისტების მიერ ჩასატარებელი კვლევების განსახორციელებლად ქვეშეთში კვლევების გააფორმოს შესაბამის უნივერსიტეტებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ან სპეციალიზირებულ კონსულტანტებთან.

4.2 დამკვეთის ზედამხედველობის ინჟინერი

დამკვეთის ზედამხედველობის ინჟინერს (PMSC), რომელიც მოიაზრება პროექტის ორივე ლოტისთვის, აკისრია სამოქალაქო სამუშაოებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის კონკრეტული პასუხისმგებლობა, სადაც ყურადღება განსაკუთრებულად არის გამახვილებული პროექტის გარემოს მართვის გეგმების განხორციელების მონიტორინგზე კონკრეტული ობიექტისათვის კონტრაქტორის გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმების (SEMPs) მეშვეობით. ინჟინერი გააგრძელებს როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტების მომსახურების გამოყენებას კონტრაქტორის მიერ გარემოსდაცვითი ვალდებულებების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით. გუნდის საორიენტაციო სტრუქტურა წარმოდგენილია ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში (ESIA).

ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი

საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი, საკუთარი უფლებამოსილებების ფარგლებში, პასუხისმგებელი იქნება დეტალური გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმების მომზადებასა და განხორციელებაზე. კონკრეტულად, მასში გათვალისწინებული იქნება ბიომრავალფეროვნების დეტალური სამოქმედო გეგმები და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის საკონტროლო სიები, რომლებიც უნდა შეივსოს ეროვნული გარემოსდაცვითი სპეციალისტის მიერ (იხ. ქვემოთ). იგი მოამზადებს და განახორციელებს ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმას და ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების გეგმას (BMEP) და უხელმძღვანელებს ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელთანაც ხელშეკრულება აქვს გაფორმებული, მაგალითად უნივერსიტეტებს ან არასამთავრობო ორგანიზაციებს, რათა ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმების კვლევების ჩატარება განხორციელდეს სპეციალისტების მომსახურების მეშვეობით. საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი ასევე ჩაატარებს ტრენინგს გარემოს დაცვის შესახებ და ბრიფინგებს ADB/EBRD-ის უსაფრთხოების, მთავრობის გარემოსდაცვითი მოთხოვნებისა და სტანდარტული საოპერაციო პროცედურების შესახებ გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების მიზნით პროექტის ვალდებულებების შესაბამისად და უზრუნველყოფს საბაზო მონიტორინგსა და ანგარიშგებას კონტრაქტორის შესაბამისობის შესახებ სახელშეკრულებო გარემოსდაცვით (და ბიომრავალფეროვნების) შემარბილებელ ღონისძიებებთან მშენებლობის ეტაპზე. დამატებითი დეტალები მოცემულია გზშ-ში.

ინჟინრის ეროვნული გარემოსდაცვითი სპეციალისტი

ეროვნული გარემოსდაცვითი სპეციალისტი (i) განიხილავს ყველა დოკუმენტსა და ანგარიშს გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრაციის შესახებ, მათ შორის კონტრაქტორის გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმას, (ii) ზედამხედველობას გაუწევს კონტრაქტორების მიერ EMP-ის დაცვას, და (iii) მოამზადებს ყოველთვიურ შესაბამისობის ანგარიშს. ეროვნული გარემოსდაცვითი სპეციალისტი დაქირავებული უნდა იქნეს მუდმივად, სამშენებლო პერიოდის ხანგრძლივობის მანძილზე.

4.3 პროექტირების, შესყიდვებისა და მშენებლობის (EPC) კონტრაქტორი

პროექტირების, შესყიდვებისა და მშენებლობის (EPC) კონტრაქტორი თითოეულ ლოტზე პასუხისმგებელი იქნება პროექტის კონკრეტული ობიექტის გარემოსდაცვითი ღონისძიებების გეგმების (SEMP) მომზადებაზე. იგი სრულ შესაბამისობაში იქნება პროექტის გარემოსდაცვითი მართვის გეგმებთან (მათ შორის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმასთან) და ასევე ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან (ESIA). კონტრაქტორი ESMS და SEMP-ები წარედგინება საავტომობილო გზების დეპარტამენტს სამუშაოების დაწყებიდან 30 დღის ვადაში, და დამტკიცდეს სამუშაოების დაწყებამდე. აღნიშნულის განსახორციელებლად, კონტრაქტორს უნდა ჰყავდეს სპეციალისტთა გუნდი, მათ შორის ის სპეციალისტები, რომლებიც ქვემოთ დეტალურადაა აღწერილი და გათვალისწინებულია ESIA-ში.

გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტი

პროექტირების, შესყიდვებისა და მშენებლობის (EPC) გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტი განახორციელებს და უწყვეტად განახლებს SEMP-ს და განახორციელებს სამუშაოების ზედამხედველობას და ანგარიშგებას სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში. გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტი იქნება კონტრაქტორის მთავარი საკონტაქტო პირი პროექტთან დაკავშირებულ გარემოსდაცვით, სოციალურ, ჯანდაცვის, უსაფრთხოებისა და კულტურული მემკვიდრეობის ყველა საკითხზე და უხელმძღვანელებს გუნდის ქვემოთ ჩამოთვლილ სხვა წევრებს. გარემოსდაცვითი და სოციალური ექსპერტი უნდა იყოს სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი კონტრაქტორის შტატში და ადგილზე უნდა იმყოფებოდეს არანაკლებ კვირაში ხუთი დღე.

ეკოლოგიური ექსპერტი (ECoW)

მშენებლობების წარმოება მრავალი ტიპის ჰაბიტატებზე სირთულეს წარმოადგენს, განსაკუთრებით სამუშაოების განხორციელების დროს ზემოქმედების თავიდან აცილებასა და მინიმუმამდე შემცირებასთან დაკავშირებით სენსიტიურ უბნებზე (მაგ. დაცულ ტერიტორიებზე), სენსიტიურ ჰაბიტატებში (მათ შორის, მაგ. წყალთან ახლოს ხრემის ეფექტური კონტროლი) და იქ, სადაც სამუშაო დერეფანში შეიძლება წარმოდგენილი იყოს დაცული ან მნიშვნელოვანი სახეობები. შესაბამისად, ეკოლოგიური ექსპერტის უმთავრეს როლს წარმოადგენს:

- განსაკუთრებული ეკოლოგიურად მგრძობიარე ზონების დადგენა (მაგ. დაცული ან მნიშვნელოვანი ჰაბიტატებით თუ სახეობებით) იმ მარშრუტზე, რომელიც შეიძლება საჭიროებდეს გვერდის ავლას, გადაადგილებას (მაგ. მცენარეები/ამფიბიები) ან დარღვევას წლის ბოლოს (მაგ. თუ ასეთ ადგილებში ფრინველები ბუდობენ).
- SEMP-ში დაწერილი შერბილების მოთხოვნებისა და მათი ქვეგეგმების (მათ შორის ბიომრავალფეროვნების სამოქმედო მართვისა და მონიტორინგის გეგმების) გარდაქმნა გრუნტზე განსახორციელებელ პრაქტიკულ ღონისძიებებად
- დროული კონსულტაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორია საუკეთესო გადაწყვეტილება ცვალებადი და ნაკლებად პროგნოზირებადი სიტუაციების შემთხვევაში ეკოლოგიური თვალსაზრისით (მაგ. ახალი სახეობების გაჩენის შემთხვევაში).

- პერსონალის მიერ სრულყოფილი ინფორმაციის ფლობის უზრუნველყოფა კონკრეტული ადგილის გარემოსდაცვითი სენსიტიურობისა და საკუთარი პასუხისმგებლობების შესახებ, როგორც ეს მართვის გეგმებშია მითითებული (მაგ. მშენებლობის დაწყებამდე პრაქტიკული მოლაპარაკებების გზით) და მათი სათანადოდ მომზადების უზრუნველყოფა ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის, ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმისა და ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს მართვის გეგმის საკითხებზე.
- ადგილზე შენიშვნების ჩაწერა და ფოტოების გადაღება მართვის გეგმებთან შესაბამისობის დასადასტურებლად

ეკოლოგიური ექსპერტი განახორციელებს წინასამშენებლო/სანებართვო კვლევებს სამუშაო ჯგუფებამდე რამდენიმე კვირით ადრე და შექმნის საფრთხეების რუკას, რომელზეც ნაჩვენებია იქნება განსაკუთრებით სენსიტიური ჰაბიტატები და სახეობები, რომელთა გვერდის ავლაც სავალდებულოა, მაგ. სამუშაოების ჩატარების დროის ცვლილების, სამშენებლო მეთოდების დოკუმენტებში ცვლილებების შეტანის და სხვ. გზით. გარდა ამისა, და ეკოლოგიურ პრობლემებზე რეაგირების კოორდინაციის მიზნით, შეიქმნება შესაბამისი ანგარიშგების მექანიზმი, რაც შესაძლებელს გახდის საკითხების წამოჭრას და მათ ეფექტურ გადაწყვეტას (მაგ. პროექტის საჩივრების განხილვის მეშვეობით). ეკოლოგიის ექსპერტს უნდა გააჩნდეს დაცული სახეობებისა და ჰაბიტატების კონსერვაციისა და აღიარების პრაქტიკული ელემენტების სულ მცირე ხუთწლიანი გამოცდილება (მათ შორის იმ სახეობათა მართვაში, რომლებიც შესაძლოა გადაადგილებას დაექვემდებაროს); მას ასევე უნდა გააჩნდეს გარემოსდაცვითი საკითხებისა და მშენებლობის/ინჟინერიის უფრო ღრმა ცოდნა და გამოავლინოს საერთაშორისო პრაქტიკისა და კრედიტორთა (კერძოდ, EBRD, ADB & IFC-ის) ბიომრავალფეროვნების უსაფრთხოების გარანტიების კარგი ცოდნა.

საერთო ჯამში: ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა:

- განხორციელდება ინჟინრის უფლებამოსილების ფარგლებში საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტის მიერ, რომელიც ასევე მოამზადებს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების პროგრამას (BMEP)⁹ და მონიტორინგს გაუწევს/უხელმძღვანელებს ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის განხორციელებას.
- მხარდაჭერილია ეკოლოგიური ექსპერტისა და პროექტირების, შესყიდვებისა და მშენებლობის (EPC) კონტრაქტორის მიერ
- დამატებით მხარდაჭერილია სამუშაოების კონტრაქტორის მიერ დაქირავებული კონკრეტული ექსპერტების მიერ (არასამთავრობო ორგანიზაციების/უნივერსიტეტების და სხვ. წარმომადგენლები), ინჟინრის გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო სპეციალისტის ზედამხედველობით, ფრინველების/ძუძუმწოვრების ჰაბიტატებისა და ა.შ. შესახებ კვლევების განსახორციელებლად

⁹ BMEP: ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების პროგრამა.

5 მნიშვნელოვანი ჰაბიტატების სამოქმედო გეგმა


5.1 სუბალპური ტანბრეცილი არყნარის სამოქმედო გეგმა

მიმდინარე სტატუსი

შემოთავაზებული პროექტი გამოიწვევს დაახლოებით 0.13ა სუბალპური არყნარის ჰაბიტატის პირდაპირ მოსპობას ჩრდილოეთ პორტალის მე-5 გვირაბთან ახლოს. იგი თავდაპირველად იდენტიფიცირებული იყო, როგორც სუბალპური ტანბრეცილი არყნარი, - საქართველოს ეროვნული პრიორიტეტის მქონე ჰაბიტატი, რომელიც ჩვეულებრივ შედგება მაღალი არყის ხეების ტყით დაფარული ტერიტორიებისაგან დახურული ტევრებით, ზღვის დონიდან 1800–2300 მეტრის სიმაღლეზე, ჩვეულებრივ დეკას ქვეტყესთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ მოხდა სქემასთან ახლოს მდებარე ჰაბიტატის ხელახალი კლასიფიკაცია, ტანბრეცილი არყნარების სხვა ადგილები გვხვდება უფრო დიდ ტერიტორიაზე და შეიქმნება პროექტი მათი გვერდის ავლის მიზნით.



სუბალპური არყნარი



სუბალპური არყნარის მდებარეობა; წითელი ისრით ნაჩვენებია თუ სად იქნება განლაგებული პორტალი.



სამოქმედო გეგმა

სუბალპური ტანბრეცილი არყნარის სამოქმედო გეგმა				
მიდგომა	გვერდის ავლა	შემცირება	შერბილება	აღდგენა
ამოცანები	ამ პრიორიტეტული ჰაბიტატის ნულოვანი წმინდა დანაკარგი (ან ხარისხი) ტერიტორიაზე, პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად.			
ადგილმდებარეობა	მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ზემოქმედების ზონაში მე-5 გვირაბის ჩრდილოეთ პორტალთან წარმოდგენილია ამ ჰაბიტატის დაახლოებით 2.5 ჰა (და ჰაბიტატი ამ ტერიტორიაზე ფერდობების ჩრდილოეთით გვხვდება), სქემის მიერ სუბალპურ ტანბრეცილ არყნარზე ზემოქმედების მოხდენა მოსალოდნელი არ არის.			
შესაძლო ზემოქმედება	მიუხედავად იმისა, რომ პორტალის მშენებლობის დროს მოსალოდნელი არ არის სუბალპური ტანბრეცილი არყნარის ჰაბიტატის მოსპობა, ყურადღება უნდა დაეთმოს აღნიშნულის თავიდან აცილებას და ფუჭი ქანების განკარგვით გამოწვეული ზემოქმედების თავიდან აცილება მოხდება დასაცავი ტანბრეცილი არყნარის ნებისმიერი ტერიტორიის მკაფიო მარკირებით.			
მეთოდის აღწერა	<p>პროექტის ფარგლებში, პირველ რიგში, მოხდება ამ ჰაბიტატზე ზემოქმედების თავიდან აცილება. წინასწარი შემოწმების კვლევები განხორციელდება ეკოლოგიური ექსპერტის მიერ და მოხდება არყნარის დაცული ტერიტორიის დემარკაცია.</p> <p>გვირაბის პორტალთან, სადაც მოსპობა 0.1 ჰა სუბალპური არყნარის ჰაბიტატი, შესაძლებლობის შემთხვევაში, ხეები, რომლებიც ამოღებას ექვემდებარება, გადატანილი იქნება (ფესვთა სისტემის შენარჩუნებით) პროექტის ზემოქმედების ზონის მიმდებარე ტერიტორიებზე. პროექტის ზემოქმედების ზონაში ამ ტერიტორიებზე ასევე შეიქმნება დამატებითი ჰაბიტატი ხეების გადატანით გამოწვეული დანაკლისის შევსების მიზნით. ხეები დაირგვება 3(ახალი): 1(ძველი) თანაფარდობით. ხეები მოწოდებული იქნება ადგილობრივი საწარმოებთან, სათანადოდ გამაგრებული და მავნებლების გარეშე. მოსალოდნელია, რომ ხეების დარგვა აუცილებელი იქნება 0.3-0.5 ჰა ფართობზე, ხოლო პროექტის ფარგლებში დამტკიცდა, რომ დარგვისთვის მიწა ხელმისაწვდომია ჩრდილოეთ პორტალთან სხვა რესურსებზე ზემოქმედების გარეშე (ეკოლოგიური თუ სხვაგვარი).</p>			
მონიტორინგი	ნებისმიერი ჰაბიტატზე, რომელიც ადგილმდებარეობას შეიცვლის ან ხელახლა შეიქმნება, განხორციელდება მონიტორინგი პროექტირების, შესყიდვებისა და მშენებლობის (EPC) მთლიანი საგარანტიო პერიოდის განმავლობაში და არანაკლებ 5 წლის მანძილზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი გახარება. დაღუპული ხეები ჩანაცვლდება ანალოგიური სახეობის ხეებით. მონიტორინგი განხორციელდება როგორც ეკოლოგიური ექსპერტის, ასევე ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი სპეციალისტის მიერ.			
პასუხისმგებლობა	კონტრაქტორი ეკოლოგიური ექსპერტი ატარებს წინასწარი შემოწმების კვლევას და ზედამხედველობს ტრანსლოკაციის/აღდგენის ნებისმიერ სამუშაოს, რაც უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე, პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში, მშენებლობის გრაფიკის პერიოდში. ინჟინრის გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო სპეციალისტმა (IEBS) ვადები და ზედამხედველობა კონტრაქტორთან უნდა შეათანხმოს.			
ვადები	სამუშაოები უნდა ჩატარდეს პროექტის მშენებლობის შესაბამისი ეტაპების განმავლობაში. ჰაბიტატების ნებისმიერი ტრანსლოკაციის/აღდგენის მონიტორინგი გაგრძელდება 5 წლის მანძილზე, მისი ეფექტურობის უზრუნველსაყოფად. აღნიშნული სამუშაოები დაიწყება დაუყოვნებლივ, ვინაიდან ხეების მოცილება საჭირო იქნება გვირაბის გაყვანის დაწყებამდე. შესაბამისად აღდგენის/ტრანსლოკაციის განსაზღვრული ადგილების მონიტორინგის დაწყება შესაძლებელია პროექტის პირველი წელს და გაგრძელდება მშენებლობის პერიოდში საგარანტიო პასუხისმგებლობის პერიოდის ჩათვლით, რაც დარგვის შემდგომი 5-წლიანი			

	მონიტორინგის დასრულების საშუალებას იძლევა.
დამატებითი ინფორმაცია	იხ. არყნარი და დეკას ტყე ცენტრალური დიდი კავკასიონის ვერდობების ჩრდილოეთით (მაია შ. ახალკაცი, მცენარეთა გენეტიკური რესურსები, ბოტანიკის ინსტიტუტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი)

კონტრაქტორის ეკოლოგიური ექსპერტი შეადგენს დამატებით დეტალურ რუკებს, რაც უზრუნველყოფს ამ ჰაბიტატის გვერდის ავლას მე-5 გვირაბის ჩრდილოეთ პორტალის ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე. აღდგენის/კომპენსაციის ნებისმიერი მოთხოვნა განისაზღვრება ეკოლოგიური ექსპერტისა და საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტის მიერ, ხოლო შესაბამის აღდგენის/კომპენსაციის გეგმას შეიმუშავენ და დაამტკიცებს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი/EBRD/ADB, სამუშაოების დაწყებამდე. გეგმაში გათვალისწინებული იქნება თანაფარდობა 3:1, რომელიც გამოიყენება ნებისმიერი კომპენსაციისა თუ აღდგენის შემთხვევაში, მოსპობილ ჰაბიტატზე სამჯერ მეტი ახალი ჰაბიტატის შექმნით, ESIA-ს ვალდებულებების შესაბამისად. ყველა სახის აღდგენა/კომპენსაცია განლაგებული იქნება არსებული ჰაბიტატის გვერდით არსებულ ფართობებზე, საკონსერვაციო მნიშვნელობის სხვა ჰაბიტატებზე ან სახეობებზე ზემოქმედების მოხდენის გარეშე. შედგენილი იქნება ამ ტერიტორიების რუკები, რაც შერბილების ეფექტურობის შემდგომი მონიტორინგის საშუალებას იძლევა. ეკოლოგიური ექსპერტი ასევე განსაზღვრავს უნდა მოხდეს თუ არა არსებული ხეების გადატანა და ასეთ შემთხვევაში, ზედამხედველობა უნდა გაუწიოს მათ მოჭრას ან ფესვიანად ამოღებას და გადარგვას (ხე-ტყის მასალა უნდა გადაეცეს სამინისტროს, ტყის ფონდის მიწის მოთხოვნების შესაბამისად).

5.2 დაბალბალახიანი ჭაობებისა და ჭარბტენიანი მდელოების სამოქმედო გეგმა

მიმდინარე სტატუსი

დაბალბალახიანი ჭაობები (70GE03) წარმოადგენს საქართველოს ეროვნული პრიორიტეტულ ჰაბიტატს, რომლებიც ზღვის დონიდან 2300 მეტრის სიმაღლეზე გვხვდება დაბლობსა და მთების დაბალ ზონებში. 2018 წელს, დაბალბალახიანი ჭაობები აღირიცხა ზაქათკარის პლატოსთან ახლოს, მაგრამ მას შემდეგ მოხდა მათი ხელახალი კლასიფიკაცია ჭარბტენიან მდელოებად. ამ ტერიტორიაზე აღრიცხულია ჯადვარისებრთა იშვიათი სახეობა *Dactylorhiza urvilleana* (გუგულისკაბა), ასევე *Rumex alpinus* (მთის ღოღო) და შემდეგი გვარის მცენარეები - *Alchemilla* (მამრუჭი), *Cirsium* (ნარი), *Carex* (ისლი). 2019 წელს სახეობა *Eguisetum* (შვიტა) აღრიცხული არ არის. ჭარბტენიანი ტერიტორიები ასევე წარმოადგენენ მთელი რიგი ამფიბიებისა და რეპტილიების, მათ შორის, ჭაობის ბაყაყებისა და წყლის ანკარას მხარდამჭერს. აღრიცხული მცენარეებიდან ან ცხოველებიდან არც ერთი მათგანი არ არის შეტანილი ბუნების კონსერვაციის საერთაშორისო კავშირის (IUCN) ან საქართველოს წითელი ნუსხაში, კრიტიკულად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფის (CR), გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფის (EN) ან მოწყვლადის (VU) სტატუსით.





პლატოს ორთოფოტოგეგმა დადებული შემოთავაზებული სქემით. დაბალბალახიანი ჭაობები გვხვდება შედარებით დაბურულ ტერიტორიებზე, პლატოს საზღვრებიდან მოშორებით. მოხდება შემოთავაზებული ფუჭი ქანების სანაყაროების მართვა ამგვარი ადგილების გვერდის ავლის მიზნით.

სამოქმედო გეგმა

	დაბალბალახიანი ჭაობების სამოქმედო გეგმა			
მიდგომა	გვერდის ავლა	შემცირება	შერბილება	აღდგენა
ამოცანები	ამ პრიორიტეტული ჰაბიტატის ნულოვანი წმინდა დანაკარგი (ან ხარისხი) ტერიტორიაზე, პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის შედეგად.			
ადგილმდებარეობა	მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ჩანს, დაბალბალახიანი ჭაობები არ არის წარმოდგენილი, პროექტის ზემოქმედების უფრო ვრცელ ზონაში ზაქათკართან ახლოს პლატოზე წარმოდგენილია ამ ჰაბიტატის დაახლოებით 0.7 ჰა.			
შესაძლო ზემოქმედება	უნდა მოხდეს ამ ჰაბიტატის გვერდის ავლა და რაიმე სახის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. წინასწარი კვლევით განხორციელდება ჭარბტენიანი მდელოების/ ჭაობების ტერიტორიების დაკვირვება, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ამ ტერიტორიების გვერდის ავლა. სანაყაროებიდან დანალექის ჩადინებით გამოწვეული არაპირდაპირი ზემოქმედების თავიდან ასაცილებლად, ეკოლოგიურმა ექსპერტმა და საერთაშორისო გარემოსდაცვითმა სპეციალისტმა უნდა უზრუნველყონ სადრენაჟე სისტემის სათანადოდ მოწყობა ჭარბტენიანი ტერიტორიების დასაცავად, მაგ. სალექარების/ დანალექის გუბურების გამოყენებით.			
მეთოდის აღწერა	ამ ჰაბიტატის განსაზღვრას, დეტალურ კარტოგრაფირებას და მისთვის გვერდის ავლის მართვას ახორციელებს პროექტის ეკოლოგიური ექსპერტი (ECiW), ხოლო თავდაპირველი სამუშაოები უნდა განხორციელდეს მშენებლობის დაწყებამდე. უმთავრეს მიდგომას წარმოადგენს გვერდის ავლა იმ ჰაბიტატების ტერიტორიების მკაფიო კარტოგრაფირების და მარკირების მეშვეობით, რომელთა გვერდის ავლაც უნდა მოხდეს მშენებლობის დროს (მათ შორის ნიადაგის უტილიზაციის დროსაც).			
მონიტორინგი	მონიტორინგი მშენებლობის დროს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს, რომ არ მოხდეს ჰაბიტატებზე ზემოქმედება.			
პასუხისმგებლობა	კონტრაქტორის ზედამხედველი ინჟინერი კონტრაქტორის გარემოსდაცვითი ექსპერტი ახორციელებს წინასწარი შემოწმების კვლევას და უზრუნველყოფს ზომების მიღებას დანალექების მართვასთან დაკავშირებით.			
ვადები	სამუშაოები უნდა ჩატარდეს პროექტის მშენებლობის შესაბამისი ეტაპების განმავლობაში.			
დამატებითი ინფორმაცია	N/A			

6 მცენარეთა ენდემური სახეობების სამოქმედო გეგმა

ყაზბეგის უფრო ვრცელ რეგიონში აღრიცხულია მარღვოვანი მცენარეების 1000-ზე მეტი სახეობა, მათ შორის, დაახლოებით 28% კავკასიის ენდემური მცენარეებია. 11-დან სულ მცირე 5 ენდემური გვარია რეგისტრირებული ეროვნული პარკის ტერიტორიაზე, მათ შორის *Agasyllis*, *Dolichorrhiza*, *Symphyloloma*, *Trigonocaryum* და *Pseudovesicaria*. მე-5 გვირაბის ჩრდილოეთ პორტალთან ახლოს ჩატარებული ESIA-ს საველე კვლევებით აღირიცხა **ხუთი კავკასიური ენდემური მცენარის** მცირე რაოდენობა სამოვრებსა და ტყისპირებში, შემოთავაზებულ პორტალთან ახლოს. ამ სახეობებიდან არც ერთი არ არის IUCN-ის წითელი ნუსხით ან საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ რისკის წინაშე მყოფ სახეობად, ისინი ხშირად გვხვდება კავკასიაში და არც ერთი მათგანი არ არის შეტანილი ევროკავშირის დირექტივაში ჰაბიტატების შესახებ.

იგი მოიცავს შემდეგს:



Gladiolus caucasicus (კავკასიური ხმალა),



Parnassia palustris (ჭაობის ბალახები),



Iris caucasicus (კავკასიური ზამზახი),



Ranunculus baidarae



Ligularia subsagittata

პროექტის ზემოქმედების ზონაში შესაძლოა ასევე იყოს წარმოდგენილი არაერთი ენდემური სახეობა, თუმცა, დღეის მდგომარეობით, ისინი აღრიცხული არ არიან. ისინი შეიძლება მოიცავდეს სახეობებს, რომლებიც ფართოდ არიან გავრცელებულნი კავკასიის რეგიონში. **ქართული ენდემური სახეობები** (*Arabisk azbekensis*, *Galanthus platyphillus*, *Heracleum ossethicum* *Lilium georgicum*, *Muscari pallens*); **კავკასიური ენდემური სახეობები**

(*Delphinium flexuosum*, *Delphinium speciosum*, *Campanula hypopolia*, *Campanula petrophilla*, *Campanula sosnowskyi*, *Dianthus caucaseus*, *Fritillaria latifolia*, *Fritillaria lutea*, *Gladiolus tenuis*, *Inula magnifica*, *Primula cordifolia*, *Primula darialica*, *Sobolewska caucasica*) და ადგილობრივი ენდემური სახეობები (*Heracleum roseum* var. *latilobum*)

ჩამოთვლილიდან გამონაკლისია საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი ორი სახეობა, კერძოდ ოსური დიყი: *Heracleum ossethicum* (იზრდება ზვავების შედეგად ფორმირებულ სუბსტრატზე, მაღალმთიან და სუბალპურ ზონებში ზღვის დონიდან 1,800-2400 მეტრის დიაპაზონში და წარსულში დაფიქსირებულია კობის სამხრეთით) და *Eritrichium caucasicum* შეიძლება ასევე იზრდებოდეს პროექტის ზემოქმედების ზონაში. მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით არც ერთი მათგანი არ არის აღრიცხული, განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენაა საჭირო ამ სახეობების კვლევისას, ხოლო ეს სამოქმედო გეგმა განახლდება მათი აღმოჩენის შემთხვევაში.

სამოქმედო გეგმა

მიუხედავად იმისა, რომ პროექტის ზემოქმედების ზონაში არც ერთი კრიტიკულად გადაშენების პირას მყოფი ან გადაშენების პირას მყოფი ფლორას სახეობები (IUCN-ის წითელი ნუსხა ან საქართველოს წითელი ნუსხა) არ არის აღრიცხული, არსებობს იმის ალბათობა, რომ არაერთი ასეთი მცენარე მოექცევა ზემოქმედების ქვეშ ჰაბიტატის პირდაპირი მოსპობის შედეგად, განსაკუთრებით, ჩრდილოეთ პორტალთან ახლოს. ასეთი სახეობების ნულოვანი წმინდა დანაკარგის უზრუნველყოფის მიზნით შემოთავაზებულია შემდეგი სამოქმედო გეგმა. მისი განახლება მოხდება დამატებითი კვლევების დასრულებისას, 2019 წლის გაზაფხულზე, თოვლის დნობის შემდეგ.

სტატუსი	მცენარეთა ენდემური სახეობების სამოქმედო გეგმა			
მიდგომა	გვერდის ავლა	შემცირება	შერბილება	აღდგენა
ამოცანები	ენდემური ან სხვა თვალსაზრისით მნიშვნელოვანი მცენარეების ნულოვანი წმინდა დანაკარგი პროექტის ზემოქმედების ზონაში. მნიშვნელოვანი მცენარეების გრძელვადიანი კონსერვაციის ხელშეწყობა ყაზბეგის რეგიონში.			
ადგილმდებარეობა	ენდემური სახეობები წარმოდგენილი იქნება პროექტის ზემოქმედების ზონაში. თუმცა, საყურადღებო ზონები დადგინდა მე-5 გვირაბის პორტალების შემოგარენში, შესაძლო ფუჭი ქანების სანაყაროებზე და შემოთავაზებული მე-2 ლოტის გზაჯვარედინი.			
შესაძლო ზემოქმედება	ზემოქმედება მნიშვნელოვან მცენარეებზე გამოწვეული იქნება სამშენებლო სამუშაოების დროს ჰაბიტატის პირდაპირი მოსპობით. ნიადაგის მოცილების შემდეგ ზოგიერთი სახეობების შემთხვევაში, მცენარეები შენარჩუნდება თესლის ბანკში, მაგრამ სხვა ფესვიანად ამოღებული მცენარე ან მცენარეები შეიძლება დაიღუპონ.			
მეთოდის აღწერა	შემოთავაზებულია დამატებითი სავლე კვლევის ჩატარება (და კარტოგრაფირება) 2019 წლის გაზაფხულზე, პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი მცენარეების ტიპებისა და ადგილმდებარეობების შესახებ ცოდნის გაუმჯობესების მიზნით. ეკოლოგიური ექსპერტის მიერ ჩატარებული წინასწარი შემოწმების კვლევა გამოყენებული იქნება მნიშვნელოვანი მცენარეების შემცველი ნებისმიერი ტერიტორიის სადემარკაციოდ. სამუშაოების დროს მოხდება მნიშვნელოვანი მცენარეების გვერდის ავლა მაქსიმალურად შესაძლებელ დონეზე. მნიშვნელოვანი მცენარეები, რომელთა გვერდის ავლაც ვერ მოხერხდება, პრაქტიკული შესაძლებლობების ფარგლებში, გადატანილი იქნება შესაბამის ადგილებზე პროექტის ზემოქმედების საზღვრებში. სამუშაოზე			

	პასუხისმგებელი იქნება ეკოლოგიური ექსპერტი, მაგრამ ზედამხედველობას გაუწევს კრედიტორის ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი ექსპერტი (OE IES). მიწის ნაყოფიერი ფენის აღდგენა და გაშლა განხორციელდება სხვა მიმდებარე/დაზიანებულ ტერიტორიებზე, ბუნებრივი თესლის ბანკიდან მცენარეების ზრდის ხელშეწყობის მიზნით, პროექტის EMP-ის სხვა ელემენტების შესაბამისად.
მონიტორინგი	ნებისმიერი გადაადგილებული ჰაბიტატი თუ მცენარე დაექვემდებარება 3-წლიან მონიტორინგს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი გადარჩენა. დაღუპული მცენარეულობა ჩანაცვლდება ანალოგიური სახეობის მცენარეებით.
პასუხისმგებლობა	2019 წლის კვლევების მომზადებისა და კონტრაქტორის მონიტორინგის მართვას განახორციელებს ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი სპეციალისტი. კონტრაქტორი (ეკოლოგიური ექსპერტი) პასუხისმგებელია წინასწარი შემოწმების კვლევებისა და მცენარეთა ადგილმდებარეობის შეცვლის სამუშაოების ჩატარებაზე.
ვადები	თავდაპირველი სავსე სამუშაოები განხორციელდება 2019 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, ნებისმიერი მნიშვნელოვანი სახეობის გადაადგილებისთვის საკმარისი დროის გამოყოფის მიზნით, თუ აუცილებელი იქნება ასეთი სამუშაოების ჩატარება.
დამატებითი ინფორმაცია	კავკასიის ინიციატივა მცენარეთა შესახებ: მცენარეთა კონსერვაციის რეგიონალური სტრატეგია (www.mobot.org/MOBOT/Research/pdf/RedBook69mobot.pdf)

უნდა განხორციელდეს მნიშვნელოვან მცენარეთა დამატებითი კვლევა შემოთავაზებული პროექტის ზემოქმედების ზონაში სამშენებლო საქმიანობის დაწყებამდე. კვლევებში ყურადღება გამახვილებული იქნება ტერიტორიებზე, სადაც ძირითადი სამუშაოები მიმდინარეობს (განსაკუთრებით შემოთავაზებული ფუჭი ქანების სანაყაროები, მე-5 გვირაბის პორტალი და შემოთავაზებული გზაჯვარედინი). რომელიმე მნიშვნელოვანი მცენარის აღმოჩენის შემთხვევაში, ეკოლოგიის ექსპერტი დაადგენს ადგილმდებარეობებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მათი დაზიანება, პრაქტიკული შესაძლებლობების ფარგლებში, და ასევე მოამზადებს ანგარიშს, სადაც მითითებული იქნება ნებისმიერი დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების საჭიროება (და გეგმა) ამ სახეობის ნულოვანი წმინდა დანაკარგის უზრუნველსაყოფად. ასეთი კომპენსაციის/აღდგენის ნებისმიერი მეთოდი განხორციელდება 3:1 თანაფარდობით, ხოლო ტექნიკური მახასიათებლები დამტკიცდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის/EBRD/ADB-ის მიერ სამუშაოების დაწყებამდე. IUCN-ის ან საქართველოს წითელი ნუსხაში შეტანილი კრიტიკულად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (CR), გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი (EN) ან მოწყვლადი (VU) სტატუსის მქონე სახეობების აღმოჩენის შემთხვევაში და თუ სავარაუდოდ პროექტის განხორციელება მათზე ზემოქმედებას მოახდენს, პროექტი ითანამშრომლებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მარეგულირებლებთან ყაზბეგის ეროვნულ პარკში და მის შემოგარენში ამ სახეობების კონსერვაციის სტრატეგიის ჩამოყალიბებისა და მხარდაჭერისთვის.

7 სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანი ფრინველებისთვის

7.1 სამოქმედო გეგმა კავკასიური როჭოსთვის

მიმდინარე სტატუსი

კავკასიური როჭო (*Tetrao mlokosiewiczzi*) წარმოადგენს IUCN-ის: NT (საფრთხესთან ახლოს მყოფი) სტატუსის მქონე სახეობას, მაგრამ საქართველოს წითელი ნუსხით: VU (მოწყვლადი) და IBA-ს (ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი არეალის) ციტირების სახეობას. იგი ასევე აღიარებულია „შეზღუდული დიაპაზონის ფრინველად“. ფრინველები გვხვდება სუბალპურ მდელოებსა და სუბალპური ტყეებში მთელი რეგიონის მასშტაბით, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ფერდობებზე დეკასა ღვიასთან ერთად, ასევე არყნარის განაპირა ადგილებში გაზაფხულსა და ზამთარში 1,300-3000 მ სიმაღლეზე. მდელოები, რომლებიც თივის მოსაპოვებლად გამოიყენება, მნიშვნელოვანი ადგილია მოზუდარი ფრინველებისთვის, ხოლო მცვირალობის ადგილები გვხვდება ტყის ზოლის ზემოთ, ზამთრის საკვებ რესურსებთან არც თუ ისე შორს. იგი მოიცავს შემდეგს: *Betula litwinowii*, *Quercus macranthera*, *Fagus orientalis*, *Juniperus* და *Rosa spp.* მიუხედავად იმისა, რომ დღეის მდგომარეობით სახეობები აღრიცხული არ არის პროექტის ზემოქმედების ზონაში, იგი შეიძლება წარმოდგენილია რამდენიმე წლის განმავლობაში და არყნარის ტერიტორიების ირგვლივ ჩრდილოეთ პორტალის მე-5 გვირაბთან ახლოს. იმის გათვალისწინებით, რომ მცხეთა-მთიანეთის რეგიონი წარმოადგენს საქართველოში ამ სახეობის პოპულაციის დაახლოებით 25%-ის მხარდამჭერს (ე.ი. დაახლოებით 2000-3500 სქესმწიფე მამალი ფრინველი), და რომ მათი უმეტესობა ბინადრობს ყაზბეგის ეროვნულ პარკში, პროექტის ფარგლებში მიღებული იქნა უსაფრთხოების წინასწარი ზომები აღნიშნულ სახეობასთან დაკავშირებით, სავარაუდოდ ეს სახეობა წარმოდგენილია შესაბამის ჰაბიტატში, თუ 2019 წლის კვლევებიდან მიღებული ინფორმაციაში სხვა რამ არ იქნება მითითებული. აღნიშნულ სახეობას საფრთხე ემუქრება ჰაბიტატის ფრაგმენტაციისა და ასევე ინტენსიური ნადირობის, ძოვებისა და ტყის ჭრის გამო.



სამოქმედო გეგმა

სტატუსი	სამოქმედო გეგმა კავკასიური როჭოსთვის			
მიდგომა	გვერდის ავლა	შემცირება	შერბილება	აღდგენა
ამოცანები	პროექტის განხორციელების შედეგად კავკასიური როჭოს პოპულაციაზე არ განხორციელდება აბსოლუტური ზემოქმედება. კავკასიური როჭოს არსებობის ან არსებობის დადასტურება ზემო ხადას ხეობაში, მის მიმდებარე მთაგრეხილებსა და ჩრდილოეთ პორტალის მე-5 გვირაბთან. როჭოს გაძლიერებული კონსერვაცია ყაზბეგის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე.			
ადგილმდებარეობა	როჭო შეიძლება წარმოდგენილი იყოს ზემო ხადას ხეობასა და მის შემოგარენსა და პირველი ლოტის ტერიტორიაზე.			
შესაძლო ზემოქმედება	პროექტი განხორციელდება მიწისქვეშ დაახლოებით 200 მეტრის სიღრმეზე, სადაც იგი გადაკვეთს მაღალი არყნარის ტყისპირს და მშენებლობის ან სქემის ექსპლუატაციის შედეგად პირდაპირი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. თუმცა, პროექტის შედეგად გაიზრდება მისაწვდომობა ზემო ხადას ხეობასა და მის შემოგარენზე, და შესაძლოა, ფრინველების მიერ გამოყენებული ტერიტორიები ზემოქმედების ქვეშ მოექცეს, მათ შორის, ნადირობის შედეგად. ფრინველები შეიძლება ასევე წარმოდგენილი იყვნენ პირველი ლოტის გვირაბთან ახლოს.			

მეთოდის აღწერა	2019 წელს განხორციელდება სქესმწიფე როჭობის სპეციალური კვლევა. კვლევები ფოკუსირებული იქნება არა მხოლოდ მე-5 გვირაბის ჩრდილოეთ პორტალსა და მის შემოგარენზე, არამედ ხადას ხეობის ზემოწელზეც. თუ კვლევები დაადასტურებს როჭოს არსებობას, საავტომობილო გზების დეპარტამენტი/EBRD/ADB სამუშაოების დაწყებამდე შეიმუშავებენ დამატებით შემარბილებელ ღონისძიებებს (მაგ. მშენებლობის სეზონური შეზღუდვები ბუდობის სეზონზე ჩარევის თავიდან აცილების მიზნით). ეს შეიძლება მოიცავდეს როჭოს ზამთრის ძირითადი საკვები სახეობების (როგორცაა <i>Betula litwinowii</i> , <i>Quercus macranthera</i> , <i>Fagus orientalis</i> , <i>Juniperus</i> და <i>Rosa spp</i>) დარგვის შესაძლებლობების პოტენციალის გამოვლენას გამწვანების დროს.
მონიტორინგი	მონიტორინგის რეჟიმების შეიმუშავება მოხდება 2019 წლის კვლევის შემდეგ, მაგრამ როჭოს არსებობის შემთხვევაში, განხორციელდება მშენებლობის დაწყებიდან 5 წლის მანძილზე. იგი მოიცავს ამ სახეობისთვის შექმნილი ნებისმიერი ჰაბიტატის მონიტორინგს.
პასუხისმგებლობა	რესურსებით უზრუნველყოფასა და სამუშაოს მონიტორინგზე პასუხისმგებელია კრედიტორების ინჟინერი. ტექნიკური სამუშაოების განსახორციელებლად ხელშეკრულება გაფორმდება შესაბამის ტექნიკურ ორგანიზაციასთან ან არასამთავრობო ორგანიზაციასთან.
ვადები	თავდაპირველი სწრაფი შეფასება განხორციელდება 2019 წლის გაზაფხულზე. დამატებითი სამუშაო მოგვიანებით იქნება შეიმუშავებული.
დამატებითი ინფორმაცია	Isfendiyarog˘ lu, S., Welch, G. & Ataol, M. 2007: კავკასიური როჭო <i>Tetrao mlokosiewiczzi</i> თურქეთში: უახლესი კვლევების შედეგები და კონსერვაციის რეკომენდაციები. - Wildl. Biol. 13 (დამ. 1): 13-20

7.2 სამოქმედო გეგმა ფასკუნჯებისთვის

მიმდინარე სტატუსი

ფასკუნჯი (*Neophron percnopterus*) ზომით ყველაზე პატარა ევროპული სვავია. იგი წარმოადგენს IUCN-ის EN (გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ), საქართველოს წითელი ნუსხის და ევროკავშირის ფრინველთა შესახებ დირექტივის დანართში I წარმოდგენილ სახეობას. საქართველოში იგი მიგრირებადი სახეობაა, იმ ფრინველებთან ერთად, რომლებიც სექტემბრისთვის მიფრინავენ სამხრეთისაკენ თბილ ადგილებში გამოსაზამთრებლად და მარტისთვის ბრუნდებიან გასამრავლებლად. კავკასიაში ბოლო წლებში აღრიცხულია დაახლოებით 235 მოზუდარი წყვილი, ხოლო საქართველოში - 100-140¹⁰. თუმცა, როგორც ჩანს, გასულ წელს საქართველოში პოპულაციამ სწრაფი და უკიდურესად მნიშვნელოვანი შემცირება განიცადა და მიმდინარე შეფასებებით, ქვეყნის მასშტაბით მათი რიცხვი შეიძლება 30-40 წყვილამდე შემცირდეს (საბუკოს პერსონალური შეტყობინება).



¹⁰ იხ. BirdLife International-ის (2017) ევროპის საკონსერვაციო ფრინველები: პოპულაციები, ტენდენციები და ეროვნული პასუხისმგებლობა, კემბრიჯი, გაერთიანებული სამეფო

ფასკუნჯები ბუდეს იკეთებენ კლდეებზე, განსაკუთრებით იქ, სადაც თავს აფარებენ გამოქვაბულებს ან სოროებს და საიდანაც ფართო ხედები იშლება.¹¹ წყვილი იმავე ტერიტორიაზე ყოველწლიურად ბრუნდება და ხშირად შეიძლება ერთზე მეტი ბუდობის ადგილი ჰქონდეთ (კურტევი და სხვ. 2008). ორივე სქესის მიერ აშენებული ბუდე შედგება მსუბუქი და მოზრდილი ტოტების გროვისაგან (150 სმ დიამეტრის და 20-70 სმ სიგრძის), იგი ხშირად დაფარულია ნარჩენების სქელი ფენით. ბუდეები, როგორც წესი განცალკევებული და ხშირად მიმოფანტულია, თუმცა ახალი წყვილები, არსებული ინფორმაციით, დიდი ალბათობით ბუდეს იდებენ იმავე სახეობის სხვა წყვილებთან ახლოს. ბუდეებს ხშირად მომდევნო წლებშიც იყენებენ.

ცნობილია, რომ სახეობა ბოლო წლებში ეროვნულ პარკში მრავლდება და ასევე ცნობილია, რომ სულ მცირე, ფრინველთა ერთი წყვილი მრავლდება პროექტის ზემოქმედების ზონაში. ცნობილია, რომ ამ მიზნით რამდენიმე წლის განმავლობაში გამოიყენებოდა ადგილი სამხრეთ პორტალის შემოთავაზებულ 1-ელ გვირაბთან ახლოს (ადგილის ზუსტი მდებარეობა ამ დოკუმენტში მოცემული არ არის, მათი სიმშვიდის დარღვევის რისკის შემცირების მიზნით), ასევე გამოიყენება მეორე ადგილი პროექტის ზემოქმედების ზონაში, მაგრამ ცნობილია, რომ 2019 წელს არც ერთი ადგილი არ არის აქტიური.


პირველი შეჯვარება 4-5 წლის ასაკში ხდება, და ისინი საშუალოდ 2 კვერცხს დებენ. კვერცხის დადება ხდება გვიან აპრილში და მასზე ორივე სქესის ფრინველი ზის 6 კვირის მანძილზე. ბარტყებს უვლის და კვებავს ორივე მშობელი ბუდეში და ზრდასრულები ხდებიან 70-90 დღის შემდეგ. მშობლები ბარტყებს 35 დღის მანძილზე კვებავენ და მათ კვებას უშუალოდ ზამთრის მიგრაციის წინ წყვეტენ.

ფასკუნჯი საკვებს მოიპოვებს ღია რელიეფებზე, მათ შორის სათიბებში, სტეპებში, სავანებში, ჭაობისპირებში და ნაგავსაყრელებსა და გზის ნაპირებზეც კი. იგი ძირითადად ღეშით და ორგანული ნარჩენებით იკვებება, მაგრამ კვების რაციონ ავსებს მწერებით, მცირე რეპტილიებით, ბაყაყებით, ბარტყებით, კვერცხებით და მწიფე ხილით. საკვების მოპოვების ტერიტორია ხშირად 10-15 კმ²-ს მოიცავს.

ფასკუნჯის მაღალი სიკვდილიანობა და დაბალი შობადობა იწვევს მისი პოპულაციის მნიშვნელოვან შემცირებას გლობალური მასშტაბით. ამის მიზეზი უპირველეს ყოვლისა, მოწამვლაა (ხშირად მოწამლული სატყუარას განზრახ გამოყენება), თუმცა ასევე პრობლემას წარმოადგენს სათანადო საკვები რესურსების შემცირება და ცუდი ხარისხის საკვების მოსაპოვებელი ჰაბიტატებიც. ქარის ელექტროსადგურებისა და ელექტრონული ქსელის გაფართოების გამო ასევე გაიზარდა შეჯახებით გამოწვეული სიკვდილიანობის რიცხვი.

ძირითადი შემარბილებელი საშუალება იქნება ზემოქმედების თავიდან აცილება. ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, შესაძლებლობის ფარგლებში, პროექტი განსაზღვრავს ტერიტორიაზე არსებული ბუდობის ადგილების მდებარეობას (2019 წლიდან) და შემდეგ მიჰყვება გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სქემას.

¹¹ საბერძნეთში ჩატარებული უახლესი კვლევით დადგინდა, რომ ბუდეების მხოლოდ 29% მდებარეობს ბეჭობებზე (ვალკოსი და სხვ., 1998).
http://old.lifeneophron.eu/files/docs/1471335966_554.pdf



მიუხედავად იმისა, 2019 წელს ფიქსირდება თუ არა ფასკუნჯების ბუდობა 1-ლი გვირაბის/ჩრდილოეთ პორტალის სიახლოვეს ან პროექტის ზემოქმედების სხვა ნებისმიერ ზონაში, სამუშაოების დაწყება დაიგეგმება ფასკუნჯების ბუდობის სეზონის დაწყებამდე (ჩვეულებრივ, აპრილის დასაწყისიდან აგვისტოს ბოლომდე), რათა პროაქტიულად მოხდეს ფრინველების მიერ ბუდობის ადგილის გამოყენება სამშენებლო ტერიტორიიდან მოშორებით. ბუდობის სეზონის დაწყებისას ჩატარდება ბუდეების სპეციალური კვლევები და ბუდეების პოვნის შემთხვევაში, გამოყენებული იქნება შემარბილებელი ღონისძიებები, რომელიც ქვემოთ არის მოცემული. გარდა ამისა, ყველა სამუშაო, რომელიც ადრე აპრილიდან იწყება, ოთხი კვირის განმავლობაში ზედმიწევნით იქნება დაგეგმილი, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამუშაოები ცნობილი ბუდობის ადგილის

უშუალო სიახლოვეს (350 მ). 2019 წელს გამრავლება არ დაფიქსირებულა და იმ შემთხვევაში, თუ ბუდობა არ დაფიქსირდება, სამუშაოები ჩვეულ რეჟიმში გაგრძელდება სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებების დაცვით, რომელიც პროექტის გარემოს მართვის გეგმებშია მოცემული. თუ 2020 წელს დაფიქსირდება ბუდობა, საპროექტო სამუშაოები დაიგეგმება იმგვარად, რომ თავიდან იქნეს აცილებული ხმაურის გამომწვევი სამუშაოები ბუდის სიახლოვეს სათანადო მანძილზე (850 მ-მდე), რაც უნდა შეთანხმდეს მარეგულირებლებთან, კრედიტორებთან და მთავარ ჩართულ მხარეებთან (მათ შორის მთავარ გარემოსდაცვით ორგანიზაციებთან). ეს გაგრძელდება ბუდობის დასრულების პერიოდის შემდეგ (მართვების ბუმბულით შემოსვის დასრულების შემდეგ), ჩვეულებრივ, აგვისტოში. ამ პერიოდის განმავლობაში, შეიძლება აუცილებელი გახდეს გარკვეული კრიტიკული სამუშაოების შესრულება. აღნიშნულ შემთხვევაში, და მხოლოდ გამოჩვევის შემდეგ, საავტომობილო გზების დეპარტამენტმა კრედიტორებისა და მარეგულირებლებისგან უნდა მოითხოვოს მითითებები და ქმედებების შეთანხმებული წესისა და პირობების დამტკიცება, რომელშიც მინიმუმ გათვალისწინებული იქნება ორნიტოლოგის/სახეობის ექსპერტების მკაცრი ზედამხედველობა.

თუ ნებისმიერ დროს, სამშენებლო სამუშაოების დაწყების შემდეგ მოხდება აქტიური ბუდის მიტოვება, პროექტის ფარგლებში განხორციელდება ბიომრავალფეროვნების საკომპენსაციო ღონისძიებები, რომლებიც ეფუძნება ქვემოთ წარმოდგენილ ვალდებულებებს, მაგრამ უნდა მოხდეს მათი დამატებითი შემუშავება ფასკუნჯების საკითხების ეროვნული და საერთაშორისო ექსპერტების მონაწილეობით და დამტკიცდეს კრედიტორების მიერ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ნულოვანი წმინდა დანაკარგის /წმინდა სარგებელის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

მშენებლობის დროს შესაძლო ზეგავლენასთან ერთად, ფაქტი, რომ ერთ-ერთი ცნობილი ბუდობის ადგილი დაახლოებით 200 მ-ის მანძილზე იქნება გვირაბის პორტალიდან, ნიშნავს იმას, რომ ბუდის ადგილის მდგრადობის სიცოცხლისუნარიანობა, ეჭვგარეშეა, რომ გზის ექსპლუატაციის პერიოდში უნდა შენარჩუნდეს. შესაბამისად, სიფრთხილის წინასწარი ზომებიდან გამომდინარე, პროექტის მიზანი იქნება რამდენიმე საკომპენსაციო ღონისძიების განხორციელება, მიუხედავად იმისა მოხდება თუ არა ფრინველების ბუდობა სამშენებლო პერიოდში. აღნიშნული სავარაუდოდ უნდა მოიცავდეს ქვემოთ მოცემულ ერთ ან რამდენიმე ღონისძიებას:

- **ცნობიერების ამაღლება კონსერვაციის შესახებ.** ბევრ ადგილებში ფასკუნჯების პოპულაციებს ზიანი ადგებათ ფრინველთა განზრახ მოწამვლის შედეგად. პროექტის ზემოქმედების ზონაში აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად ინიცირებული იქნება ცნობიერების ამაღლების პროგრამა.
- **კვების პუნქტები.** კვლევებმა აჩვენა, რომ შემზღუდავ ფაქტორს ფასკუნჯის გამრავლების წარმატებაში ბუდობის ადგილებზე მეტად საკვები წარმოადგენს. პროექტის ფარგლებში განიხილება ადგილობრივი „ფასკუნჯების რესტორნის“ მოწყობა სამშენებლო ტერიტორიიდან მოშორებით. აღნიშნული მეთოდი წარმატებით მუშაობს სხვა ტერიტორიებზე და ეს მიდგომა დამატებით განიხილული იქნება საერთაშორისო გარემოსდაცვით და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტთან/სავტომობილო გზების დეპარტამენტთან/კრედიტორის ინჟინერთან/კრედიტორებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.

- **ხელოვნური ბუდეების ადგილები.** მიუხედავად იმისა, რომ ფრინველები შეიძლება შეეგუონ სამშენებლო საქმიანობას არსებული გზის ანალოგიურად, აღნიშნულის გარანტია არ არსებობს და განხორციელდება შეფასება იმასთან დაკავშირებით, მიიღებენ თუ არა ფრინველები სარგებელს დამატებითი (ხელოვნური) ბუდის მოწყობით, რომელიც აქტიური სამუშაოების ადგილიდან 850 მეტრზე მეტი მანძილით იქნება დაშორებული. .
- **დამატებითი საკონსერვაციო ღონისძიებები.** პროექტის ფარგლებში, ფრინველთა საერთაშორისო/ეროვნული ექსპერტების კონსულტაციების შედეგად განისაზღვრება კონსერვაციის დამატებითი ღონისძიებები, რომლის მიზანია საქართველოში ფასკუნჯის შესახებ ცნობიერების ამაღლების გაუმჯობესება. ეს შეიძლება მოიცავდეს სამეცნიერო კვლევებს, მონიტორინგს და ა.შ. (მაგ. თანამგზავრული სისტემით თვალთვალის, პოპულაციის კარტოგრაფირების დახმარებით; ან/და პოპულაციის სწრაფი შემცირების კვლევით - იხ. 1-ლი ეტაპი ქვემოთ), ასევე ეროვნული პარკის უფრო ფართომასშტაბიანი მხარდაჭერის საკითხის განხილვას, მათ შორის, მაგალითად, პროექტის ზემოქმედების ზონაში ფრინველებისთვის მეგობრული გადაამცემი ხაზების/ანძების დამონტაჟებას:

თუ საჭირო გახდება საკომპენსაციო ღონისძიებები, მათი გამოყენება მოხდება შემდეგნაირად:

კომპენსაციის 1-ლი ეტაპი: პროექტი დაუკავშირდება შესაბამის ორგანიზაციას დეტალური სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით, რომელიც უნდა მოიცავდეს ზემოთ მითითებულ ვარიანტებს, რომლის მიზანიც ფასკუნჯის გრძელვადიანი კონსერვაციის ხელშეწყობაა ყაზბეგის ფრინველებისთვის მნიშვნელოვან ადგილზე (IBA) (და შესაძლებლობის შემთხვევაში, საქართველოს სხვა ტერიტორიებზეც). ეს შეიძლება მოიცავდეს კვლევას ფასკუნჯების მიერ გამოყენებული ტერიტორიების, მათი რეპროდუქციული წარმატების და არსებული საფრთხეების შესახებ; პროექტის ზემოქმედების ზონაში აღმოჩენილი ბუდეების დამატებითი ადგილების "დაცვას"; ხუთწლიანი კამპანიის ფარგლებში ადგილობრივი და ეროვნული მედიის (გაზეთები, ტელევიზია და ინტერნეტი) საშუალებით ცნობიერების ამაღლებას სახეობის მნიშვნელობის შესახებ; საკითხის განხილვას შედარებით მყუდრო ადგილებში კვებისა და გამრავლების ხელოვნური ადგილების შექმნის შესახებ; აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების მიზნით შეიძლება ხელშეკრულებები გაფორმდეს კომპეტენტურ სპეციალისტებთან ან არასამთავრობო ორგანიზაციებთან და გაკონტროლდეს დამოუკიდებელი კვალიფიციური ეკოლოგების მიერ.

კომპენსაციის მე-2 ეტაპი: აუცილებლობის შემთხვევაში გაგრძელდება კომპენსაციის 1-ლი ეტაპი დეტალური სამოქმედო გეგმის განხორციელებით და მასშტაბი გაფართოვდება, ვიდრე პროექტის ზემოქმედების ზონაში გამრავლება არ აღდგება ან ფრინველებისთვის მნიშვნელოვან ადგილებში არ აღდგება სახეობის პოპულაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ მობუდარი წყვილის არარსებობა ან წარუმატებელი გამრავლების მცდელობა შეიძლება გამოწვეული იყოს არა პროექტთან დაკავშირებული ზემოქმედებით, არამედ ბუნებრივი სიკვდილიანობით, დევნით, ბრაკონიერობით და სხვ.,

რომელმაც, როგორც ახლახან იქნა განხილული საბუკოსთან ერთად (პერსონალური კომუნიკაცია), როგორც ჩანს, ბოლო წლებში მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ეროვნულ პოპულაციაზე. იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი სავარაუდოდ, სულ მცირე, ერთი ბუდის ადგილს მაინც გახდის ნაკლებად ხელსაყრელს მომავალი ბუდობისთვის (მიუხედავად იმისა, იგი ამჟამად გამოიყენება თუ არა), პროექტი პროაქტიულად დაიწყებს საკომპენსაციო ღონისძიებების შემუშავებას სახეობის საკონსერვაციო ღონისძიებების ხელშეწყობის მიზნით. გარდა ამისა, ასევე შეიძლება აუცილებელი გახდეს ადაპტაციური კომპენსაციის სტრატეგია, თუ ადგილზე შედგება ბუდობა, მაგრამ წარუმატებელი იქნება იგი.

სტრატეგიის მიღება დაფუძნებული იქნება მონიტორინგის ღონისძიებების შედეგებზე მშენებლობის დროს და მშენებლობის შემდგომ 5 წლის განმავლობაში. ფასკუნჯის არსებობისა და ქცევის რეგულარული მონიტორინგი განხორციელდება გამოცდილი ორნიტოლოგის მიერ 1 აპრილიდან 30 სექტემბრამდე, მშენებლობის ეტაპზე¹². ამ პერიოდში, ერთდღიანი დაკვირვება კვირაში ორჯერ განსაზღვრავს ფასკუნჯის ბუდობის მცდელობას ამ ადგილზე (ან პროექტის ზემოქმედების ზონის ნებისმიერ სხვა ადგილზე), მიგრაციიდან დაბრუნების შემდეგ. მოზუდარი წყვილის არარსებობის ან გამრავლების წარუმატებლობის შემთხვევაში, ამოქმედდება კომპენსაციის 1-ლი და მე-2 ეტაპები, რომლებიც ნაჩვენებია მოცემულ ცხრილში:

დაკვირვება	შემოთავაზებული რეაგირება
გასამრავლებელი წყვილის მიერ ბუდობის არც ერთი მცდელობა გვირაბის შესასვლელთან (ან სხვა ტერიტორიაზე) მშენებლობის პერიოდის არც ერთ ეტაპზე არ დაფიქსირებულა,	შემოთავაზებული არ არის რაიმე სახის კომპენსაცია, რამდენადაც ეს არ იქნება პროექტთან კავშირში.
არსებობს გამრავლების მცდელობა, მაგრამ მოხდა მიტოვება ან უშედეგოდ დასრულდა ერთხელ მშენებლობის ან ექსპლუატაციის პირველი ხუთი წლის განმავლობაში,	დაიწყება კომპენსაციის პირველი ეტაპი.
თუ ადგილი აქვს გამრავლების ერთზე მეტ უშედეგოდ დასრულებას მშენებლობის დაწყებიდან ბუდობის მეხუთე სეზონის დასრულებამდე (ექსპლუატაციის ეტაპი)	განხორციელდება საკომპენსაციო ზომების პირველი და მეორე ეტაპები
8.1.1 სახეობა უწყვეტი წარმატებით ახორციელებს ბუდობას პროექტის ზემოქმედების ზონაში მშენებლობის დაწყებიდან პირველი ხუთი წლის განმავლობაში.	8.1.2 კომპენსაციის ზომები საჭირო არ იქნება, რამდენადაც დადასტურდება უმნიშვნელო ნარჩენი ზემოქმედება.

სამოქმედო გეგმის რეზიუმე

სტატუსი	სამოქმედო გეგმა ფასკუნჯებისთვის
---------	---------------------------------

12 მშენებლობის სატენდერო დოკუმენტებში აუცილებელი იქნება ხელშეკრულება დამოუკიდებელ ორნიტოლოგთან (რომელიც ADB/EBRD-ის მიერ იქნება დამტკიცებული).

მიდგომა	გვერდის ავლა	შემცირება	შერბილება	აღდგენა
ამოცანები	ფასკუნჯის პოპულაციის ადგილობრივი გამრავლების მხარდაჭერა მიუხედავად შემოთავაზებული პროექტის ფარგლებში მშენებლობისა და ექსპლუატაციისა. ამის გაზომვა მოხდება პროექტის ზემოქმედების ზონაში ფასკუნჯების გამრავლების პროგრესის მონიტორინგის მეშვეობით.			
ადგილმდებარეობა	შესაძლებელია ფასკუნჯები მრავლდებიან 1-ლი გვირაბის პორტალის ტერიტორიაზე და პროექტის ზემოქმედების უფრო ვრცელ ზონაშიც. ისინი იკვებებიან პროექტის ზემოქმედების ზონაში.			
შესაძლო ზემოქმედება	შემოთავაზებული გზის მშენებლობამ და ექსპლუატაციამ შეიძლება გამოიწვიოს არსებული ბუდობის ადგილების დარღვევა 1-ლი გვირაბის სამხრეთ პორტალთან ახლოს. ფასკუნჯების ბუდეების დარღვევის შესახებ ჩატარებული უახლესი კვლევებით დაფიქსირდა, რომ ზრდასრულ ფასკუნჯებს ხელი შეეშალათ ბუდეებთან მისვლაში ბარტყების გამოსაკვებად ადამიანის საქმიანობის შედეგად, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბუდიდან საშუალოდ 300 მეტრის მანძილზე (და მაქსიმალური 600 მეტრის მანძილზე). დადგინდა, რომ საშუალოდ 800 მეტრის დაშორებით განხორციელებული საქმიანობა არ იწვევს ფრინველების სიმჭიდროდის დარღვევას ¹³ . სავარაუდოდ, საკვების მოძოვებელ ფრინველებზე სქემა ზემოქმედებას არ მოახდენს.			
მეთოდის აღწერა	ძირითადი შემარბილებელი საშუალება იქნება ზემოქმედების თავიდან აცილება. აღნიშნულის მართვის მიზნით, გამოყენებული იქნება ზემოხსენებული გადაწყვეტილების მიღების სქემა. საჭირო იქნება თუ არა კომპენსაციის აუცილებელი 1-ლი და მე-2 ეტაპების განხორციელება, უნდა დადგინდეს მონიტორინგის მეშვეობით. ეს შეიძლება მოიცავდეს კვების პუნქტებს, ცნობიერების ასამაღლებელ ინიციატივებს, ხელოვნურ ბუდეების მოწყობას ან სხვა ფაქტორებს, რომლებიც ზემოთ არის მითითებული და მათი შეთანხმება უნდა მოხდეს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან/ძირითად დაინტერესებულ მხარეებთან.			
მონიტორინგი	მონიტორინგის განხორციელება დაიწყება 2019 წლის გაზაფხულიდან და გაგრძელდება მშენებლობის დაწყებიდან 5 წლის მანძილზე.			
პასუხისმგებლობა	რესურსებით უზრუნველყოფასა და სამუშაოს მონიტორინგზე პასუხისმგებელია კრედიტორების ინჟინერი. ტექნიკური სამუშაოების განსახორციელებლად ხელშეკრულება გაფორმდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე დამოუკიდებელ ორნიტოლოგთან (მაგ. ტექნიკურ ორგანიზაციასთან ან არასამთავრობო ორგანიზაციასთან). კონტრაქტორებმა უნდა განახორციელონ შესაბამისი შემარბილებელი სამუშაოები პროექტის მშენებლობის დროს.			
ვადები	სამუშაოები დაიწყება 2019 წლის გაზაფხულზე და გაგრძელდება 5 წლის მანძილზე.			
დამატებითი ინფორმაცია	ფასკუნჯების შესახებ არაერთი ინფორმაცია ხელმისაწვდომია ევროკავშირის პროექტის „ფასკუნჯის დაბრუნება“ ფარგლებში, იხ. see http://lifeneophron.eu/ დამატებითი ინფორმაციის მოძიება შესაძლებელია ლექსო გავამელიშვილთან, საქართველოს გლობალური კლიმატის ცვლილების კვირეულის (GCCW) ფარგლებში ევროკავშირისთვის 2008 წელს მიწოდებული მასალით „სახეობათა სამოქმედო გეგმა ფასკუნჯისთვის“ და არასამთავრობო ორგანიზაცია საბუკოსგან.			

განახლებული საბაზისო შედეგებიდან და შემოთავაზებული ზემოხსენებულ შემარბილებელი ღონისძიებების მიდგომებიდან გამომდინარე, ამ მიდგომამ უარყოფითი ზემოქმედება არ უნდა მოახდინოს ფასკუნჯის კრიტიკულ ჰაბიტატზე/

¹³ იხ. „ადამიანის საქმიანობის ზემოქმედება ფასკუნჯის გამრავლების პროგრესზე“, ი. ზუბეროგოიტა, ჯ. ზაბალა, ა. მარტინესი, ე. მარტინესი, ა. აზკონა, <https://zslpublications.onlinelibrary.wiley.com/doi/pdf/10.1111/j.1469-1795.2008.00184.x>

ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტულ მახასიათებლებზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, პროექტის ფარგლებში მიღებული იქნება ადაპტაციური მართვის მიდგომა სახეობასთან მიმართებაში და გამოყენებული იქნება სათანადო შემარბილებელი ან/და კომპენსაციის ღონისძიებები, თუ ფასკუნჯი დაფიქსირდება უშუალოდ საპროექტო ზონაში, განსაკუთრებით მშენებლობის დროს.

8.2 სამოქმედო გეგმა ღალღასთვის

მიმდინარე სტატუსი

ღალღა (*Crex crex*) მიეკუთვნება IUCN-ის LC (ყველაზე ნაკლები რისკის) კატეგორიას, მაგრამ ფრინველისათვის მნიშვნელოვანი ადგილების სახეობას. იგი საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი არ არის (ეროვნულ დონეზე პოპულაცია დაახლოებით 10,000-50,000 მამალს ითვლის), მაგრამ რჩება კონსერვაციის მაღალი პრიორიტეტის მქონე სახეობად – მისი ბინადრობის ადგილების მნიშვნელოვან ნაწილებში. შორ მანძილზე მიგრირებადი



სახეობა, რომელიც ბუდობს ღია ან ნახევრად ღია ჰაბიტატში, ძირითადად მდელოებსა და მაღალ ბალახებში. ყაზბეგის ხეობებში და სათიბებში ბინადრობს მნიშვნელოვანი პოპულაცია, ხოლო IBA-ს ციტირების შედეგად აღრიცხულია 20-ზე მეტი მოზუდარი წყვილი IBA-ში. 2019 წლის გაზაფხულის კვლევებით დადასტურდა, რომ სახეობა მრავლდება როგორც წკერესთან, ასევე კობთან ახლოს. არსებობს ფრინველების გამრავლებისთვის ხელის შეშლის შესაძლებლობა როგორც ბეგონის პლატოს, ასევე მე-5 გვირაბის ჩრდილოეთ და სამხრეთ პორტალების შემოგარენში და სახეობას უკვე ემუქრება საფრთხე ჰაბიტატის ფრაგმენტაციისა და გაზრდილი ნადირობის და ძოვების გამო.

სამოქმედო გეგმა


სტატუსი	სამოქმედო გეგმა ღალღასთვის			
მიდგომა	გვერდის ავლა	შემცირება	შერბილება	აღდგენა
ამოცანები	პროექტის შედეგად ღალღას პოპულაციის ნულოვანი წმინდა დანაკარგი. ღალღას არსებობის დადასტურება მე-5 გვირაბის ჩრდილოეთ და სამხრეთ პორტალებისა და ბეგონის პლატოს ძირითად ადგილებსა და მის შემოგარენში. ყაზბეგის ეროვნულ პარკსა და მის შემოგარენში ამ სახეობის კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავების მხარდაჭერა.			
ადგილმდებარეობა	ძველი სათიბი მიწდვრები და ნოტიო სათიბები, რომელსაც ეს სახეობა ანიჭებს უპირატესობას, უმეტესად გვხვდება მე-5 გვირაბის პორტალებში და ბეგონის პლატოზე და მათ შემოგარენში. .			

შესაძლო ზემოქმედება	პროექტის შედეგად არ არის მოსალოდნელი პირდაპირი ზემოქმედება დალღას არსებულ ჰაბიტატზე, მაგრამ დაზიანებამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს გამრავლებაზე და ამ მიზნით შემუშავდა უსაფრთხოების ზომები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაგება, იყენებს თუ არა ფრინველი რომელიმე შესაძლო ფუჭი ქანების სანაყაროს.
მეთოდის აღწერა	დალღას სახეობისთვის 2019 წელს ჩატარებული სპეციალური კვლევის შემდეგ, რომლის მიზანს წარმოადგენდა საპროექტო ზონაში პოპულაციის რიცხვოვნობის დადგენა, სახეობისთვის შემუშავებული იქნება დამატებითი ტექნიკური მახასიათებლები და დამტკიცდება მშენებლობის დაწყებამდე ინჟინრის/საავტომობილო გზების დეპარტამენტის/ EBRD-ის /ADB-ის მიერ. ეს შეიძლება მოიცავდეს არსებული სასოფლო სამეურნეო სამუშაოების წარმოების ოპტიმალურობის უზრუნველყოფას დალღას გამრავლებისთვის ან, საჭიროების შემთხვევაში, მოხდეს ფერმერების სუბსიდირება პროექტის ზემოქმედების ზონაში ახალი გამრავლებისთვის შესაბამისი ჰაბიტატის შესაქმნელად, რათა უზრუნველყოფილი იქნეს პოპულაციის შენარჩუნება.
მონიტორინგი	მონიტორინგის განხორციელება დაიწყება 2019 წლის გაზაფხულიდან და გაგრძელდება მშენებლობის დაწყებიდან 5 წლის მანძილზე.
პასუხისმგებლობა	რესურსებით უზრუნველყოფასა და სამუშაოს მონიტორინგზე პასუხისმგებელია კრედიტორების ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი. ტექნიკური სამუშაოების განსახორციელებლად ხელშეკრულება გაფორმდება შესაბამის ტექნიკურ ორგანიზაციასთან ან არასამთავრობო ორგანიზაციასთან.
ვადები	კვლევები ჩატარდება გაზაფხულზე და ადრე ზაფხულში პროექტის მშენებლობის დაწყებიდან 5 წლის განმავლობაში.
დამატებითი ინფორმაცია	სამოქმედო გეგმა დალღასთვის ევროპაში (http://ec.europa.eu/environment/nature/conservation/wildbirds/action_plans/docs/crex_crex.pdf)

7.4 სამოქმედო გეგმა მიგრირებადი მტაცებლებისთვის

მიმდინარე სტატუსი

ხევის სპეციალური დაცული ტერიტორია (SPA) განსაზღვრულია მიგრირებადი მტაცებლებისთვის, ხოლო „ყაზბეგის სამიგრაციო მარშრუტი“ აღიარებულია, როგორც საერთაშორისოდ მნიშვნელოვანი სამიგრაციო მარშრუტი, სადაც აღრიცხულია 30,000-ზე მეტი მტაცებელი მიგრაციის პიკურ პერიოდში (უმეტესად ძერა და ქარცი კაკაჩა). ისეთი მიგრირებადი მტაცებელი ფრინველები, როგორც არწივი (*Aquila spp.*), ძელქორი (*Circus spp.*) და ძერა (*Milvus migrans*) განსაკუთრებით გავრცელებულია გაზაფხულის მიგრაციის დროს (1000-ზე მეტი მიგრირებადი მტაცებელი დღეში) ჯვრის უღელტეხილისა და სტეფანწმინდის სამების ეკლესიის მიმდებარედ. ამ ტერიტორიის გავლით მიგრაციის დროს აღრიცხული სხვა სახეობების რიცხვში შედიან შავი ყარყატები, ჩვეულებრივი წერო და წეროტურფა, ხოლო ტყით დაფარული ტერიტორიები აღნიშნულია, როგორც "შესანიშნავი" ბელურასნაირებისთვის.



უახლესი საველე მონაცემები (მაგ. 2018 წლის შემოდგომის კვლევები) და ადგილობრივი ექსპერტების დასკვნა მიუთითებს, რომ ამ სახეობების უმეტესობა გაივლის მდინარე თერგისა და მდინარე თეთრი არაგვის ხეობებს (არსებული გზის ანალოგიურად) და არა ხადას ხეობას, სადაც (საძელის მთისა (3307მ) და ნარვანის მთის (3319მ) დამაკავშირებელი) მთაგრეხილი ძირში ქმნის ბარიერს მიგრაციისთვის (იხ. 2018 წლის ანგარიში მიგრაციის შესახებ, ESIA, დანართი H). აღნიშნულია, რომ სამიგრაციო მარშრუტს არაერთი საფრთხე ემუქრება, მათ შორის ჰაბიტატის მოსპობა და ფრაგმენტაცია, მაგალითად, უკონტროლო განვითარების შედეგად.

სამოქმედო გეგმა

სტატუსი	სამოქმედო გეგმა მიგრირებადი მტაცებლებისთვის			
მიდგომა	გვერდის ავლა	შემცირება	შერბილება	აღდგენა
ამოცანები	ყაზბეგის სამიგრაციო მარშრუტის გამოყენებით სახეობის გრძელვადიანი კონსერვაციის ხელშეწყობა მისი მნიშვნელობის, საფრთხეებისა და კონსერვაციის აუცილებელი ქმედებების შესახებ ცოდნის გაღრმავების მეშვეობით.			
ადგილმდებარეობა	ყაზბეგის სამიგრაციო მარშრუტის ფარგლებში და მის მიმდებარედ, ქვეშეთსა და კობს შორის განსაკუთრებული კონცენტრაციით.			
შესაძლო ზემოქმედება	ფრინველების უმრავლესობა, რომლებიც სამიგრაციო მარშრუტს იყენებენ, არ მიგრინავენ პროექტის დერეფანში, თუმცა ისინი გაივლიან მე-5 გვირაბის ჩრდილოეთ პორტალს და არსებობს დროებითი ზემოქმედების შესაძლებლობა მშენებლობის შედეგად. სამუშაოების ჩატარებასთან დაკავშირებულმა განათებამ ასევე შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს, მაგრამ სავარაუდოდ, არაუმეტეს არსებული გზისა. შესაძლოა ადგილი ჰქონდეს კუმულაციურ ზემოქმედებას, კავკასიონისთვის შემუშავებული საგზაო სქემების რაოდენობის გათვალისწინებით. შესაბამისად, პროექტის ფარგლებში მიღებულია უსაფრთხოების წინასწარი ზომები, რათა შემუშავებული სქემიდან მოხდეს შესაძლო ზემოქმედების შესწავლა და გადაწყვეტა.			
მეთოდის აღწერა	<p>სამუშაოები უზრუნველყოფს მიგრირებადი ფრინველების, განსაკუთრებით კი მტაცებლების მიერ საპროექტო ზონისა და მასთან დაკავშირებული სამიგრაციო მარშრუტის გამოყენების დეტალურ შეფასებას. უნდა ჩატარდეს დაკვირვების პუნქტების კვლევა, არანაკლებ 6 შერჩეულ დაკვირვების პუნქტზე, საიდანაც უზრუნველყოფილი იქნება სქემის როგორც ჩრდილოეთ და სამხრეთ ნაწილების, ასევე ჯვრის უღელტეხილის დაფარვა. ეს პუნქტები უნდა იყოს უსაფრთხო და იდეალურ შემთხვევაში, მეორდებოდეს, როგორც გაზაფხულის, ასევე შემოდგომის გადათვის დროს მომდევნო წლებშიც. იხ. ქვემოთ.</p> <p>ზემოქმედების პოტენციალისა და შემარბილებელი ღონისძიებების საშუალებების დამატებით განსაზღვრისთვის გამოყენებული იქნება მონიტორინგი. განხილული იქნება კუთხოვანი განათების ან ფრინველებზე მორგებული განათების გამოყენება, აღნიშნული უმთავრესი სამიგრაციო მარშრუტის გათვალისწინებით. (https://www.researchgate.net/publication/260626775_Bird-Friendly_Light_Sources_Adapting_the_Spectral_Composition_of_Artificial_Lighting).</p>			
მონიტორინგი	მონიტორინგის განხორციელება დაიწყება 2019 წლის გაზაფხულიდან და ფრინველების არსებობის დადასტურების შემთხვევაში, გაგრძელდება მშენებლობის დაწყებიდან 5 წლის მანძილზე.			
პასუხისმგებლობა	რესურსებით უზრუნველყოფასა და სამუშაოს მონიტორინგზე პასუხისმგებელია კრედიტორების ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი სპეციალისტი. ტექნიკური სამუშაოების განსახორციელებლად ხელშეკრულება გაფორმდება ამ სფეროში სათანადო გამოცდილების მქონე შესაბამის ტექნიკურ ორგანიზაციასთან.			
ვადები	სამუშაო წარმოადგენს 5-წლიან მონიტორინგის პროგრამას, რომელიც უნდა განხორციელდეს წელიწადში ორჯერ გაზაფხულისა და შემოდგომის მიგრაციის პერიოდებში. გაზაფხულის მიგრაციის დათვლა განხორციელდება გვიანი მარტის და გვიანი მაისის შუალედში. შემოდგომის მიგრაციის დათვლა განხორციელდება აგვისტოს შუა რიცხვებიდან ოქტომბრის შუა რიცხვებამდე.			
დამატებითი ინფორმაცია	დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით შესაბამის არასამთავრობო ორგანიზაციებს, მაგალითად, საბუკოს ან ბათუმის მტაცებელთა დათვლას.			

დათვლა უნდა განხორციელდეს დაკვირვების თითოეულ პუნქტში რეგულარულად (არანაკლებ 4-ჯერ თვეში) და თითოეული დათვლა უნდა გაგრძელდეს არანაკლებ 3 საათისა. აღრიცხვის დროს გამოყენებული უნდა იქნეს ბინოკლები და ჭოგრიტები და მისი ხანგრძლივობა უნდა იყოს მზის ამოსვლის გასვლიდან 1 საათი -მზის ჩასვლამდე 2 საათი (გარდა ისეთი დღეებისა, როდესაც ცუდი მეტეოროლოგიური პირობებია და მიგრაცია შეზღუდულია).

ყველა სადგურმა უნდა აღრიცხოს თითოეული მიგრირებადი ფრინველი ან ფრინველთა გუნდი მათი გატარების დროისა და სადგურთან მიმართებაში მათი პოზიციის (მათ შორის, სიმაღლის) მითითებით. დაბალი ინტენსიურობის დროს უნდა მოხდეს ცალკეული ფრინველების დათვლა, მაგრამ ინტენსიურობის გაზრდის შემთხვევაში, დათვლა 10-ის ჯერადი უნდა იყოს. ფრინველების იდენტიფიცირება, თუ ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, უნდა მოხდეს სახეობების დონეზე, ხოლო შესაძლებლობის შემთხვევაში, სქესისა და ასაკის დონეზე. ყურადღება უნდა დაეთმოს ორმაგი დათვლის შესაძლებლობის გამოვლენას, მაგ. რეგულარული რადიო/მოხილური სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით, იმ შემთხვევაში, თუ ორი სადგური ერთდროულად ფუნქციონირებს.

მიუხედავად იმისა, რომ განსაკუთრებული ყურადღება მიპყრობილი უნდა იყოს მტაცებლებზე, დაკვირვება ასევე უნდა განხორციელდეს სხვა სახეობებზეც, მათ შორის სხვა მოლივლივე ფრინველებსა და ბელურასნაირთა ჯგუფებზე. მიდგომა უნდა გადაიხედოს თავდაპირველი ექვსი კვლევის შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში შეიცვალოს.

კვლევების მონაცემების გამოყენება მოხდება ეროვნული პარკის ხელმძღვანელობის ინფორმირებისთვის პროექტის კონსერვაციის დამატებითი აქტივობების ფარგლებში (იხ. მე-9 ნაწილი).


8 სამოქმედო გეგმა მნიშვნელოვანი ძუძუმწოვრებისთვის

8.1 სამოქმედო გეგმა არჩვისთვის

მიმდინარე სტატუსი

არჩვი *Rubicapra rubicapra* წარმოადგენს IUCN-ის: ყველაზე ნაკლები რისკის (LC) სახეობას, მაგრამ კავკასიურ ქვესახეობას (ქვესახეობა *caucasica*) წარმოადგენს საქართველოს წითელი ნუსხის: გადაშენების საფრთხის წინაშე (EN) მყოფ სახეობას. იგი ალპური არჩვის მსგავსია, მაგრამ შედარებით მცირე ზომის, იგი გვხვდება როგორც კავკასიონზე, ასევე მცირე კავკასიონზე. იგი წარმოადგენს ბიომრავალფეროვნების ძირითადი ადგილის (KBA) ციტირებულ სახეობას და აღრიცხულია მაღალ ალპურ მდელოებსა და ციცაბო კლდოვან ადგილებში, ბიომრავალფეროვნების ძირითადი ადგილების (KBA) სამხრეთის უდიდეს ნაწილში და ასევე მთებში პროექტის ზემოქმედების ზონის სამხრეთით (იხ. რუკა). იგი მოიცავს ადგილებს სახიზრების ტერიტორიაზე და ასევე თრუსოს ხეობის და სნოს ხევის ფერდობებზე ჩრდილოეთ პორტალის ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილო აღმოსავლეთით. მიუხედავად იმისა, რომ იგი ზემოქმედების ზონაში ჯერ არ არის აღრიცხული, იგი შეიძლება ბინადრობდეს უფრო მაღალ ადგილებში, თუმცა ცხოველები შეიძლება გავიდნენ ამ ტერიტორიებიდან ნადირობის ან გუდაურიდან არსებული ზეწოლის გამო. ამ სახეობების საბინადრო ადგილები ამჟამად ფრაგმენტაციას განიცდიან და მასზე ინტენსიურად ნადირობენ საკვების მოპოვების (და შეჯიბრებების) მიზნით, ხოლო ბრაკონიერობა, სავარაუდოდ, ახლახან დაფიქსირებული მნიშვნელოვანი შემცირების უმთავრეს გამომწვევ მიზეზს წარმოადგენს. პირუტყვის ძოვება ასევე იწვევს რესურსებისთვის ბრძოლას, განსაკუთრებით შინაური ცხვრისა და თხის შემთხვევაში. სახეობაზე ასევე ზემოქმედებას ახდენს ჰაბიტატის მოსპობა და დეგრადაცია, რომელზეც მგლები და ფოცხვერები ნადრობენ. ასევე პრობლემას წარმოადგენს მთიან ტერიტორიებზე ადამიანის ჩარევა, განსაკუთრებით გაზრდილი ტურისტული და გასართობი აქტივობების შედეგად. ქვემოთ მოცემულ გამოსახულებაზე ნაჩვენებია „არჩვისა და ჯიხვის კარტოგრაფირებული გადანაწილება შემოთავაზებულ გაფართოებულ ეროვნულ პარკში“. (არჩვი; ღია ნარინჯისფერი, ნაცრისფერი შტრიხით ტერიტორიები: ჯიხვი, ზემოქმედების ზონა - ლურჯი კონტური. წყარო: ყაზბეგის ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა).





სამოქმედო გეგმა

სტატუსი	სამოქმედო გეგმა არჩვისთვის			
მიდგომა	გვერდის ავლა	შემცირება	შერბილება	აღდგენა
ამოცანები	ნულოვანი წმინდა დანაკარგის უზრუნველყოფა ზემო ხადას ხეობის ტერიტორიებზე და მის შემოგარენში და მიმდებარე მთაგრებილებზე მათი არსებობის ან არარსებობის დადასტურებით, ხოლო მათი არსებობის დადასტურების შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან მუშაობა ამ სახეობის კონსერვაციის სტრატეგიის შემუშავება და ხელშეწყობა ყაზბეგის ეროვნულ პარკსა და მის შემოგარენში.			
ადგილმდებარეობა	უნდა განხორციელდეს სავლე სამუშაო ზემო ხადას ხეობაში და ფოტოხაფანგების გამოყენება გრეხილებსა და მიგრაციის სხვა მარშრუტებზე.			
შესაძლო ზემოქმედება	პროექტის ზემოქმედების ზონაში, არსებული ინფორმაციით არჩვის არსებობა არ ფიქსირდება. მათი არსებობის შემთხვევაში, პროექტის განხორციელებას შესაძლოა გამოეწვიოს პირდაპირი მოსპობა /ფრაგმენტაცია / ჰაბიტატის დაზიანება ან პირდაპირი სიკვდილიანობა საგზაო ინციდენტების შედეგად. ამგვარი შედეგები დიდწილად თავიდან იქნება აცილებული 1-ლი ლოტის უმეტესი სამუშაოების განხორციელებისას გვირაბის გამოყენების მეშვეობით. თუმცა, პროექტმა შეიძლება გაზარდოს მონადირეების წვდომა მაღალმთიან ტერიტორიებზე გვირაბის ზედა მხარეს, რაც ინდუცირებულ და კუმულაციურ ზემოქმედებასთანაა დაკავშირებული.			
მეთოდის აღწერა	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტმა (მსხვილი ძუძუმწოვრების კონსერვაციისა და ეკოლოგიის ჯგუფი) ყაზბეგში არჩვის რაოდენობა და სიხშირე შეისწავლა, მათ შორის საჭაერო აღწერის მეშვეობით. შემუშავებული იქნება პროექტის ტექნიკური მახასიათებლები და მშენებლობის დაწყებამდე დამტკიცდება საავტომობილო გზების დეპარტამენტის/EBRD/ADB-ის მიერ.			
მონიტორინგი	მონიტორინგის განხორციელება დაიწყება 2019 წლიდან და ცხოველების არსებობის დადასტურების შემთხვევაში, გაგრძელდება მშენებლობის დაწყებიდან 5 წლის მანძილზე.			
პასუხისმგებლობა	რესურსებით უზრუნველყოფასა და სამუშაოს მონიტორინგზე პასუხისმგებელია კრედიტორების ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი სპეციალისტი. ტექნიკური სამუშაოების განსახორციელებლად ხელშეკრულება გაფორმდება შესაბამის ტექნიკურ ორგანიზაციასთან.			
ვადები	თავდაპირველი შეფასება უნდა განხორციელდეს 2019 წლის გაზაფხულზე. თუ დადგინდება არჩვის არსებობა, დამატებითი მონიტორინგი განხორციელდება საპროექტო სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან 5 წლის მანძილზე.			
დამატებითი ინფორმაცია	„ცხოველთა სამყაროს ობიექტების აღრიცხვა/შესწავლის მიზნით კვლევის ჩატარება საქართველოს ტერიტორიაზე“ და „ცხოველთა სამყაროს ჰაბიტატების მონიტორინგის მიზნით აღრიცხვების ჩატარება საქართველოს ტერიტორიაზე“, იხ. http://iliauni.edu.ge/en/iliauni/institutebi-451/ekologiis-instituti-463/mimdinare-kvlebebi-491/mxsvili-dzdzumwovrebis-ekologia-da-konservacia-640			

8.2 სამოქმედო გეგმა წავებისთვის

მიმდინარე სტატუსი

წავი (*Lutra lutra*) IUCN-ის LC (ყველაზე ნაკლები რისკის) სახეობაა, მაგრამ საქართველოს წითელი ნუსხით მოწვევლად(VU) სახეობას განეკუთვნება. იგი ასევე ჰაბიტატების შესახებ დირექტივის დანართი II-ით გათვალისწინებული სახეობა და ყაზბეგის ბიომრავალფეროვნების ძირითადი ადგილის (KBA) კრიტერიუმის სახეობაა. საქართველოში იგი წარმოდგენილია ქვესახეობით *Lutra lutra meridionalis*, რომლის



პოპულაციაც სავარაუდოდ 400-600 ინდივიდს ითვლის, ძირითადად კავკასიის ცენტრალურ-აღმოსავლეთ ნაწილში. ეროვნულ ექსპერტებთან დისკუსიების შემდეგ მიიჩნევა, რომ ამან შესაძლოა გამოიწვიოს არასრული აღრიცხვა.

წავები ხშირად ბინადრობენ რამდენიმე, შედარებით ხელუხლებელ და მცენარეულობით დაფარულ ადგილებში პროექტის ზემოქმედების ზონის მდინარეებთან და ნაკადულებთან. ისინი ასევე სავარაუდოდ მრავლდებიან აქ და ამისთვის გამოიყენებენ მდინარის ნაპირზე არსებულ სოროებს, ხეების ფესვებს შორის არსებულ ღრმულებს, კლდეებს, ხეებისა თუ ნარჩენების გროვებს. წავების უმეტესობა წყლის სანაპიროების ვიწრო ზოლში გვხვდება, მაგრამ ისინი შეიძლება ასევე შეგვხვდეს წყლიდან 1 კილომეტრის მოშორებით.

პროექტის ზემოქმედების ზონაში, წავის არსებობის დამადასტურებელი ნიშნები ნაპოვნია მდინარე თერგთან, ნარვანასთან და ხადასთან ახლოს (ამ უკანასკლენ შემთხვევაში, კასკადის ქვემოთ), მაგრამ არა არსებული გზის გასწვრივ. 2018 წლის შემოდგომის კვლევების მონაცემები¹⁴ ქვემოთ არის შეჯამებული:

ადგილი	დასკვნები
ჩრდილოეთ პორტალი და სოფელი კობი	წავის არსებობის დამადასტურებელი ნიშნები ნაპოვნია მდინარე თერგთან (ნაკვალევი) და მდინარე ნარვანასთან (ექსკრემენტები და არაოფიციალური მონაცემები). მისი არსებობის დამადასტურებელი ნიშნები არ არის ნაპოვნი მდინარე ბაიდარასთან, რომელიც განიცდის ზემოქმედებას არსებული გზისგან.
სამხრეთ პორტალი და სოფელი წკერე	წავის არსებობის დამადასტურებელი რაიმე ნიშანი ამ ტერიტორიაზე ნაპოვნი არ არის, ხოლო ჩანჩქერი, შესაძლოა, ხელს უშლის თევზს ამ ადგილზე მოხვედრაში.

¹⁴ სამუშაოებს აწარმოებდა საშა ბუხნიკაშვილი, ხოლო სხვა სამუშაოებს - ნუგზარ სურგულაძე.

მდინარე ხადას ხეობა	წვეების კარგი ჰაბიტატი და წავის აქტიურობის დამადასტურებელი ნიშანი (ნაკვალევი და შესაძლო ბუნაგები)
მდინარე არაგვისა და მდინარე ხადას შესართავი	წავის აქტიურობის დამადასტურებელი რაიმე ნიშანი არ ფიქსირდება, გარდა ხადას ხეობასთან წავის არსებობის შესახებ არაოფიციალური მონაცემებისა.



წავის ნაკვალევი ხადას ხეობაში

ამ მტკიცებულების საფუძველზე, პროექტის ფარგლებში მიმდინარეობს უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღება ამ სახეობისთვის და მიიჩნევა, რომ ეს სახეობა ასევე წარმოდგენილია სხვა ადგილებშიც, შესაბამისი მდინარისპირა მცენარეულობით. ეს განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან წვეებს დიდი საბინადრო გარემო გააჩნიათ და 20 კილომეტრზე მეტი მანძილის გავლა შეუძლიათ.

წვეები ძალზე მიჯაჭვულები არიან ტერიტორიას, ხოლო ტერიტორიები შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე კილომეტრს, რაც საკვების ხელმისაწვდომობაზეა დამოკიდებული. მამალი წვეების ტერიტორიები შეიძლება უფრო დიდი იყოს, ვიდრე დედალი წვეების და შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე დედალი წავის ტერიტორიას. წვეები საკუთარ საბინადრო ადგილებს სკორეთი (ექსკრემენტებით) ნიშნავენ, რომლებსაც ტოვებენ ნაკადულების ლოდებთან, ხიდების საყრდენებთან და ბალახის ბურცობებთან. **ექსკრემენტების პოვნის შემთხვევაში, უნდა ჩატარდეს დნმ ანალიზი, რათა დადგინდეს რამდენი წავი ბინადრობს ტერიტორიაზე.** წვეები ასევე იყენებენ მოსასვენებელ ადგილებს (ბუნაგებს) და მიწისქვეშა გამოსაზამთრებელ ადგილებს (სოროებს), რომელიც უახლოესი წყლიდან შეიძლება 1 კმ-მდე იყოს დაშორებული. ცალკეულმა წავმა შეიძლება გამოიყენოს რამდენიმე სორო, რომლებიც, ზოგადად, განლაგებულია ბუნებრივ ნაპრალებში ან ხის ფესვებში, რომელიც მდინარესთან თუ ტბის პირას იზრდება, მან ასევე შეიძლება სხვა ცხოველების მიერ გაკეთებული სოროც გამოიყენოს. ასევე გამოიყენება სხვა მოსასვენებელი ადგილები, უმეტესად ხშირ მცენარეები, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს მათ ხშირად გამოყენებულ მარშრუტებს და წყალში ჩაცურებას.

წვეები მოწყვლადები არიან მდინარისპირა მცენარეული საფარის მოცილების მიმართ და მათზე განხორციელებული დევნის გამო, ვინაიდან ისინი თევზებისთვის საფრთხედ აღიქმებიან. საქართველოში მათი რიცხვი მნიშვნელოვნად შემცირდა ბუნებრივ გარემოში თევზის რაოდენობის შემცირებისა და ჰაბიტატის განადგურების შემდეგ (მაგ. მდინარისპირა მცენარეულის მოხსნა). მათ ასევე საფრთხე ემუქრებათ ორგანოქლორებით,

პოლიქლორილებული ბიფენილით და ვერცხლისწყლით დაბინძურებისგან. თევზი, ჩვეულებრივ, მისი კვების რაციონის 80%-ს შეადგენს, მაგრამ რაციონს შეიძლება დაემატოს წყლის მწერები, რეპტილიები, ამფიბიები, ფრინველები, მცირე ძუძუმწოვრები და კიბოსნაირები.

სამოქმედო გეგმა

სტატუსი	სამოქმედო გეგმა წავეხისთვის			
მიდგომა	გვერდის ავლა	შემცირება	შერბილება	აღდგენა
ამოცანები	წავეხის ნულოვანი წმინდა დანაკარგის უზრუნველყოფა წავეხის ბინადრობის ადგილებზე პროექტის ზემოქმედების თავიდან აცილების, წავეხის პოპულაციის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნის გაღრმავების (ზომა და გავრცელება) და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან მუშაობის გზით, რომლის მიზანია ცნობიერების ამაღლება და წავის კონსერვაციის გეგმის შემუშავება.			
ადგილმდებარეობა	მდინარის ჰაბიტატები პროექტის ზემოქმედების ზონაში, განსაკუთრებით მდინარე ხადა და ნარვანა			
შესაძლო ზემოქმედება	არსებობს ინფორმაცია, რომ წავეხი წარმოდგენილი არიან პროექტის დერეფანში და ცნობილია, რომ მოწყვლადები არიან მთელი რიგი ზემოქმედებების მიმართ თავიანთი მდინარის ჰაბიტატების ფარგლებში და მათ მიმდებარედ. ეს მოიცავს მდინარის ნაპირზე არსებული მცენარეულობის მოსპობას და უხეშ ჩარევას. დამატებითი ინფორმაცია დეტალურად არის მოცემული შემდეგ ნაწილში.			
მეთოდის აღწერა	სამუშაოები მოიცავს დამატებითი კვლევების, შერბილების ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც მითითებულია გზშ-ში, დამატებითი ჰაბიტატის შექმნას და ცნობიერების ამაღლებას.			
მონიტორინგი	შემოთავაზებულია სეზონური მონიტორინგი მშენებლობის დაწყებიდან 5 წლის მანძილზე, რათა დადასტურდეს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობა ან დადგინდეს, აუცილებელია თუ არა რაიმე სახის ცვლილებები ან/და გაუმჯობესების ღონისძიებები.			
პასუხისმგებლობა	რესურსებით უზრუნველყოფასა და სამუშაოს მონიტორინგზე პასუხისმგებელია კრედიტორების ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი. ტექნიკური სამუშაოების განსახორციელებლად ხელშეკრულება გაფორმდება შესაბამის ტექნიკურ ორგანიზაციასთან.			
ვადები	თავდაპირველი სამუშაოები 2019 წელს განხორციელდება. დამატებითი მონიტორინგი განხორციელდება საპროექტო სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან 5 წლის მანძილზე.			
დამატებითი ინფორმაცია	საკმაო ლიტერატურა არსებობს წავეხის საგზაო სქემის შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ.			

პროექტის პოტენციური ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები

მშენებლობის ზემოქმედება

გზის მშენებლობას შეიძლება გააჩნდეს არაერთი პოტენციური ზემოქმედება წავეხზე, მათ შორის:

- **ჩარევა:** წავეხის დამალვისკენ მიდრეკილების გათვალისწინებით (განსაკუთრებით ბუნაგებსა და მოსასვენებელ ადგილებთან ახლოს), ისინი ძალიან მგრძობიარენი არიან სიმშვიდის დარღვევის მიმართ. ზემოქმედება განსაკუთრებით სერიოზულია

გამრავლების სეზონზე, როდესაც მათი ნაშიერები შეიძლება ბუნაგებში 10 თვემდე დარჩნენ.

- **უბედური შემთხვევები:** წავეები ღამის ცხოველები არიან, მაგრამ ამავდროულად, ცნობისმოყვარეები. მათი ყურადღება შეიძლება ღამით სამშენებლო მოედნებმა მიიქციოს და ორმოებში, მილსადენებსა და სხვა მოწყობილობებში ჩავარდნენ.
- **წყლის დაბინძურება:** წყლის დაბინძურებამ შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს როგორც წავეებზე, ასევე მათ საკვებზე, მაგ. დანალექების გაზრდით ან შემთხვევითი ჩაღვრის შედეგად, რამას შეიძლება მწვავე და ქრონიკული ზემოქმედება მოახდინოს. ნახშირწყალბადის ჩაღვრამ ასევე შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს წავეის ბეწვის თერმორეგულაციურ მახასიათებლებზე.
- **საბინადრო გარემოს განადგურება.** წავეის საბინადრო გარემოს დანაწევრებამ ან განადგურებამ შეიძლება გამოიწვიოს მისი ადგილმდებარეობის შეცვლა, რაც მას სხვა წავეებთან პირდაპირი მეტოქეობის წინაშე დააყენებს. წავეებს ახასიათებთ ერთმანეთისთვის სერიოზული და პოტენციურად სასიკვდილო დაზიანებების მიყენება ტერიტორიების გამო დაპირისპირების დროს.

უმთავრეს შემთავაზებულ შემარბილებელ ღონისძიებას წარმოადგენს წავეებზე ზემოქმედების მოხდენის თავიდან აცილება, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელია, ხოლო მთელი რიგი სპეციალური მოთხოვნები პროექტის გარემოს მართვის გეგმით (EMP) არის გათვალისწინებული. მოთხოვნები მოიცავს შეთავაზებებს:

- **მდინარეებსა და ნაკადულებში და მათ სიახლოვეს სამუშაოების და მდინარეებისა და ნაკადულების სანაპიროების დაზიანების მინიმუმამდე შემცირებას.** თუ მდინარის სანაპიროდან აუცილებელია ასაკოვანი ხეების მოცილება, ფესვთა სისტემა შენარჩუნდება პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში, რათა უზრუნველყოფილი იქნეს შესაძლო ადგილები სოროებისთვის.
- **საქმიანობების განთავსება** წავეების ცნობილი ჰაბიტატიდან მოშორებით, რაც მოიცავს სამუშაო კომპლექსების, ფუჭი ქანების შენახვისა და განკარგვის ადგილების განთავსებას, სანაპიროებისა და მისასვლელი გზების მოწყობასა და ხიდებისა და წყალსადენების მშენებლობას.
- **გადაადგილების უსაფრთხო მარშრუტების უზრუნველყოფა.** ვინაიდან წავეები გააგრძელებენ მარშრუტების მოსინჯვას და გამოყენებას, სადაც წავეების მარშრუტების გვერდის ავლა შეუძლებელი იქნება, განთავსდება ღობეები, რაც წავეებს დაეხმარება სამუშაო მოედნებზე უსაფრთხო გადაადგილებაში. წყალსადენებთან დატოვებული იქნება 30-მეტრიანი ბუფერები, პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში, რათა თავიდან იქნეს აცილებული წავეების მარშრუტებზე ზემოქმედება.
- **წინასწარი შემოწმების კვლევები** წავეებისთვის განხორციელდება სამუშაოების დაწყებისთანავე წყალსადენებში ან მათ სიახლოვეს სოროების ან სხვა მოსასვენებელი სადგომების არარსებობის დასადასტურებლად. ამგვარი მახასიათებლების აღმოჩენის შემთხვევაში, მოხდება სამუშაოების ჩატარების დროის შეთანხმება, რათა მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ზემოქმედება და განისაზღვრება შესაბამის დროში გაწერილი სკრინინგი, რომ დროებითი წავეებისგან შეუღწევადი ღობეების დამონტაჟებით გამოირიცხოს წავეების მოხვედრა სამუშაოს ჩატარების ადგილებზე.
- **ყველა განდინარე წყლების სპეციალური კვლევა** განხორციელდება მიმართულების 100 მეტრიან რადიუსში (როგორც აღმავალი, ისე დაღმავალი მიმართულებით) წავეების კვალის, მათ შორის სოროებისა და ბუნაგების აღმოჩენის მიზნით. თუ დაფიქსირდება

წავის არსებობის რაიმე ადგილი, შემარბილებელი ზომები შეიცვლება მოთხოვნის შესაბამისად. მოშენების ადგილების აღმოჩენის შემთხვევაში, აუცილებელი იქნება ყველა სამუშაოების შეჩერება, ვიდრე წავის ნაშიერები ტერიტორიას არ დატოვებენ.

- **ცნობიერების ამაღლება.** სამუშაოების დაწყებამდე, კონტრაქტორებს მიეწოდებათ წავების ეკოლოგიის მიმოხილვა. კონტრაქტორებს კონფიდენციალურად მიეწოდებათ ინფორმაცია ნებისმიერი აღმოჩენილი სოროსა და ბუნაგის შესახებ, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მათი დაცვა შემთხვევითი დაზიანებისაგან და მოხდეს ამ ადგილების მონიშვნა, რომ კონტრაქტორები ამ ადგილებში არ შევიდნენ.
- **ღამის სამუშაოების თავის არიდება** (მზის ჩასვლიდან ერთი საათი - მზის ამოსვლამდე ერთი საათის ინტერვალში) სადაც სქემა სოროდან/ბუნაგიდან ან გამდინარე წყლებიდან 30 მეტრის მანძილზეა, რათა თავიდან იქნეს აცილებული წავის სიმშვიდის დარღვევა და მისი მარშრუტის ხელის შეშლა.
- **განათების გამოყენების შემთხვევაში**, დილით და დაბინდებისას იგი მშენებლობის პერიოდში მიმართული იქნება მდინარეებიდან მოშორებით. საჭიროების შემთხვევაში, მდინარეზე გამოყენებული უნდა იქნეს მიმმართველი საცმი, რათა არ მოხდეს მთლიანი მდინარის განათება და შესაძლებელი იყოს მდინარეზე გასვლა გაუნათებელ ადგილებში.
- **უსაფრთხო წვდომის შეფერხება.** გამდინარე წყლებთან ახლოს ხიდებისა და სხვა ნაგებობების მშენებლობის დროს, მდინარის ან ნაკადულის ერთი მხარე, სადაც მიმდინარეობს ხიდის მოწყობა, უნდა შენარჩუნდეს ხელუხლებლად მაქსიმალურად ხანგრძლივი დროით უსაფრთხო მისასვლელის უზრუნველსაყოფად, ხოლო გამდინარე წყლის ირგვლივ, სადაც უნდა მოხდეს ჩარევა, აღნიშნული ჩარევა მინიმუმამდე იქნება დაყვანილი დროებითი ბარიერებისა და უსაფრთხო სამუშაო მოედნების უზრუნველყოფით.

- **მიწისქვეშა გასასვლელების გამოყენება** აუცილებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნება წავების დროებითი ან მუდმივი მიწისქვეშა გასასვლელები (მაგ. ადგილებზე მისასვლელად ან საზიდი გზისთვის), რომელთა შიდა დიამეტრიც უნდა შეადგენდეს არანაკლებ 600მმ-ს.

- **სოროებისა და ბუნაგების სპეციალური დაცვა** - მშენებლობის დროს სოროს ან ბუნაგის აღმოჩენის შემთხვევაში, უნდა შეიქმნას 30-მეტრიანი



წავის ბუნებრივი სორო ხის ფსკვებში

ბუფერული ზონა და ყველა სამუშაო მის ფარგლებში უნდა შეჩერდეს. დაკავებული

მოშენების ადგილის აღმოჩენამ შეიძლება გამოიწვიოს სამუშაოების შეჩერება 10 კვირამდე ვადით, ვიდრე წავის ნაშედეგები სიარულს არ დაიწყებენ და ტერიტორიის დატოვებას არ შეძლებენ.

- **წყლის დაბინძურების თავიდან აცილება.** წყლის დაბინძურებასთან დაკავშირებული ზემოქმედების თავიდან აცილება და შერბილება მოხდება კარგი სამშენებლო პრაქტიკის გამოყენებით, რომელიც მითითებულია ESIA-ში და მასთან დაკავშირებულ EMP-ში.

სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედება

საგზაო სამუშაოების დროს, წავებმა შეიძლება განიცადონ შემდეგი სახის ზემოქმედება:

- **სიმშვიდის დარღვევა** საგზაო მოძრაობით გამოწვეული ხმაურით და საგზაო განათებით. მიუხედავად იმისა, რომ წავები შეიძლება დროთა განმავლობაში შეეგუონ ამ ზემოქმედებას, მათ შეიძლება მიატოვონ სოროები და სადგომები უშუალოდ სქემის მიმდებარე ტერიტორიაზე.
- **წავების უშუალო სიკვდილიანობა** წყალსადენებში დახრჩობის და საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების შედეგად. როგორც ღამის ცხოველები, ისინი შეიძლება განსაკუთრებით დაზარალებულნი ღამის საათებში მომხდარი უბედური შემთხვევების გამო.
- **მარშრუტებისა და საბინადრო გარემოს დაყოფა.** გზებმა შეიძლება წავების საბინადრო გარემოების დაყოფა, რაც გამოიწვევს მათ მიერ საბინადრო გარემოს ცალკეული ნაწილების მიტოვებას ან გზის ხშირ გადაკვეთას, რაც ავარიების რისკებთან არის დაკავშირებული.
- **წყლის დაბინძურებით გამოწვეული ზემოქმედება**
- **წავების ჰაბიტატებზე წვდომის გაზრდა** ასევე ზრდის **არაკანონიერი ნადირობის** რისკსაც.

ამ საკითხის გადაჭრის მიზნით, სქემის პროექტში შეტანილი იქნა მთელი რიგი შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებები. იგი მოიცავს შემდეგს:

- **ჰაბიტატის სათანადო და დროული აღდგენა.** იგი მოიცავს მდინარის ნაპირებზე სათანადო ხეების დარგვას და მიმდებარე ტერიტორიებზე ხშირი ბუჩქნარების გაზრდის ხელშეწყობას, ასევე წყალსადენებთან ახლოს გადამოვილი ტერიტორიების შემოღობვას მცენარეულობის ხელახლა გაზრდის ხელშეწყობის მიზნით. შესაძლო სიმშვიდის დარღვევის შერბილება ასევე შესაძლებელია ბუნებრივი ზოლის დარგვით იმ ადგილებში, რომლებსაც წავები იყენებენ, რაც შეამცირებს ხმაურით და სინათლით გამოწვეულ სიმშვიდის დარღვევას.
- **მგრძობიარე განათების გამოყენება წყალსადენებთან.** სადაც პრაქტიკულად შესაძლებელია, შემცირდება განათება იქ, სადაც საექსპლუატაციო სქემა კვეთს ან გადის წყალსადენების პარალელურად.

- წყალსადინარების გადაკვეთის აშენება, რაც უზრუნველყოფს წავეზის უსაფრთხო გადაადგილებას (მაგ. მდინარე ნარვანაზე). ხიდები, ან მიწაში მოქცეული ნაგებობებს საკმარისი სივრცე ექნებათ საყრდენებსა და წყლის ნაკადებს შორის, რაც წავეზს მისცემს უსაფრთხოდ გადაადგილების საშუალებას წყლის დონის აწევის დროს. წავეზისთვის უზრუნველყოფილი იქნება წყალზე მისასვლელი ამგვარ ნაგებობებთან, ხოლო ზღუდეები ხიდის დიზაინში იქნება გათვალისწინებული. ასეთი ნაგებობების მაგალითები გამოსახულებებზეა ნაჩვენები.



Illustrations of suitable ledges for fauna crossing



Illustrations of effective connections from ledges to the natural river bank



დამატებითი კვლევები.

წავეზის აქტივობები შეიძლება სეზონის მიხედვით განსხვავდებოდეს, ხოლო დამატებითი კვლევები განხორციელდება 2019 წლის ზაფხულის დასაწყისში, როდესაც წყლის დონე ოდნავ დაიწევს და სველ ტალახზე თათების ნაკვალევი უფრო ადვილი შესამჩნევი იქნება. კვლევები მოიცავს ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მდინარეების ადგილზე შესწავლას, რაც სათანადო გამოცდილების მქონე მკვლევარის მიერ განხორციელდება. მოსაძებნი მტკიცებულებები მოიცავს ექსკრემენტებს, ნაკვალევს, საკვების ნარჩენებს, წავის სასრიალო ადგილებს, სოროებსა და ბუნაგებს.

დამატებითი ჰაბიტატის შექმნა:

შესაძლებელია ხელოვნური ბუნაგების აშენება, წავეზის მიზიდვის მიზნით, რომ გარკვეული ტერიტორიების გამოიყენონ. ხელოვნური ბუნაგების აშენება შეიძლება ისე, რომ ბუნებრივ ბუნაგებს მოგვაგონებდნენ, დასასვენებელი განყოფილებით და რამდენიმე შესასვლელით, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ბუნებრივი მდინარისპირა მცენარეულობის მოშორების შემთხვევაში. პროექტის ფარგლებში განხილული იქნება ხელოვნური ბუნაგების შექმნა, თუ ეს აუცილებელი იქნება აღნიშნული სახეობის კონსერვაციული სტატუსის ნულოვანი წმინდა დანაკარგის უზრუნველსაყოფად.



8.2 სამოქმედო გეგმა ღამურებისთვის

მიმდინარე სტატუსი

საქართველოში არსებული ღამურას ყველა სახეობა კანონით არის დაცული, კერძოდ, კონვენციით ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების კონსერვაციის შესახებ (CMS), ასევე ჰაბიტატების შესახებ დირექტივის დანართით IV და ასოცირების შეთანხმებით ევროპული ღამურების პოპულაციების კონსერვაციის შესახებ (EUROBATS). მიუხედავად მათი დაცული სტატუსისა, ღამურების ადგილობრივი პოპულაციების რიცხვი შემცირების ტენდენციით ხასიათდება ჰაბიტატის ფრაგმენტაციის, სოფლის მეურნეობის ინტენსიურობისა და მღვიმეების დარღვევის გამო.

დღეის მდგომარეობით, შემდეგი სახეობებია აღრიცხული პროექტის ზემოქმედების ზონაში და მის შემოგარენში:

მდებარეობა / თარიღი	აღრიცხული სახეობები
სოფელ კობის შემოგარენში (2004)	რუხი ყურა (<i>Plecotus auritus</i>) (ბუხნიკაშვილი, 2004).
ნარვანას ხეობა კობთან ახლოს (2019)	მცირე მელამურა (<i>Nyctalus leisleri</i>); გიგანტური მელამურა (<i>Nyctalus lasiopterus</i>), მღამიობი.
პლატო ზაქათკართან ახლოს და კაიშაური ტბასთან ახლოს (2019)	ჯუჯა მღამიობი (<i>Pipistrellus pipistrellus</i>); მეგვიანე ღამურა (<i>Eptesicus serotinus</i>); წითური მელამურა (<i>Nyctalus noctula</i>); წყლის მღამიობი (<i>Myotis daubentonii</i>)
მდინარე ხადასწყლის გასწვრივ სოფელ ბედონასთან ახლოს (2019)	ჯუჯა მღამიობი (<i>Pipistrellus pipistrellus</i>); მცირე მელამურა (<i>Nyctalus leisleri</i>); მღამიობი.

პროექტის ზემოქმედების ზონაში ასევე შეიძლება წარმოდგენილი იყოს მთელი რიგი სხვა სახეობები, არსებული ჰაბიტატების სპექტრის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ეროვნულ წითელ ნუსხაში არც ერთი სახეობა არ არის აღრიცხული, ოთხი მათგანი, რომლებიც ცნობილია ან შესაძლოა წარმოდგენილია, მიჩნეულია მნიშვნელოვან სახეობებად, კერძოდ:

- **გიგანტური მელამურა *Nyctalus lasiopterus* (IUCN VU)**, რომელიც საკვებს მოიპოვებს შერეულ და ფოთლოვან ტყეებსა და ხეებით დაფარულ მდინარის ხეობებში. იგი ძალზე დამოკიდებულია ასაკიანი ტყეების კოლონიებზე, სადაც 40 წლის ხეები ხარობს, და ნებისმიერი ასაკიანი ხის მოჭრა მისთვის საფრთხეს წარმოადგენს. იგი უმეტესად იკვებება ჩრჩილით და ხოჭოებით, მაგრამ შეიძლება ასევე დაიჭიროს მცირე მგალობელი ბელურები და ფრინველის დასაჭერად შეიძლება რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზე აფრინდეს. სამიგრაციო, ზაფხულის სადგომებს წარმოადგენს ხეების ფულუროები და ღამურების ყუთეში, ზოგჯერ შენობებიც. ზამთრის სამალავების სახით ასევე შეიძლება გამოყენებული იქნეს ხეები და

კლდოვანი ნაპრალები. საფრთხეები მოიცავს ასაკოვანი ტყის მასივების, განსაკუთრებით ასაკოვანი ხეების განადგურებას.

- **დიდი ცხვირნალა (*Rhinolophus ferrumequinum*)** - (IUCN-ის LC (ყველაზე ნაკლები რისკის) კატეგორია, თუმცა შესულია ჰაბიტატების შესახებ დირექტივის დანართში II), რომელიც საკვებს მოიპოვებს ფოთლოვან ტყეებში (განსაკუთრებით, წლის დასაწყისში), ბუჩქნარებსა და საზაფხულო საძოვრებზე (კერძოდ, გვიან ზაფხულში). იკვებება ხოჭოებით, ჩრჩილით და სხვა მწერებით ქვედა იარუსებში და ყოველ ღამე სამალავიდან 3 კოლომეტრის მოშორებით დაფრინავს. ზაფხულის სადგომები მდებარეობს თბილ ბუნებრივ და ხელოვნურ მიწისქვეშა ადგილებში, ხოლო ისინი მთელი წლის განმავლობაში იყენებენ ქვაბულებს, ასევე, შენობებს მშობიარე კოლონიებისთვის. იგი ზამთრის ძილს ეძლევა ცივ მიწისქვეშა ადგილებში (ჩვეულებრივ, დიდ გამოქვაბულებში).
- **პატარა ცხვირნალა (*Rhinolophus hipposideros*)** - (IUCN-ის LC (ყველაზე ნაკლები რისკის) კატეგორია, თუმცა შესულია ჰაბიტატების შესახებ დირექტივის დანართში II), რომელიც საკვებს მოიპოვებს მიწასთან ახლოს ფართოფოთლოვან ტყეებსა და ტყისპირებში (საწყისი საკვების მოსაპოვებელი ჰაბიტატი), მაგრამ ასევე სანაპიროს მცენარეულობასა და ბუჩქნარებში, თუმცა, თავს არიდებს ღია ადგილებს. მუშლით, ჩრჩილით და გრძელფეხება კოლოებით. ზაფხულის სადგომები (გამრავლების კოლონიები) გვხვდება მიწისქვეშა ბუნებრივ და ხელოვნურ ადგილებში, ხოლო ზამთრის ძილს ეძლევა მიწისქვეშა ადგილებში (სარდაფებში, პატარა გამოქვაბულებსა და სოროებში).
- **ყურწვეტა მდამიობი (*Myotis blythi*)** (IUCN-ის LC (ყველაზე ნაკლები რისკის) კატეგორია, თუმცა შესულია ჰაბიტატების შესახებ დირექტივის დანართში II), რომელიც საკვებს მოიპოვებს ბუჩქნარ და სათიბ ჰაბიტატებში, მათ შორის სავარგულებსა და ბაღებში. მშობიარე კოლონიები, როგორც წესი, გვხვდება მიწისქვეშა ჰაბიტატებში, მაგალითად, გამოქვაბულებსა და მალაროებში, და ხანდახან შენობებშიც. იგი ზამთრის ძილს ეძლევა მიწისქვეშა ადგილებში.

სამოქმედო გეგმა

სტატუსი	სამოქმედო გეგმა ღამურებისთვის			
მიდგომა	გვერდის ავლა	შემცირება	შერბილება	აღდგენა
ამოცანები	ღამურების ნულოვანი წმინდა დანაკარგის უზრუნველყოფა ღამურების სადგომებზე, სანაშენე და გამოსაზამთრებელ ადგილებზე პროექტის ზემოქმედების თავიდან აცილების, ღამურების პოპულაციის შესახებ ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების (ზომა და გავრცელება) და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან მუშაობის გზით, რომლის მიზანი ადგილობრივი ღამურების კონსერვაციის ხელშეწყობაა.			
ადგილმდებარეობა	პროექტის ზემოქმედების ზონა, განსაკუთრებით კობთან ახლოს ნარვანას ხეობაში, მდინარე ხადასწყალსა და მათ შემოგარენში, სოფელ წკერესთან ახლოს და სოფელ ზაქათკარის გარშემო პლატოზე.			
შესაძლო ზემოქმედება	ცნობილია, რომ ღამურები მოწყვლადები არიან გზის მშენებლობით და ექსპლუატაციით გამოწვეული მთელი რიგი ზემოქმედებების მიმართ. ეს მოიცავს სადგომების, გამოსაზამთრებელი და სანაშენე ადგილების მოსპობას ან ფრენის მარშრუტებისა და კვების მოპოვების ტერიტორიების დაზიანებას. დამატებითი ინფორმაცია მოცემულია შემდეგ ნაწილში.			
მეთოდის	სამუშაოები მოიცავს დამატებითი კვლევებს, ღამურების ჰაბიტატის გვერდის ავლას			

აღწერა	(რომელიც დეტალურად არის აღწერილი გზშ-ში და ქვემოთ) და ღამურების ყუთების დამონტაჟებას, თუ არსებობს ამის საჭიროება შესაბამის ჰაბიტატში (მათი რაოდენობა განისაზღვრება მშენებლობის წინასწარი კვლევები შედეგების მიხედვით). თუ დადგინდა, რომ პროექტი ყოფს ღამურების მარშრუტს, რომელიც ცნობილია, დაპროექტება შეიცვლება, პრაქტიკული შესაძლებლობის ფარგლებში, მაგ. ნარგავების სიმადლის გასაზრდელად, ისე, რომ გადასასვლელები საგზაო მოძრაობის ზემოთ გადიოდეს, რათა ღამურებმა შეძლონ ხიდის ქვეშ ფრენა. გარდა ამისა, ღამურების შესახებ მოპოვებული ნებისმიერი მონაცემები გადაეცემათ შესაბამის კვლევით/კონსერვაციის ორგანიზაციებს და მარეგულირებელ ორგანოებს და გამოყენებული იქნება რეგიონული კონსერვაციის მართვის სტრატეგიების ინფორმირებისთვის.
მონიტორინგი	შემოთავაზებულია სეზონური მონიტორინგი მშენებლობის დაწყებიდან 5 წლის მანძილზე, რათა დადასტურდეს შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობა ან დადგინდეს, აუცილებელია თუ არა რაიმე სახის ცვლილებები ან/და გაუმჯობესების ღონისძიებები.
პასუხისმგებლობა	რესურსებით უზრუნველყოფასა და სამუშაოს მონიტორინგზე პასუხისმგებელია კრედიტორების ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი სპეციალისტი. ტექნიკური სამუშაოების განსახორციელებლად ხელშეკრულება გაფორმდება შესაბამის ტექნიკურ ორგანიზაციასთან.
ვადები	თავდაპირველი სამუშაოები განხორციელდება 2019 წლის ზაფხულში. დამატებითი მონიტორინგი განხორციელდება საპროექტო სამშენებლო სამუშაოების დაწყებიდან 5 წლის მანძილზე.
დამატებითი ინფორმაცია	არსებობს საკმაო ლიტერატურა ღამურების საგზაო სქემის შემარბილებელი ღონისძიებების შესახებ (მაგ. იხ. www.bats.org.uk).

პროექტის პოტენციური ზემოქმედება და შემარბილებელი ღონისძიებები

მშენებლობის ზემოქმედება

გზის მშენებლობამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ღამურების პოპულაციებზე სხვადასხვა ზემოქმედებების მეშვეობით, მათ შორის, ჰაბიტატების მოსპობით, სიმშვიდის დარღვევით და პირდაპირი სიკვდილით. პროექტის მშენებლობის გარემოს მართვის გეგმა მოიცავს მშენებლობის შემარბილებელი ღონისძიებების ფართო სპექტრს, რომლებიც უნდა განხორციელდეს ეკოლოგიური ექსპერტის მითითებებით, ღამურებზე ამგვარი ზემოქმედების მინიმუმამდე დასაყვანად. იგი მოიცავს შემდეგს:

- ვარაუდს, რომ ნებისმიერი სავარაუდოდ შესაფერისი ადგილი სანაშენედ, გამოსაზამთრებლად ან თავის შესაფარებლად (მღვიმეები, სახლები, ასაკოვანი ხეები, კლდეების ნაპრალები და სხვ.) საპროექტო ზონაში მნიშვნელოვანია ღამურებისთვის, ვიდრე ამის გარკვევა არ მოხდება პროექტის ეკოლოგიური ექსპერტის მიერ. ეს მოიცავს ნებისმიერი 100მმ დიამეტრზე დიდ ხეს, რომელიც გადატანამდე ეკოლოგიური ექსპერტის მიერ უნდა შემოწმდეს, ხომ არ წარმოადგენს იგი ღამურების შესაძლო სადგომს. ღამურების აღმოჩენის შემთხვევაში, სადგომი დარჩება ხელშეუხებლად იქამდე, ვიდრე არ გათავისუფლდება ღამურებისგან.
- მოჭრილი ხეები, რომელიც შესაძლოა ღამურების სადგომს წარმოადგენდნენ (მაგ. სათანადო ფულუროებით) უნდა დარჩეს ადგილზე მიწაზე დაწვენილ მდგომარეობაში 24 საათის მანძილზე, რათა ღამურამ გადაადგილება შეძლოს.
- შესაძლებლობის შემთხვევაში, მოერიდეთ ხეების მოჭრას აპრილი-აგვისტოს თვეებში.

- სამუშაო მოედნებზე, საცავებსა და მუდმივ ობიექტებში გამოყენებული იქნება არაულტრაიისფერი განათების წყაროები, რათა არ მიიზიდოს ღამის მწერები და ღამურები, რომლებიც ამ მწერებით იკვებებიან.

სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედება

საგზაო სქემების საექსპლუატაციო ზემოქმედება ღამურებზე ხშირად სახეობაზეა დამოკიდებული, ამასთანავე, შედარებით მოზრდილი, მაღალი და სწრაფად მფრენი სახეობები, რომლებიც ადაპტირებულნი არიან საკვების ღია მოპოვებაზე, ზოგადად, უფრო ნაკლებ ზემოქმედებას განიცდიან, ვიდრე შედარებით მცირე ზომის, ნელა მფრენი სახეობები, რომლებსაც ახასიათებს ისეთი ხაზოვანი ელემენტების გასწვრივ გადაადგილება, როგორც ტყისპირებია. აღნიშნული ხაზოვანი ელემენტები, რომლებიც უზრუნველყოფს მათ დაცვას ამინდისა და მტაცებლებისგან, წარმოადგენენ მწერების მოპოვების წყაროებს და უზრუნველყოფენ შესამჩნევ აკუსტიკურ და ვიზუალურ ორიენტირებას. მცირე ზომის ღამურების სახეობებს მიეკუთვნებიან ცხვირნალისებრი და მდამიოებების სახეობები საგზაო სქემის სხვა ზოგადი ზემოქმედება ნაჩვენებია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში:

პრობლემა	შედეგი
ჰაბიტატის მოსპობა	ხეებისა და შენობების მოცილებამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს ღამურების შესაძლო ან ფაქტობრივ სადგომებზე. ხეების, ცოცხალი ღობეების, ბუჩქნარების, წყლის ობიექტებისა და სათიბების მოცილება ასევე ამცირებს ხელმისაწვდომ საკვების მოსაპოვებელ ჰაბიტატს ¹⁵ .
ბარიერის ეფექტი	გზა წარმოადგენს სადგომიდან საკვების მოპოვების ადგილამდე, ასევე ზაფხულის, გამრავლების და ზამთრის სადგომებს შორის ფრენის შესაძლო ბარიერს. ღამურები მოძრაობენ შემოვლითი გზებით (შესაბამისი ენერჯის დახარჯვით), რათა თავი აარიდონ გზებს ან მოძებნონ სათანადო გადასასვლელი ადგილები. ამან ღამურებს შეიძლება შეუზღუდოს ჰაბიტატის ზოგიერთ ნაწილში მოხვედრა, რის შედეგადაც შეიძლება შემცირდეს მათი საბინადრო გარემოს ზომა და ხარისხი და შეიზღუდოს მიგრაცია. გზები შეიძლება შექმნას ბარიერები, ვინაიდან ისინი ხელს უშლიან ხაზოვან ფრენას, ამასთან, ზოგიერთი სახეობა არ კვებს ღია ადგილებს, რადგან ისინი თავს არიდებენ განათებულ ადგილებს (საგზაო და სატრანსპორტო განათება) უკიდურეს შემთხვევაში, დასაწყისში მაინც, ვინაიდან განათება ღამურებისთვის ნაცნობი ლანდშაფტის მოულოდნელ ცვლილებას წარმოადგენს. გზებმა შეიძლება გამოიწვიოს ჰაბიტატის ფრაგმენტაცია, მათი ტერიტორიისა და ხარისხის შემცირება. თუმცა, ზემოქმედება დამოკიდებულია სახეობაზე. გერმანიაში განხორციელებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ გრძელყურა მდამიობები (<i>Myotis bechsteinii</i>) თავს აარიდებენ გზების გადაკვეთას, თუმცა მაჩქათელა გადაუფრენს წყნარ გზებს, ხოლო მედამურა გადაკვეთს გზას 20 მეტრზე მეტ სიმაღლეზე. სტრატეგიული ადგილმდებარეობის შემთხვევაში, სხვა სახეობები გამოიყენებენ მიწისქვეშა გასასვლელებს.
პირდაპირი სიკვდილიანობა	ღამურები, რომლებიც ცდილობენ გზის გადაკვეთას, ასევე დგანან შეჯახების რისკის ქვეშ, ასევე გვხვდება ადგილები, სადაც ხშირია სიკვდილიანობა, იქ, სადაც ღამურებისთვის ხელსაყრელი ჰაბიტატია და ფრენის მარშრუტები გზებს კვეთენ. მიუხედავად იმისა, რომ ღამურები საკმაოდ მოქნილები არიან ფრენის დროს, მათი სახეობების უმეტესი ნაწილი დაფრინავს დაბალი სიჩქარით (< 20 კმ/სთ) და ბევრი

¹⁵ მხოლოდ გზის საფარის გამო მოხდება დაახლოებით 7 ჰა ჰაბიტატის მოსპობა ყოველ 10 კილომეტრზე, რომლის სიგანე 7 მეტრს შეადგენს და გააჩნია მოძრაობის ორი ზოლი და ერთი სავალი ნაწილი. გზისპირები, კვანძები, გზაჯვარედინები, მომსახურების პუნქტები და სხვა ნაგებობები სპობენ დამატებით შესაძლო ჰაბიტატს.

პრობლემა	შედეგი
	<p>მათგანი დაფრინავს მიწასთან ახლოს (0-4 მ) განსაკუთრებით ღია სივრცის გადაკვეთისას. ამ ქვევითი მახასიათებლების გამო ღამურები ძალიან მოწყვლადები ხდებიან მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების მიმართ, გზასთან ახლოს საკვების მოპოვებისას ან გზის გადაკვეთის მცდელობისას. ვინაიდან ღამურები მცირე ზომის არიან, ისინი შეიძლება ადვილად მოხვდნენ მოძრავი სატრანსპორტო საშუალების ჰაერის ნაკადში.</p>
<p>განათება</p>	<p>განათება ღამურების ბევრი სახეობას, განსაკუთრებით ტყეებში ცხოვრებას მიჩვეული სახეობებს, როგორცაა მაგალითად, ცხვირნალისებრნი, გრძელყურა და რუხი ყურა, ხელს უშლის გზებთან მიახლოებაში და შესაძლოა ამწვავებს ბარიერის ეფექტს. მაღალი წნევის ნატრიუმის ნათურა და თეთრი შუქდიოდის ნათურა აკავებს ტყის სახეობებს, დაბალი ინტენსიურობის შემთხვევაში კი.¹⁶ ვინაიდან შუქის ინტენსივობა მცირდება წყაროსგან მოშორებით, იზოლირებული წყაროების ზემოქმედება არ უნდა იყოს შორს მიმავალი, თუმცა მაღალი ინტენსივობის შუქის ნაკადები მნიშვნელოვან ზემოქმედებას მოახდენენ.</p> <p>შუქი ასევე იზიდავს ღამურების ზოგიერთ სახეობას, კერძოდ, ღია სივრცეში მონადირეებს, როგორცაა წითური მელამურა და ჯუჯა, ვინაიდან მოკლეტალისანი შუქი იზიდავს მწერების მომპოვებელ სახეობებს, ახდენს რა მათ კონცენტრირებას შუქის ირგვლივ და ზრდის ღამურების საკვების მოპოვების შესაძლებლობას. თუმცა ისინი შეიძლება საგზაო მოძრაობით გამოწვეული შეჯახების უფრო დიდი რისკის ქვეშ აღმოჩნდნენ.</p>
<p>ხმაური</p>	<p>მწერიჭამია ღამურების უმეტესი ნაწილი ეყრდნობა ექოლოკაციურ გამოძახილს ორიენტაციის, საკვების მოპოვების და კომუნიკაციისთვის. ზოგიერთი მათგანი პოულობს და იჭერს საკვებს მათ მიერ გამოცემული ხმების მოსმენით. (მაგ., ფრთების მოძრაობა და შეწყვილების შეძახილები). საგზაო ხმაურმა შეიძლება დაფაროს ყველა ეს ხმა და შეამციროს ღამურების კვების ეფექტურობა (მაგ., მდამიობი). სატრანსპორტო საშუალებების ხმაურმა შეიძლება ასევე წარმოშვას ბარიერის ეფექტი, თუმცა, ხმაური სავარაუდოდ არ გავრცელდება 60მ მანძილზე.</p>
<p>კუმულაციური ზემოქმედება</p>	<p>ზემოთ განხილული ფაქტორების უმეტესობა კუმულაციურია. შესაბამისად, თითოეულის ზემოქმედება არ უნდა იყოს ძლიერი, რათა კომბინაციამ სერიოზული გავლენა მოახდინოს ღამურების პოპულაციაზე. მიუხედავად ამისა, სრული ზემოქმედება შეიძლება არ დაფიქსირდეს რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში და ამას გააჩნია მნიშვნელოვანი შედეგები გზების ზემოქმედების მონიტორინგისთვის და შერბილების ეფექტურობის შეფასებისთვის. მონაცემები¹⁷ მიუთითებს, რომ ღამურების მრავალფეროვნების და რიცხოვნობის კლება ვრცელდება მინიმუმ 1.6 კმ-ზე ავტომაგისტრალიდან.</p>

საექსპლუატაციო შერბილება, რომელიც პროექტით არის გათვალისწინებული ღამურებისთვის, მოიცავს ვალდებულებას, შესაძლებლობის შემთხვევაში გამოყენებული იქნეს ქვემოთ მიმართული განათება ((განსაკუთრებით საპროექტო ზონის ძალზე განუვითარებელი ხასიათის გათვალისწინებით), მინიმუმ ღამურას 100 ყუთის დამონტაჟება შესაბამის ადგილებზე და დარგვის რეჟიმების ადაპტირება ღამურების მოძრაობის მარშრუტების სიახლოვეს, ღამურების მიმართ რისკების შემცირების მიზნით.

¹⁶ (სტოუნის და სხვ. (Stone et al. 2009, 2012)).
¹⁷ Berthinussen & Altringham (2012a, 2013)

9. ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების პროგრამა და კონსერვაციის დამატებითი ღონისძიებები

9.1 მიზანი და ამოცანები

მოხდება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების პროგრამის (BMEP) შემუშავება და განხორციელება, რათა დადასტურდეს, რომ წინამდებარე ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმა:

- i) განხორციელდა პასუხისმგებელი მხარეების მიერ, როგორც ეს მოსალოდნელი იყო
- ii) გეგმის ფარგლებში მიღწეული იქნა კონსერვაციის სასურველი შედეგები

მონიტორინგის მიზანია ასევე იმის დადასტურება, რომ პროექტის შედეგად რაიმე მოულოდნელი ზემოქმედება მნიშვნელოვან სახეობებსა და ჰაბიტატებზე არ ხდება (მათ შორის შესაბამისი კუმულაციური და ინდუცირებული ზემოქმედება), რისთვისაც შეიძლება აუცილებელი გახდეს "ადაპტაციური მართვა". ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი პასუხისმგებელი იქნება BMEP-ის დაწერასა და განხორციელებაზე, რომელიც დაეყრდნობა წარსულში განსაზღვრულ ამოცანებს.

გარდა ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ პროექტი განხორციელდება დაცულ ტერიტორიასთან უშუალო სიახლოვეს და საერთაშორისო კონსერვაციის მნიშვნელობის მქონე გამოყოფილ ადგილზე, EBRD-ის PR6 მოითხოვს, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელდეს მთელი რიგი პროგრამები ზემოქმედების ქვეშ მოქცეული დაცული ტერიტორიების კონსერვაციის მიზნების ხელშეწყობისა და გაუმჯობესების მიზნით. ამგვარი დამატებითი კონსერვაციის ქმედებების (ACAs) ფარგლებში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ სახეობებზე/ჰაბიტატებზე, რომლებიც დაცულ ტერიტორიებთან არის კავშირში. ეს მოიცავს იმ სახეობებს, რომელთათვისაც შემუშავდა სახეობებზე მორგებული კონკრეტული სამოქმედო გეგმები, მაგრამ ასევე არაერთ სხვა სახეობას, მათ შორის მსხვილ მტაცებლებს (იხ. დანართი B) და მტაცებელი ფრინველების რამდენიმე სახეობას, რომელთათვისაც ეროვნული პარკი მნიშვნელოვანია, მაგრამ რომლებზე პროექტის ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის (დეტალური ინფორმაციისთვის იხ. CHA).

ყველაზე დიდ დაბრკოლებას, რომელიც ზღუდავს გაფართოებული ეროვნული პარკის ეფექტურ მართვას, წარმოადგენს მნიშვნელოვანი სახეობების მიერ პარკისა და მისი შემოგარენის გამოყენებისა და მნიშვნელოვანი ჰაბიტატების ადგილმდებარეობის შესახებ საბაზისო მონაცემების არარსებობა. აღნიშნულის შედეგად, პროექტი გააფართოებს BMEP-ს, რათა მოიცვას შედარებით დიდი გეოგრაფიული არეალი, ვიდრე პროექტის მიერ პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიებია და ასევე გააზიარებს ეროვნული პარკის ხელმძღვანელობისგან მიღებულ შესაბამის ინფორმაციას, რათა ხელი შეუწყოს დაცული ტერიტორიების შესახებ საერთო ცოდნას და მისი მართვის სტრუქტურას. ამ მიდგომის ფარგლებში, შემუშავებული იქნება მონაცემთა შეგროვების პროცესი, ინფორმაციის ეფექტური გეოგრაფიული მითითება, რაც ეროვნული პარკის ხელმძღვანელობას დახმარებას გაუწევს პარკის შესაბამისი გეოინფორმაციული სისტემების შემუშავებასა და წარმოებაში. შემოთავაზებული სტრატეგია ასევე ხელს

შეუწყობს ინდივიდუალური მონიტორინგისა და კვლევის ამოცანების შედეგების თავმოყრაში.

BMP და ACAs ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტის პასუხისმგებლობა იქნება (რომელიც ანგარიშვალდებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის წინაშე), მაგრამ მისი გარკვეული შემადგენელი ნაწილი შეიძლება გადაეცეს(თ) შესაბამის გარე ორგანიზაციას(ებს). BMEP-ის ფარგლებში პროექტი განხორციელებს მნიშვნელოვანი ჰაბიტატებისა და სახეობების მახასიათებლების, მასშტაბის, ხარისხისა და სივრცითი კონფიგურაციის მონიტორინგს, როგორც პროექტის პირდაპირი ზემოქმედების ზონაში, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ჰაბიტატის მონიტორინგის სწრაფი და ხარჯთეფექტური მიდგომები (მაგ. დისტანციური ზონდირება) განხორციელდება საწყისი საბაზისო მონიტორინგის უზრუნველსაყოფად და პროექტის ზემოქმედების ზონაში ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების აღმოჩენის შესაძლებლობას მისცემს, ხოლო „დაპატავიური მართვის“ მიდგომა აუცილებელი საკონსერვაციო შედეგების მიმართ უნდა განხორციელდეს საჭიროების შემთხვევაში. კვლევებში უფრო მეტად ყურადღება გამახვილებული იქნება ბიომრავალფეროვნების მთავარ ელემენტებზე, რომლებიც განხილულია წინამდებარე ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმაში და დაკავშირებულია საფრთხეების წყაროებთან (მათ შორის იმ სახეობებს, რომელთათვისაც გამოყოფილია ეროვნული პარკი და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ადგილი), ვიდრე ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების ტენდენციებზე, როგორც ასეთი.

ასევე, მისი მიზანი იქნება კონსერვაციის ზომების მხარდაჭერა, რომელიც უნდა განხორციელდეს ეროვნული პარკის ხელმძღვანელობის მიერ დამატებითი მონაცემების წარმოდგენით, რაც მათ დაეხმარება:

- გაფართოებული ეროვნული პარკის ტერიტორიის ჰაბიტატების საბაზისო რუკის მომზადებაში
- არსებული ჰაბიტატებისა და სახეობების მახასიათებლების, მასშტაბის, ხარისხისა და სივრცითი კონფიგურაციის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების აღმოჩენასა და მათი გამომწვევი მიზეზების განსაზღვრაში
- ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილებების შემარბილებელი ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში, სპეციალისტებთან, ადგილობრივ მოსახლეობასთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გზით.

9.2 მონიტორინგის ინდიკატორები

BMEP/ACAs მოიცავს მონიტორინგს, რომელიც მიმართულია შემდეგ დონეებზე:

- **რეგიონალური /ლანდშაფტის დონე** - ძირითადი ბუნებრივი ჰაბიტატების ტიპების მასშტაბსა და სივრცით კონფიგურაციაში ცვლილებების მონიტორინგი. „ლანდშაფტის სტრუქტურის“ აღნიშნული ანალიზი (ტერიტორიაზე მცენარეულობის ადგილების შემადგენლობა და სივრცითი კონფიგურაცია) გამოყენებული იქნება ბიომრავალფეროვნების შესაფასებლად/პროგნოზისთვის ეკოსისტემისა და სახეობის დონეზე.

- **სახეობების/პოპულაციის დონე** - აღნიშნულის მიზანი იქნება დამატებითი ინფორმაციის მიწოდება ბიომრავალფეროვნების სახეობებში ჩარევის, პოპულაციის ზომისა და დემოგრაფიული მდგომარეობის და მნიშვნელოვანი სახეობის შესახებ. ინდიკატორების შემუშავება მოხდება ადგილობრივ ექსპერტებთან კონსულტაციის შემდეგ ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

9.3 მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგით გათვალისწინებული იქნება:

- არსებული აღრიცხვის ისეთი სისტემებთან დაკავშირება, როგორცაა “Observado”, “ebird”, “inaturalist” სხვა წყაროებიდან მნიშვნელოვანი მონაცემების გაერთიანების მიზნით.
- **დისტანციური ზონდირება:** ჰაბიტატების საერთო ტიპების განსაზღვრა და მნიშვნელოვანი სახეობების მიერ გამოყენება. მისი მეშვეობით მოხდება დაკავშირება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის (BMZ) /გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) პროექტის - „კავკასიაში დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა - საქართველო“ ფარგლებში უკვე შესრულებულ სამუშაოსთან, რაც საერთაშორისო გარემოსდაცვით ექსპერტს შესაძლებლობას მისცემს გამოიყენოს გეოინფორმაციული სისტემები სახეობათა აღრიცხვის მიზნით, რათა შეიქმნას სურათი თუ რა სად მდებარეობს.
- **ჰაბიტატის მონაცემების ადგილზე შესწავლა.** უნდა განხორციელდეს საჭიროების მიხედვით, დისტანციურად ზონდირებული მონაცემების საფუძველზე და ნიმუშის განივი ჭრილის გამოყენებით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ეკოტონებს (ე.ი. გარდამავალ ზონებს). ჰაბიტატის ტიპის აღრიცხვა მოხდება ევროკავშირის სტანდარტული კლასიფიკაციის გამოყენებით.
- **ჰაბიტატის ხარისხი-** მცენარეთა დომინანტური სახეობები აღრიცხება ნიმუშების აღების ადგილზე, IUCN-ის და საქართველოს წითელ ნუსხებში შეტანილ სახეობებთან და ენდემურ სახეობებთან ერთად ასევე აღრიცხული იქნება არაადგილობრივი და ინვაზიური სახეობები. ფარდობითი რიცხოვნობის აღრიცხვა, მაგალითად, მოხდება DAFOR-ის სკალის გამოყენებით ((D=dominant (დომინანტი), A=abundant (უხვი), F=frequent (ხშირი), O=occasional (პერიოდული), R=rare (იშვიათი)). მცენარეთა სახეობები განისაზღვრება ადგილზე ან შემდგომ, დეტალური ფოტოებისა და ადგილზე შეგროვილი ნიმუშების გამოყენებით. ჰაბიტატების ტიპები და მათი საზღვრები დამტკიცდება ან განისაზღვრება ადგილზე თანამგზავრული გამოსახულების განმარტების მიხედვით მომზადებული ჰაბიტატის წინასწარი კლასიფიცირების გამოყენებით. ჰაბიტატის ფაქტობრივი ტერიტორიების გამოთვლა მოხდება გეოინფორმაციულ სისტემებში, სავსე კვლევების შემდეგ;
- **ჩარევა გარემოში:** მაგ. შეგროვდება მონაცემები ხელოვნური ბარიერების, დაბინძურების, ჭარბი ძოვების, ხე-ტყის მოპოვების, გათელვის, დრენაჟის, დაწვისა და თევზჭერის შესახებ. ასევე შეგროვდება მართვის შესაბამისი რეკომენდაციები: მაგ.

ძოვების დონის შემცირება, თევზჭერის ზეწოლის შემცირება, ინვაზიური სახეობების კონტროლი.

- **ფაუნას პოპულაციები.** მონიტორინგის მეთოდოლოგიის შემუშავება მოხდება ძირითად სპეციალისტებთან ერთად. ველურ ბუნებაში საფრთხის წინაშე მყოფ ძუძუმწოვრებზე დაკვირვების სირთულეების გათვალისწინებით, გამოყენებული იქნება მეორადი ინდიკატორები, მაგალითად, საველე ნიშნები, ხოლო ფოტოხაფანგებისა და ცოცხალი ხაფანგების (მცირე ზომის ძუძუმწოვრებისთვის) გამოყენება მოხდება საჭიროების შემთხვევაში. რეპტილიების შემთხვევაში, რეკომენდებულია ხელოვნური თავშესაფრის გამოყენება, ვინაიდან, ამ მეთოდით შეგროვდება გაცილებით ობიექტური მონაცემები პოპულაციის ზომის, დემოგრაფიული და სახეობრივი გავრცელების შესახებ.

9.4 მონიტორინგის განრიგი და ანგარიშგება

ჰაბიტატის კლასიფიკაცია და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის (BMZ) /გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) პროექტის - „კავკასიაში დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა - საქართველო“ ფარგლებში შემუშავებული (ან ეკვივალენტური) რუკები გამოყენებული იქნება, როგორც სამუშაოს საფუძველი. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ახალი, მაღალი რეზოლუციის თანამგზავრული გამოსახულების მიღება, ჰაბიტატის საბაზისო კლასიფიკაციის/რუკის და ანალიზის მომზადების მხარდასაჭერად. ჰაბიტატების მონაცემების ადგილზე შესწავლა და ჰაბიტატების მდგომარეობის მონიტორინგი, შესაბამის სოციო-ეკონომიკურ/ეკოსისტემის სერვისებთან ერთად, დაიწყება 2019 წელს და გაგრძელდება ყოველწლიურად, 5 წლის განმავლობაში.

მომზადდება წლიური ანგარიში ყველა მონაცემის, ანალიზის, დასკვნებისა და რეკომენდაციების გასათვალისწინებლად, ინტერვენციების მართვის მიზნით. საბოლოო ანგარიში, მათ შორის ტენდენციების უფრო დეტალური ანალიზი მომზადდება 2024 წელს.

სხვა სიტყვებით, მონიტორინგი გაგრძელდება საგარანტიო პერიოდის დასრულებამდე. იმ დროისთვის, ინჟინრის საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი მოამზადებს მდგომარეობის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში, უზრუნველყოფს რეკომენდაციებს.

სეზონურ მონიტორინგთან მიმართებაში, ქვემოთ წარმოდგენილ გამოსახულებაზე მოცემულია საორიენტაციო გრაფიკი:

	იან	თებ	მარ	აპრ	მაი	ივნ	ივლ	აგვ	სექ	ოქტ	ნოე	დეკ
მნიშვნელოვანი მცენარეები (მ.შ. ენდემური)												
კავკასიური როჭო (სქესმწიფე)												
ფასკუნჯი (მობუდარი)												
ღალღა (ხმის იმიტაცია)												
მიგრირებადი მტაცებლები												
არჩვი												
წავები												
ღამურები												

9.5 შეფასება

წინამდებარე ბიომრავალფეროვნების გეგმა და მისი მონიტორინგი, ზემოთ მითითებულ მონიტორინგთან ერთად, პერიოდულად შეფასდება, რათა განისაზღვროს მისი ეფექტურობა მიზნების მიღწევასთან მიმართებაში და ნებისმიერი აუცილებელი გაუმჯობესების განსაზღვრაში. მონიტორინგის პროგრამის დასკვნები შეფასდება ყოველწლიურად პროექტის კრედიტორებთან ერთად და შედეგების გამოყენება მოხდება მართვისა და მიმდინარე შემარბილებელი ღონისძიებების ადაპტაციის მიზნით. აუცილებელი იქნება ჩარევის ზომების განსაზღვრა, როდესაც ადგილი ექნება უარყოფით ტენდენციებს ბუნებრივი ჰაბიტატების ტერიტორიებზე ან/და ჰაბიტატების დაკავშირებას. ჩარევის ზღვარი დადგინდება, როდესაც ნებისმიერი ბუნებრივი ჰაბიტატის ტერიტორია 5%-ზე მეტად შემცირდება. შეფასების შედეგები და ჩარევის ნებისმიერი აუცილებელი ღონისძიება მიტანილი იქნება შესაბამის მმართველებამდე და მიწების მფლობელებამდე.

9.6 გავრცელება

ხსენებული ბიომრავალფეროვნების მონიტორინგისა და შეფასების გეგმა პირდაპირ და მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს საქართველოს ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის (NBSAP) განხორციელებას, მათ შორის ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის და ქმედითი და ინტეგრირებული ბიომრავალფეროვნების მონაცემთა ბაზების შემუშავების მიზნების მიღწევას, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ბიოლოგიური რესურსების მდგრადი გამოყენება და კონსერვაცია. ამ მიზნით, ჰაბიტატის რუკა და გეოინფორმაციული სისტემების მონაცემთა ბაზა მიეწოდებათ რეგიონული და ეროვნული მონიტორინგის სისტემებს.

არაერთი სამთავრობო უწყება, სავარაუდოდ, დაინტერესდება ამ მონიტორინგის მონაცემებით და შედეგებით და მათთან გაიმართება კონსულტაციები შედეგებთან დაკავშირებით, რათა რეგიონის ადგილობრივმა ხელისუფლებამ შეძლოს აღნიშნული ინფორმაციის გამოყენება დაგეგმვის დროს. გარდა ამისა, ჰაბიტატების შესახებ ინფორმაცია და გეოინფორმაციული სისტემების მონაცემთა ბაზები უზრუნველყოფს პროექტის კვლევის საწყის წერტილს, რომელიც უნდა განხორციელდეს რეგიონში აკადემიური ინსტიტუტებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

9.7 რესურსები

საერთაშორისო გარემოსდაცვითი და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტი მოამზადებს ყოვლისმომცველ ტექნიკურ დავალებას BMEP/ACA-სთვის, ხოლო განხორციელება დაიწყება 2019 წელს. მიიჩნევა, რომ BMEP/ACA-ს განხორციელება ასევე მიიღებს დამატებით ადგილობრივ შესაძლებლობებს და რესურსებს სხვა ორგანოებიდან.

წინამდებარე გეგმის შესასრულებლად აუცილებელი საშტატო რესურსების შეფასება მოხდება BMEP/ACA-ს ტექნიკური დავალების დასრულების შემდეგ. ამ ეტაპზე მოსალოდნელია სათანადო რესურსები შემდეგი მიზნებისათვის:

- ჰაბიტატის მონაცემების შესწავლა ადგილზე და ხარისხის შეფასება;
- ჰაბიტატის საველე მონაცემების ანალიზი და ანგარიშგება,
- ნებისმიერი შესაბამისი სოციო-ეკონომიკური და ეკოსისტემების სერვისების კვლევა;
- სოციო-ეკონომიკური და ეკოსისტემების სერვისების მონაცემების ანალიზი და ანგარიშგება,
- გეოინფორმაციული სისტემების ანალიზი (თანამგზავრული გამოსახულებების განმარტება, ჰაბიტატების კლასიფიკაცია, ლანდშაფტური უბნებისა და ლანდშაფტური მაჩვენებლების გამოთვლა).

წინამდებარე გეგმის განსახორციელებლად საჭირო აღჭურვილობა, რომელიც სპეციალისტების განკარგულებაში უნდა იყოს, შეიძლება მოიცავდეს: საველე სამუშაოების განსახორციელებელ აპარატურას: კამერებს, GPS მოწყობილობას, ბინოკლს და კომპიუტერს შესაბამისი გეოინფორმაციული სისტემების პროგრამული უზრუნველყოფით.

სამუშაოების უმეტესი ნაწილის ხარჯები უნდა დაფაროს ძირითადად საერთაშორისო გარემოსდაცვითმა და ბიომრავალფეროვნების სპეციალისტმა და სამუშაოების კონტრაქტორმა, თუმცა ფინანსური შეფასება განხორციელდება BMEP-ის შემუშავების დასრულების შემდეგ. ეს მოიცავს: საველე მუშაობის პერსონალის ხარჯებს, მონაცემთა ანალიზს (მათ შორის გეოინფორმაციულ სისტემებს) და ანგარიშგებას, აღჭურვილობის (ან დაქირავების) ხარჯებს, მათ შორის, მოვლა-პატრონობის ხარჯებს, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიას, თანამგზავრული გამოსახულების შესყიდვას, ტრენინგებს და შესაძლებლობათა ზრდას და ა.შ.

ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობა/მონაწილეობა გათვალისწინებული იქნება BMEP-ში, ვინაიდან:

- გეგმა უფრო მდგრადი იქნება ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობის შემთხვევაში;
- ადგილობრივ მოსახლეობას სასარგებლო ინფორმაცია გააჩნია საფრთხეებსა და შედეგებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ;
- დაინტერესებული მხარეების ჩართულობამ შეიძლება ხელი შეუწყოს რესურსების მართვის რეჟიმში საკუთრების შეგრძნების ჩამოყალიბებას და პასუხისმგებლობას ბიომრავალფეროვნების სიჯანსაღესთან დაკავშირებით.

BMEP/ACA უნდა დამტკიცდეს ADB-ს და EBRD-ის მიერ.

დანართი A: ბუნებრივი ჰაბიტატები, რომელთა დაცვაც უნდა მოხდეს ნულოვანი წმინდა დანაკარგის ფარგლებში

რცხილნარი ტყე:

რცხილნარი ტყე (*Carpinus betulus*) (91CB-GE) საქართველოში ფართოდაა გავრცელებული, იგი ნაყოფიერ, კარგად გამომშრალ ნიადაგზე ხარობს. საპროექტო ზონაში რცხილნარი ტყის დაახლოებით 0.3 ჰა მოექცევა პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ (ძირითადად, მე-2 ლოტის გზის ხიდის კვეთასთან ახლოს). დამატებით 0.8 ჰექტარმა შეიძლება განიცადოს ზემოქმედება შემოთავაზებული მე-2 ლოტის ფუჭი ქანების სანაყაროების შედეგად, თუმცა, სადაც ეს პრაქტიკულად შესაძლებელი იქნება, მოხდება აღნიშნულის თავიდან აცილება ეკოლოგიური ექსპერტის ხელმძღვანელობით (და ასევე საინჟინრო მიზნებისათვის). ტყის მასივების კვლევების დროს, მთლიანი ტყის ტერიტორიაზე აღირიცხა საქართველოს წითელი ნუსხის მოწყვლადი სახეობების სამი ინდივიდი შემოთავაზებულ გზასთან ახლოს, კერძოდ: *Quercus macranthera* (აღმოსავლური მუხა), *Ulmus minor* Miller (პატარა თელა), და *Ulmus glabra* (თელადუმა). ტყის ფონდის ინვენტარიზაციის ფარგლებში ჩატარებულმა შემდგომმა კვლევებმა დაადასტურეს, რომ ამ სახეობებზე სამუშაოების დროს მოხდება ზემოქმედება, მაგრამ ეკოლოგიის ექსპერტმა სპეციალურად უნდა მოძებნოს და აღრიცხოს ნებისმიერი ამ სახეობის ადგილმდებარეობა, მათი დაცვის უზრუნველსაყოფად.

მდინარის ჰაბიტატები

საპროექტო ზონის ფარგლებში მოქცეულ ყველა ძირითადი ხეობა წარმოადგენს "დაწული" მდინარეების მხარდამჭერს სეზონური ნაკადებით, რომლებზეც მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს თოვლის დნობა. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი მდინარეებია თეთრი არაგვი, რომელიც ქვეშეთისა და არახვეთის პარალელურად მიედინება (სადაც გზამ უნდა გადაკვეთოს იგი მე-2 ლოტის სამხრეთ დაბოლოებასთან); მდინარე თერგი, რომელიც მე-5 გვირაბის ჩრდილოეთ პორტალის მიმდებარედ მიედინება და საბოლოოდ კასპიის ზღვაში ჩაედინება, და მდინარე ბაიდარა, რომელიც არსებული გზის გვერდით მიედინება და თერგს უერთდება ჩრდილოეთ პორტალთან.

მდინარე პატარა ხადასწყალი მიედინება პროექტის პარალელურად ხადას ხეობაში (ლოტი 2 და პროექტის მთავარი მარშრუტი), ქვეშეთთან არაგვს უერთდება და ცნობილია, როგორც წავების მხარდამჭერი. მდინარე ნარვანა, რომელსაც პროექტი ჩრდილოეთ პორტალთან კვეთს, სადაც იგი თერგს უერთდება, ასევე პატარა მდინარეა და ცნობილია, როგორც წავების მხარდამჭერი.

პროექტის ადგილების მტკნარი წყლის ჰაბიტატები უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე სხვა მრავალი ჰაბიტატი, შედარებით დაბალ რეგიონებში, რასაც ადასტურებს მთელი რიგი უხერხემლოების აღრიცხვა ESIA-ს კვლევებში, ასევე მათი, როგორც მიგრირებადი თევზების გამოკვების/გამრავლების არეალი და წავების არსებობა, რომლებიც აღნიშნული თევზებით იკვებებიან. თუმცა, ისინი მაინც განიცდიან ზემოქმედებას ადგილობრივი მოსახლეობის გადაუმუშავებელი ჩამდინარე წყლებისგან.

მდინარეები, როგორც წესი, შემოსაზღვრულია ჰაბიტატებით, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც „ალპური მდინარეები და მდინარისპირა ლამნარის,

ქვიშნარისა და რიყის მცენარეულობა (323 GE)“. ამ ჰაბიტატის შემადგენლობა იცვლება ადგილმდებარეობის მიხედვით, მაგრამ როგორც წესი, მოიცავს შედარებით ხშირი ქვეტყის ადგილებს, რომელიც შეიძლება სრულიად გაქრეს წყალდიდობის დროს და შემდეგ კვლავ აღდგეს. ბუჩქნარი და "ტანბრეცილი" ტყეების უფრო ქვიშიან ზონებში (მაგ. ხადასწყლის ხეობაში) გვხვდება წითელი კუნელი (*Crataegus kyrtostyla*), ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*) და ძეძვი (*Paliurus spina-christi*).



ალპური მდინარეების ჰაბიტატები ქვეშეთთან

ქვეშეთის შემოგარენში და ადამიანის საქმიანობის (მათ შორის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაყრის) შედეგად დეგრადირებულ ადგილებში, ქვიშიან და ქვიან სუბსტრატებზე იზრდება იალლუნისა (*Tamarix sp*) და მთის ტირიფის (*Salix arbuscula*) ბუჩქები. სხვა ფართოდ გავრცელებული აღრიცხული სახეობებია სოსნოვსკის დიცი (*Heracleum sosnowskyi*), ნარი (*Cirsium sp.*), წყლის მრავალძარღვა (*Alisma plantago-aquatica*), ჭინჭარი (*Urtica urens*), მთის ღოღო (*Rumex alpinus*), ჭილისებრნი (*Luzula and Juncus sp*), შვიტა (*Eguisetum*), და სამყურა (*Trifolium sp.*).



მდინარე თერგის ალპური მდინარის ჰაბიტატი

მდინარე თერგისა და მდინარე ბაიდარას ქვიშიან სანაპიროებზე ჰაბიტატების მცენარეულობა მოიცავს ერთწლიან და მრავალწლიან ბალახებს და ორლებნიან მცენარეებსა და ბუჩქებს - *Crataegus*, *Rosa canina*, *Salix arbuscula*, *Rhododendron flavum*, *Salic caprea* and *Paliurus spina-christi*.



მდინარე ბაიდარას ალპური მდინარის ჰაბიტატი

მთლიანობაში ალპური მდინარეების დაახლოებით 72 ჰა (საერთო რაოდენობის 16%) ჰაბიტატი წარმოდგენილია პროექტის ზემოქმედების ზონაში, საიდანაც, მოსალოდნელია, რომ დაახლოებით 1.4 ჰა სამუდამოდ მოისპობა და დამატებით 16 ჰა შესაძლოა მოექცეს შემოთავაზებული ჩრდილოეთის სანაყაროს ზემოქმედების ქვეშ (თუმცა ეს ადგილი ჯერ შეთანხმებული არ არის). კონტრაქტორს მოეთხოვება ნებისმიერი ასეთი ადგილის აღდგენა, რომელზეც ზემოქმედება მოახდინა სანაყაროებმა, რათა უზრუნველყოს ამ ბუნებრივი ჰაბიტატის ნულოვანი წმინდა დანაკარგი. ეს ჰაბიტატი ასახავს ბუნებრივი ჰაბიტატის 85%-ზე მეტს და მოსალოდნელია პროექტის მიერ მისი ზემოქმედების ქვეშ მოქცევა, თუმცა ეს ჰაბიტატი ფართოდ არის გავრცელებული ამ რეგიონში. იგი არ არის მიჩნეული არც კრიტიკულ ჰაბიტატად (CH) და ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლების (PBF) მქონე ჰაბიტატად, გარდა იმ ადგილებისა, სადაც იგი წარმოადგენს ისეთი მნიშვნელოვანი სახეობის მხარდამჭერს, როგორც წავია.

მურყნარი (*Alnus glutinosa*) და იფნარი (*Fraxinus excelsior*) ალუვიალური ტყეების (91E0 *) ტერიტორიები ასევე წარმოდგენილია ასევე ვიწრო ზოლის სახით მდინარე ხადასწყლის გასწვრივ. ამ ჰაბიტატის დაახლოებით 45 ჰა განისაზღვრა, როგორც მთლიანი პროექტის ზემოქმედების ზონა, მაგრამ იგი არ არის მიჩნეული კრიტიკულ ჰაბიტატად (CH) და ბიომრავალფეროვნების პრიორიტეტული მახასიათებლების (PBF) მქონე ჰაბიტატად (გარდა ზემოთ მითითებული სახეობის კონტექსტისა). მოსალოდნელია მხოლოდ დაახლოებით 0.7 ჰა-ს სქემის პირდაპირი ზემოქმედების ქვეშ მოქცევა.

პროექტის ფარგლებში არ განხორციელდება რაიმე სახის საქმიანობა მდინარეში და ზემოქმედება ამ ჰაბიტატებზე შერბილდება ეკოლოგიური ექსპერტის ხელმძღვანელობით გვერდის ავლისა და კვალის დატოვების მინიმუმამდე შემცირებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულის მიღწევა შეუძლებელი იქნება, ყველა ჰაბიტატის გაწმენდა მოხდება წინასწარ, რათა არც ერთმა მნიშვნელოვანმა სახეობამ არ განიცადოს ზემოქმედება, ხოლო დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებები განხორციელდება ეკოლოგიური ექსპერტის ზედამხედველობით, მნიშვნელოვანი სახეობების სამოქმედო გეგმების მიხედვით, რომლებიც წინამდებარე დოკუმენტის ნაწილს წარმოადგენს.

ქაცვის ჰაბიტატები

ჰაბიტატები, სადაც ქაცვის (*Hippophae rhamnoides*) ბუჩქები დომინირებს, გვხვდება ზემო თერგის აუზში და თერგის ხეობაში სტეფანწმინდასთან. იგი შეიძლება ასევე წარმოადგენილი იყოს ზემოქმედების ზონაში, თუმცა, დღეის მდგომარეობით, აღრიცხული არ არის. ქაცვი თავის მხრივ, არ არის მიჩნეული მნიშვნელოვან სახეობად, მაგრამ სტეფანწმინდასთან არსებული ბუჩქები წარმოადგენს ისეთი ძირითადი სახეობების მნიშვნელოვან თავშესაფარს, როგორიცაა ღაღა და წავი (იხ. შესაბამისი სამოქმედო გეგმები), ხოლო ნაყოფი მიჩნეულია ბიომრავალფეროვნების ძირითადი ადგილების ციტირებული და საქართველოს წითელი ნუსხის მოწყვლადი (მაგრამ IUCN-ის ყველაზე ნაკლები რისკის LC) ორი სახეობის ზამთრის გამოკვების კრიტიკულ წყაროდ, კერძოდ, ეს სახეობებია:



- კოჭობა - *Carpodacus rubicilla*
- წითელმუცელა ბოლოცეცხლა - *Phoenicurus erythrogaster*

ორივე სახეობა გვხვდება უნიკალური მცირე და იზოლირებული პოპულაციების სახით, რომლებიც გამოცალკევებული არიან თავიანთი ძირითადი საბინადრო ადგილიდან, რომელიც ჰიმალაის მთებში მდებარეობს და მიჩნეულია, რომ ამ სახეობების გამოსაზამთრებელი ადგილების (და მათი გამოსაკვები კენკრის) კონსერვაციას რეგიონალური საკონსერვაციო მნიშვნელობა აქვს. სქემის მშენებლობით ან ექსპლუატაციით ქაცვის გავრცელების არც ერთ ზონას უარყოფითი ზემოქმედება არ ემუქრება. იმ შემთხვევაში, თუ მიმდებარე ტერიტორიებზე გამოვლინდა რაიმე სახის ადგილები, მოხდება მათი კარტოგრაფირება და გამორიცხვა სამშენებლო სამუშაოებიდან (მაგ. ადგილები, რომლებიც წარმოადგენს შემოთავაზებულ შესაძლო სანაყაროებს). ასევე მოხდება ამ ჰაბიტატის გაუმჯობესების შესაძლებლობების შესწავლა.



ქაცვის ტიპური ჰაბიტატი (საქართველოს ფარგლებს გარეთ)

დანართი B ძირითადი ფაუნა, რომლის შესახებაც უნდა განხორციელდეს დამატებითი მონაცემების აღრიცხვა BEMP/ACA-ს ფარგლებში

მსხვილი მტაცებლები

პროექტის ფარგლებში გაგრძელდება ინფორმაციის შეგროვება და გაზიარება დიდი მტაცებლების არსებობის შესახებ, რომლებიც შეიძლება წარმოდგენილი იყვნენ პროექტის ზემოქმედების ზონაში, რომლებიც არ წარმოადგენენ CH/PBF-ის ტრიგერულ სახეობებს და არ არიან წარმოდგენილი საკმარისი სიხშირით, რომ მოახდინონ CH/PBF-ის ამოქმედება, ასევე არ არის მოსალოდნელი განიცადონ მნიშვნელოვანი ზემოქმედება პროექტის შედეგად. ეს მოიცავს სახეობებს - **მურა დათვი** (*Ursus arctos*) (IUCN-ის: LC (ყველაზე ნაკლები რისკი) საქართველოს წითელი ნუსხა: EN); **ფოცხვერი** (*Lynx lynx*) (IUCN-ის: LC (ყველაზე ნაკლები რისკი) საქართველოს წითელი ნუსხა: CR და საქართველოს „განსაკუთრებული რისკის“ სახეობები) და მგელი (*Canis lupus*) (IUCN-ის: LC (ყველაზე ნაკლები რისკი); არ არის საქართველოს წითელ ნუსხაში; ჰაბიტატების შესახებ დირექტივა: II, IV). ქვემოთ მოცემულია აღნიშნული სახეობების მიმდინარე სტატუსისა და საფრთხეების მოკლე აღწერა:

- **მურა დათვი** - აღრიცხულია, ზემოქმედების ზონაში და წარმოადგენს KBA-ს ტრიგერულ სახეობას, ადგილობრივი სოფლის მცხოვრებლების ინფორმაციით, მის ნაკვალევს პოულობენ საქონლის სადგომებთან და ჩრდილოეთ პორტალის არყნარიანი მთების შემოგარენში, ხოლო ნაკვალევი აღრიცხულია 2019 წლის საგაზაფხულო კვლევების დროს არაგვის ხეობაში. ეს სახეობა, სავარაუდოდ, არ მრავლდება ზემოქმედების ზონაში და იმის გათვალისწინებით, რომ მას არ გააჩნია ტერიტორიასთან მიჯაჭვულობა და შეუძლია დიდ მანძილებზე გადაადგილება, იგი პროექტის მნიშვნელოვანი ნარჩენი ზემოქმედების რისკის წინაშე მყოფ სახეობად არ არის მიჩნეული. ამჟამად, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ტარდება დნმ ანალიზი დათვის პოპულაციის გენეტიკაზე .
- **ფოცხვერი** IUCN-ის საბინადრო არსებობის რუკაზე მითითებულია, რომ იგი შეიძლება ბინადრობდეს მთელ ტერიტორიაზე, ხოლო ადგილობრივები საუბრობენ კატაზე, რომელიც მდინარე ნარვანის შუაწელთან ნახეს დაახლოებით 5-6 წლის წინ, რომელიც შეიძლება ფოცხვერი ყოფილიყო. თუმცა მიჩნეულია, რომ იგი ზემოქმედების ზონას რეგულარულად არ იყენებს და მიმდებარე ტერიტორიაზე ცნობილი არ არის მისი გამრავლების არეალი. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ცალკეული სახეობა ფარავს დიდ მანძილებს (მისი საბინადრო არეალი, როგორც წესი 120 კმ²-ს შეადგენს ხვადის შემთხვევაში, ხოლო ძუ ფოცხვერის შემთხვევაში 80-500 კმ²-ს), იგი არ არის მიჩნეული პროექტის ნარჩენი ზემოქმედების მნიშვნელოვანი რისკის წინაშე მყოფ სახეობად. თუმცა, იგი კრიტიკულად გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობაა ეროვნულ დონეზე და მას საფრთხე ემუქრება ბრაკონიერობის, დევნისა და ჰაბიტატის ფრაგმენტაციის გამო.
- **რუხი მგელი**. ეს სახეობები გვხვდება ჰაბიტატების ფართო დიაპაზონში მთელი საქართველოს მასშტაბით და ადგილობრივ დონეზე გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობად არ არის მიჩნეული. თუმცა, იგი ევროკავშირის მტაცებელი

სახეობებისა და პოპულაციების რიცხვს მიეკუთვნება და მისი რაოდენობა მცირდება მთელი რეგიონის მასშტაბით. ადგილობრივი მცხოვრებლები იუწყებიან, რომ ზამთარსა და ადრე გაზაფხულზე, მგლების ნახვა საკვლევ ტერიტორიაზე შესაძლებელია, და რომ ყოველწლიურად არსებობს მგლების მიერ პირუტყვზე თავდასხმის შემთხვევები. სახეობა საფრთხის ქვეშაა ჰაბიტატის ფრაგმენტაციის, ნადირობის, სიმშვიდის დარღვევი, უბედური შემთხვევების რისკის, მოწამლისა და დევნის გამო, ვინაიდან იგი შინაურ პირუტყვზე თავდასხმის საფრთხედ აღიქმება.

მიუხედავად იმისა, რომ ნარჩენი ზემოქმედება ამ სახეობაზე მოსალოდნელი არ არის (განსაკუთრებით იმის გამო, რომ პროექტის უდიდესი ნაწილი გვირაბშია განთავსებული), არსებობს გარკვეული შესაძლო ზემოქმედება, რომელიც გამომდინარეობს შემდეგი ფაქტორებიდან:

- საკვების მოპოვების ჰაბიტატის პირდაპირი მოსპობა /ფრაგმენტაცია/ დაზიანება
- საგზაო შემთხვევებით გამოწვეული პირდაპირი სიკვდილიანობა
- გაზრდილი დევნა, რაც გამოწვეულია მონადირეების მიერ მაღალმთიანი ადგილების წვდომით.

შესაბამისად, პროექტის ESMP მოიცავს შემდეგი სახის შემარბილებელ ღონისძიებებს:

